

ლიტერატურული გაზეთი

№8 (384) 25 აპრილი - 8 მაისი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ნინო სიხარულიძე


დიმიტრი წიკლაური

ეს სხვა ქარია

ბროშკას ქიება

გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომა-ზამთარს ისე წამოვიხურავ,
როგორც ძველ პალტოს, რომელიც ვერ გამომიცვლია.
და ეს პალტო ისე დამძიმდა...
ქარი ნეკერჩხალს უკანასკნელ ფოთლებს აცლიდა
და ეს ფოთლები — ქართან ბრძოლას შეწირულები —
გადაჰყავდა ქარონს ლეთაზე
და ქარონის ნავიც დამძიმდა...
დედამინაზე არნახულად სწრაფად აცივდა,
ეს სხვა ქარია, გულში მბჟუტავ სანთელს რომ ერჩის
და სათითაოდ აქრობს, თუკი შემორჩა სადმე.
ეს სხვა ქარია, გულს ყინულის ხუნდებს რომ ადებს
და ყინულის გულიც დამძიმდა...
ამ განსაცდელთან გამკლავება ძალზე გაჭირდა:
ასეთი გულით წვალობს თიხა და წვალობს ნეკნი.
ყინულის ჟამი მოგვივლინეს უცხო ქარებმა,
არც არაფერი შეიცვლება გასვლამდე ვადის —
მაგრამ ხომ მაინც ჩართულია უკვე წამმზომი
და კუს ნაბიჯით, თუმცა მაინც,
გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომა-ზამთარი გადის...

IV-V



1
ასაკოვან მწერალს მეტსახელად გროშკა იმიტომაც შეარქვეს, მისდღემ-
ში ჰონორარის სიმცირეს რომ უჩიოდა. ამ გროშებით ბროშკაც არ მომივაო,
მოთქვამდა. ლექსიც კი შეთხზა ჰაიპარად — ეჰ, გეყოფა გროშკა, გროშები-
სთვის როშვაო. ტექსტებს პერიოდულ პრესაში იშვიათად ბეჭდავდა, თუმცა
მაინც ტრაბახობდა, ეპოქალური მნიშვნელობით ლიტერატურულ სივრცეში
კაზაველის შემდეგ მე მოვიზრებიო (კაზაველი ამ ქვეყნის უდიდესი მგოსანი
იყო). ამის გამო სხვა მწერლები აბუჩად იგდებდნენ, ოღონდ ზურგს უკან.
გროშკა არც მათთვის იშურებდა საქებად სიტყვებს. ისინიც იშნოვებდნენ,
თუმცა თავი მორჩილადაც რომ ეკანტურებიანთ, მაინც იკატუნებდნენ, რა-
დგან რჩეულთა შორის საკუთარ ნიჭიერებას უპირატესად მიიჩნევდნენ. ზო-
გადად, მწერლები მიიჩნევდნენ, რომ სახალხო ხოტბა აკლდათ. ამიტომაც
თავის ქება მოსული ხერხი იყო.

გროშკას მწერალთა კავშირის შენობაში ნათელი ოთახი გამოუყვეს, ეგ-
რეთნოდებული კაბინეტი, რომელიც, მართალია, სხვენში მდებარეობდა, მა-
გრამ გასაღები მხოლოდ მას ებარა, თუ არ ჩათვლიდა დამლაგებელს, თვეში
ორჯერ რომ აკითხავდა შეთანხმებულ დროს, რათა ძველებური ორნამენ-
ტებით მოხატული იატაკი სპეციალურ სითხეში გაზავებული ნახერხით მოე-
პრილებინა. სანიტარულ დღეებში მასტიკის მისტიკური სურნელით გაბ-
რუებული გროშკა ნეტარი სიმყუდროვით ტკებობდა, რადგან კაბინეტის კა-
რზე რომც დაეკაკუნებინათ, ამოზრცული ტყავი ბგერებს დაახშობდა. თუ-
მცა გროშკა საკეტს არასდროს იყენებდა. ვინც საქმის კურსში იყო, შეეძ-
ლო, უცერემონიოდ შეეღო და ტაქტიანად შეხმინებოდა:

— აქ ბრძანდებით, ბატონო გროშკა?

— აბა, სად ჯანდაბაში წავიდოდი?! — უხეშად გასძახებდა ესეც, გეგონე-
ბა, ნანატრი მუზა დაუფრთხესო, კარგა ხანი რომ აღარ მოუკითხია და თავს
მხოლოდ ადრინდელი ტექსტებით იწონებდა. ამგვარი განზილებით შინაურე-
ბს მიმართავდა, თორემ უცხოებთან ზრდილობის ნიმუშად რჩებოდა. თუმ-
ცა ახალგაზრდებსაც აგდებით ეპყრობოდა, ამბიციური თაობა პირველ რიგ-
ში წინაპართა ღვანლს გააბითურებსო. ამიტომაც სურდა ჭეშმარიტებამდე
გაღწევა, მისი სიდიადე ერთხმად რომ ელიარებინათ და შესაძლებლობა ჰქო-
ნოდა, მყუდრო კაბინეტში მჯდარიყო ფილოსოფიური განმარტოებით, მარ-
ტივად განემარტა მთელი რიგი საკითხებისა და მწერლურ ფიქრებში ჩაძირ-
ულს ვერსიფიკაციის უფაქიზესი დეტალები განეხილა. ფულს მაინც ვერ
შოულობდა და იქნებ საჭირო საქმით დაკავებულიყო, ჭეშმარიტების დადგე-
ნას რომ გულისხმობდა. ისედაც მთელ დღეებს აქ ატარებდა, ვინძლო, ახა-
ლებდა ავტორი შემოხეტებულიყო და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლ-
ოდ წყალწყალა ნაჯღაბნის რედაქტირება მოეთხოვა ამაყად — მართალია,
არ საჭიროებს, მაგრამ იქნებ მაინც გადაგვხედათო. ნაწარმოებს თვითონ
უბადლო შედევრად მიიჩნევდა და შემდგომში ნითლად გახაზულ შენიშვნ-
ებს, დაღვრილი სისხლის წვეთებს რომ აგონებდა, ისე განიცდიდა, თითქოს
ფაქიზად შეთხზული ტექსტი უმოწყალოდ დაეჩეხათ. არადა, გროშკა მხოლ-
ოდ გრამატიკულ ნაწილს ხვენდა, შინაარსის განვრცობას როგორ შეებედა-
და. გასამრჯელოსაც ცოტას ითხოვდა, გამორჩენა სისხლში არ გამიჯდესო.
სახელს სახრავზე მეტად აფასებდა, თუმცა ამის საჭიროებასაც მთელი არ-
სებით გრძნობდა, ყოფით ხარჯებს რომ გასწვდომოდა. ჰონორარს არც კი
ითვლიდა, ხოლო თუკი ავტორი შეუჩნდებოდა, ნაწარმოების იდეა როგორ
მოგეწონაო, კარგია, კარგი, მიუგდებდა აგდებით, რაც იმას გულისხმობდა,
ნეტავ თავიდან მომწყდებოდეო.

VI-VIII

მოთხრობა „ცეცხლის გამტაცებელი“ სხვადასხვა ქვეყნის მითოსისა და ბიბლიური მოვლენების მხატვრული კუთხით გააზრების მცდელობაა. ის ეხება ქართული მითოსამყაროს გმირებს — ქალღმერთ დალის, ამირანს — თუმცა მკითხველმა მათში თემიდა და ცეცხლის გამტაცებელი პრომეთეც შეიძლება ამოიცნოს. რომელ ეპოქაში ცხოვრობდნენ ისინი? რა საერთო თვისებები ჰქონდათ? ან რატომ დაჰკრავდა ნახევრად ფანტასტიკური შეფერილობა მათ პორტრეტებს? აი, კითხვები, რომლებიც მანუხებდა. მოგვიანებით კი უნებლიეთ აღმოვაჩინე რეალობის გაზღაპრების უმთავრესი მიზეზი. წარმართი ქურუმები ყველაფერს ასაიდუმლოებდნენ. ისინი მხოლოდ ხელდასმულებს უმხელდნენ საიდუმლოს, უბრალო ხალხს კი მითებით კვებავდნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში რალაც არარსებულის, გამოგონილის სინონიმად იქცნენ. ასე რომ, ზოგიერთი წარმართული ეპოქის გმირი (მაგალითად ამირანი) ბავშვს შეიძლება წარმოუდგეს გოლიათად, დევებს ცეცხლისმფრევეელი ლახტით რომ მიერეკება, და არა — რეალურ ადამიანად, ოდესღაც რომ ცხოვრობდა...

„ცეცხლის გამტაცებელზე“ მუშაობისას ყოველნაირად ვცდილობდი, ჩამომეშორებინა წარმართი გმირებისთვის ის ზღაპრული საბურველი, რომელშიც დროთა განმავლობაში გაეხვივნენ. რამდენად გამომივიდა ეს, რთული სათქმელია, თუმცა წერისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ფიოდორ დოსტოევსკის გამოხატულების ჭეშმარიტებაში, რომ ბედნიერება და შემოქმედებითი სიხარული არა შედეგში, არამედ ძიების პროცესშია, ხოლო მოგვიანებით იმასაც მივხვდი, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის სასარგებლო უნდა იყოს წარსულში ჩაღრმავება, რადგან იქ საკუთარ თავს აღმოაჩენს...

ავტორი

თემურ გაბუნია

ცეცხლის გამტაცებელი

წინასწარმეტყველება

როდესაც ოქროსფერი მთის დასავლეთ ფერდობზე სამჯერ დაგრაგნილი გველის მსგავსი ნაპრალი გაჩნდა, ყველას მოაგონდა, რომ წმინდა მთის დაბზარვა მართალ იოვანს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ეწინასწარმეტყველა. ეს უნდა ყოფილიყო ნიშანი ტიტანის დაბადების, რომელიც ღმერთს ზეციურ ცეცხლს მოსტაცებდა და სამყაროს დიდ განსაცდელს მოუვლენდა. მაშინ ღვთისმშობლისა და კანური ნოდის ქურუმები შიშმა შეიპყრო. შეთის შთამომავლები ამბობდნენ: ღმერთს ოქროსფერი მთის წმინდა ადგილას კრავი ან უშობელი შევწიროთო. კანის მოდგმის ქურუმებს კი მიაჩნდათ, რომ მართებული იქნებოდა, თუკი შემოდგომის ბუნიობაზე სამსხვერპლო ცეცხლში ხორობის მარცვლებს დანავდნენ. როცა ვერ შეთანხმდნენ, გადანყვიტეს, წინასწარმეტყველთან მისი მონაფე გაეგზავნათ, რომელიც მოხუცს ყველაზე მეტად უყვარდა, და გაეგოთ, თუ რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს.

რჩეული დედაქალაქ ატლანტისიდან მდინარე გიხონის სათავესკენ ახალმოთარეობის დღესასწაულამდე სამიოდე დღით ადრე გაემგზავრა. მაგრამ თვით მანაც კი არ იცოდა, თუ როგორ უჭირდა იოვანს იმ ტვირთის მარტოდმარტო ტარება, სიმართლე რომ ერქვა. ასე წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ის თასი გადასცეს, რომელშიც სამსხვერპლო კრავის სისხლს ასხამდნენ ხოლმე. მას შემდეგ უამრავ წყალს ჩაეგლო. აღარ იყვნენ ცოცხლები აღარც მისი მასწავლებელი და აღარც ის მონაფეები, პირველობაში რომ ეცილებოდნენ. ის კი ახლა ოქროსფერი მთის ამ წმინდა ადგილზე, სადაც ქვეყნიერების ოთხი კუთხისკენ მიმართული მდინარეები — ფიშონი, გიხონი, ხიდეკელი

და ფერათი — ბუნებრივ ჯვარს ქმნიდნენ, მარტოდმარტო ცხოვრობდა და არ ჰქონდა უფლება, ამქვეყნიდან ისე წასულიყო, შემცველი რომ არ ეპოვა. ხოლო ცის თალი სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა და მასაც თანდათანობით უიმედობა იპყრობდა, რადგან ვერ ხედავდა კაცს, რომელსაც ამ ძვირფასი ტვირთის ტარებას ანდობდა. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ მოხუცი წინასწარმეტყველი თავის რჩეულს, შურუპაქის მთავრის, ლამეის უფროს ვაჟს მემკვიდრედ დაასახელებდა, თვითონ იოვანის მონაფეც ასე ფიქრობდა, მაგრამ ერთხელ, საღამოს ღოცვის დასრულების შემდეგ, მოხუცმა თავის სენაკში იხმო და ასეთი რამ უთხრა:

— შენ უფალმა გამოგარჩია. მოვა დრო და მისი ხმა ჩაგესმება. თავად უფალი გეტყვის, რა უნდა მოიმოქმედო. შენ განდევილობისთვის არ ხარ მონოდებული, შენი გზა ერისკაცის გზაა. მოგინევს, უამრავი განსაცდელის ატანა, დაგამცირებენ და გიჟადაც კი შეგრაცხავენ, მაგრამ არაფერია, უფალი განუგეუმებს, რადგან მისი რჩეული ხარ.

ამ საუბრის შემდეგ ლამეის ვაჟი თავის მშობლიურ შურუპაქში დაბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ყველა ალაპარაკდა, კიდობნის აგება დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ნოემ უკვე იცოდა, რაც განუჩინა უფალმა, მოხუცი წინასწარმეტყველის ნახვა მაინც ისევე ახარებდა, როგორც ადრე, ახალგაზრდობაში. ჯერ ერთი — დიდი ხანი იყო, რაც არ შესხედროდა და მეორეც — იოვანი ყოველთვის აოცებდა თავისი წინასწარმეტყველური ხედვით. თანაც ის ახლა სრულიად მარტო იყო. იშვიათად თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, რადგან ახალგაზრდები ერთმანეთთან დავით იყვნენ გართულები. პირველობისთვის მებრძოლები ვერც კი ხვდებოდნენ, რა მძიმე იყო სიმართლე და რა სუსტი — მათი მხრები. ისინი დრ-



ოდრო მოხუცს ოქროსფერი მთის წმინდა ადგილებში ასვლის ნებას სთხოვდნენ, სადაც ღმერთის სული იყო დავანებული. არცერთს არ სურდა გაეაზრებინა, რომ იქ ამსვლელის ენას დაკარგული უნდა ჰქონოდა ტკივილის მიყენების უნარი, გონებას კი — ეჭვებით ავსების. ისინი მთელ დროს იმის გარკვევის მცდელობაში ატარებდნენ, თუ ვის უნდა შეეცვალა მოხუცი და საკუთარი აღმატებულობის დასამტკიცებლად უღირს კამათში მონაწილეობასაც არ თაკილობდნენ.

ხოლო თვით წინასწარმეტყველი ყველას დავინყებოდა. მისი არსებობა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა უჭირდათ. მაგრამ განსაცდელის დროსაც არ ითვალისწინებდნენ მის რჩევებს. „რატომ ნახულობენ, თუკი ყველაფერს მაინც ისე გააკეთებენ, როგორც თვითონ უნდათ?“ — ფიქრობდა რჩეული. მართლაც, ხომ არავინ შეისმინა მისი გაფრთხილება, არ დაეშვათ მეფე ბაალის შეუღლება ტიტანური გაიას დაქვრივებულ დედოფალზე? არც დიდებულებსთვის დაუშლია ვინმეს შორიელთა ასულებზე ქორწინება, შუა სამეფოს დიდ ქალაქებში ხშირად იმართებოდა შერეული ქორწინებები. დიდებულების წამხედურებით მალე მდაბიოებმაც უამრავი კანონიერი თუ უკანონო შვილი გაუჩინეს კანის მოდგმის ქალებს და ბუმბერაზთა ის ამაყი მოდგმა მოამრავლეს, რომელიც აყვავებულ ქვეყანას დაქცევის პირას მიიყვანდა.

ისინი მალეები იყვნენ, ამპარტაგნები და ურჩები, არც ღმერთის რიდი ჰქონდათ, არც ადამიანების. რატომ დუმდნენ ქურუმები? რატომ ნადიმობდნენ მათ ქორწილებში? მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, ქერივის დედოფალი რომ დაფეხმძიმდა და ქვეყანას ის ოქროსთმიანი ბავშვი მოევენინა! დიახ, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, ეს რომ ნახეს — და რა ქნეს? დედას შვილი წაართვეს და სადღაც გადამალეს. ტიტანი ქალის საეჭვო თვითკვლელობის შემდეგ კი მეფე აიძულეს, ხელმეორედ ექორწინა. ნუთუ ამით გამოასწორებდნენ გაფუჭებულ საქმეს? ეს ხომ კიდევ ერთი ახალი ცოდვის ჩადენა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ვინ ჰკითხა მაშინ ჭკუა, როცა ამას ჩადიოდნენ? არავინ.

ახლა კი სურთ, განსაცდელი თავიდან აარიდონ, როდესაც ეს ბუმბერაზები (ჩრდილოელები ახალ ტიტანებს რომ უწოდებენ) უკვე ყველაფერს ითვისებენ — დიდებულითა და ქურუმთა საუკეთესო მინებსაც და სხვის ცოლებსაც. ძველი ტიტანები (ურანოსისა და გაიას შთამომავლები) გაცილებით უკეთესები იყვნენ, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი. ამიტომ შეარქვეს გმირები. ახალ ტიტანებს კი განადგურების ძეგლს უწოდებდნენ, რადგან ყველაფერს ანადგურებენ, რაც წინ ეღობებათ. უმ ხორცსაც კი ჭამენ. რაღას ითხოვენ იოვანისგან? განა თავის დროზე არ აფრთხილებდა მეფესაც და დიდებულებსაც, მორიდებოდნენ კანის მოდგმის ასულებთან შეუღლებას? ახლა კი ყველაფერი გვიან იყო და მოხუცსაც აღარ შეეძლო, მათთვის რაიმე ეშველა...

„ის მოხდება, რასაც ვიმსახურებთ“ — გაიფიქრა შურუპაქის მთავარმა, როცა განდევნილის სენაკი დაინახა და უნებლიეთ

ის საღამო მოაგონდა, როცა მართალმა იოვანმა მონაფეებს პირველად განუცხადა — ისინი მოესწრებოდნენ ცაში მომხდარ ცვლილებებს — როდესაც დედამინის მფარველი თეთრი ცთომილი მენამული ლაქებით დაიფარებოდა. მსხვერპლშენიერვა დასრულებულიყო და იმ მონაფეთა შორის, მოხუცს გარს რომ შემოხვეოდნენ, თვითონაც ერია.

ეს სწორედ იმ პატარა მოედანზე მოხდა, რომელსაც ახლა უახლოვდებოდა. ამ ადგილის მოსწორებაში თვითონაც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული ახალგაზრდობაში, როცა აქ წლობით ცხოვრობდა. აქაურობა თითქმის არ შეცვლილიყო, თუმცა მოხუცი წინასწარმეტყველი, რომელიც ახლა თავისი სენაკის წინ იდგა, ოდნავ მობერებული და გამხდარი ეჩვენა. მისალმების შემდეგ წარგზავნილმა მალევე გაამხილა თავისი მოსვლის მიზეზი. ის მოხუცის გამხდარ დაძარღვულ ხელის მტევნებს შეაცქერდა და თქვა:

— მათ აქ გამომგზავნეს, რადგან ყველაფრის ემინათ — გვალვების და ქარების, საკუთარი თავის და იმ ნაპრალისაც, ოქროსფერი მთის დასავლეთ ფერდობზე ახლახან რომ გაჩნდა, უნდათ გაიგონ, თუ რისი ნიშანია ეს.

მოხუცი დუმდა, წარგზავნილს კი ისევ ის საღამო მოაგონდა, მოხუცი ცაში მოსახდენი ცვლილებების შესახებ რომ საუბრობდა და განდევილს შეხედა; მოძღვარიც დაჟინებით შესცქეროდა, თითქოს ცდილობდა, გამოეცნო, რას ფიქრობდა, მერე კი თქვა:

— წლების წინ უკვე გითხარი, რაც უნდა მომხდარიყო, ახლა უფრო მეტს გეტყვი. კაცთა უსამართლობითა და სიმრავლით შეწუხებული დედამინა მალე სთხოვს თავის მფარველ ცთომილს, იხსნას იმ ტვირთისაგან, რომელსაც ველარ ზიდავს. რადგან გამრავლდა ცოდვა, მოირყა რწმენა და აღზევდა რიტუალი. ყველაფერი კი ქცევის ოდითგანვე მიღებული ნესების რღვევით დაიწყო, რასაც თავიდან ქურუმები დიდ ყურადღებას არც აქცევდნენ და ცოდვაც არ მიიჩნევდნენ. ახალგაზრდებმა უფროსის პატივისცემა დაკარგეს, კაცმა — ოჯახის გაძლიერების უნარი; დედამინას ძარღვები მოეშალა — მისი დიდი მდინარეები კაშხლებით გადაკეტეს, მალე კი უარესიც მოხდება: ტაძრები თეატრებს დაემსგავსება, ღვთისმსახურება — წარმოდგენას; ირგვლივ შური და გაუტანლობა იზეიმებს; ბრძენკაცები თავიანთი ცემას მოითხოვენ, ვაჭრები — ძალაუფლებას, ქალები მამამთილებთან ილაზღანდარებენ; კაცები ილოთებენ და მსახურ ქალებს ცოლების თვალწინ გაეარშიყებიან; ქურუმები ერთმანეთს სიძლიერესა და თავიანთი მცემელთა სიმრავლეში გაეჯიბრებიან; მზის ამოსვლას ღოცვით აღარავენ შეეგებება, ხოლო სახელმწიფო მოხელეთა და ღვთის მსახურთა შორის მექრთამეები იმრავლებენ. სწორედ ამის შემდეგ დაიწყება აღვირახსნილობის ალღუმი. კაცები და ქალები გაშიშვლებიან და საჯაროდ თანაყოფიან ერთმანეთს ქუჩებსა და მოედნებზე, ზოგი ცხოველებთანაც კი დაამყარებს კავშირს. უბინოებას



დაკარგავს დედამიწამაც. ამიტომ მოხდება ის, რაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროს იყო ნანინასწარმეტყველები, თეთრი ცთომილი დედამიწას სურვილს შეუსრულებს, მზეს ცეცხლს მოსტაცებს და მენამულად შეიმოსება. განრისხებული მნათობი მას ცის თაღზე შებოჭავს. ვარსკვლავი ამოერიდან მხოლოდ ორჯერ გამოჩნდება — დილით და საღამოს. ამგვარადვე დაისჯება ტიტანიც, რომელიც უკვე იშვა. ის ღმერთს ღვთაებრივი ცეცხლის ამოღინების საიდუმლოს გამოსტაცებს, სამყაროს შექმნისა და განადგურების დროს რომ ამოდის ხოლმე კვერცხიდან, რომელიც წყალში ძევს... ზუსტად ასევე შეიბორკება ცეცხლის გამტაცებელიც, ერთ უშველებელ ქედზე...

— მოძღვარო, — ჰკითხა მაშინ რჩეულმა, — როგორ ვიცნო ის, ვინც ცეცხლს გაიტაცებს?

— მისი სახელი ჯერჯერობით დაფარულია კაცთათვის, თუმცა არსებობს ნიშანი, რომლითაც ცეცხლის გამტაცებლის ცნობა შეიძლება. მას შუბლზე მბრწყინავი მძივი გამოესახება, — უპასუხა ნინასწარმეტყველმა და დადუმდა. მაშინ წარგზავნილი მიხვდა, რომ მოძღვარს მეტის თქმის უფლება აღარ ჰქონდა, თავი დაუკრა და განშორდა...

„ნუთუ უკვე ჩვენს შორისაა, იქნებ ყოველდღე ვხვდები და ვერ ვცნობ, ვერც ვიცნობ, ვიდრე შუბლზე მანათობელი მძივი არ გამოესახება...“ — გაიფიქრა რჩეულმა და მთებს შეაცქერდა. იქ კი, დათოვლილი მწვერვალების თავზე, მზე ჯერ ისევ თვალის-მომჭრელად კამკამებდა...

ერთი დღის შემდეგ, როცა ატლანტისში ბრუნდებოდა, შურუპაქის მთავარმა ისევ დაინახა ოქროსფერი მთის ახალგაჩენილი ნაპრალი, შორიდან ის მართლაც მთაზე განოლილ უზარმაზარ დაგრაგნილ გველს ჰგავდა, გასწორებას და მთაზე შემოხვევას რომ ცდილობდა, რათა საკუთარი კუდი პირში ჩაედო. ეს ის ადგილი იყო, სადაც, გადმოცემის თანახმად, სამოთხიდან გამოძევებული ადამი ხშირად მიდიოდა. თავდაპირველად სამოთხის კარიბჭის ნახვა სურდა, მაგრამ მას უკვე ქერუბიმი იცავდა და ადამიანის თვალისთვის მიუწვდომელი იყო. პირველი ადამიანი ახლა მხოლოდ ოქროსფერ მთას ხედავდა, რომლიდანაც ქვეყნიერების ოთხი კუთხისკენ მიმართული მდინარეები იღებდნენ სათავეს. ისინი ბუნებრივ ჯვარს ქმნიდნენ. და აი, ერთხელაც სამოთხიდან განდევნილი ჯვარზე რომ ფიქრობდა, უეცრად მიხვდა, რომ ცოდვილი იყო და სინანული იგრძნო. მას შემდეგ ის შინაგანად შეიცვალა, სინანულმა ახალ ადამიანად აქცია. მოგვიანებით უფალმა მას ნინასწარმეტყველების უნარი მიანიჭა. ადამი უკვე ხედავდა, რაც უნდა შემთხვეოდათ მის შთამომავლებს...

შურუპაქის მთავარი ისევ ოქროსფერი მთის მწვერვალს შესცქეროდა. რომელსაც თავზე გვირგვინით ედგა მზის სხივები. რა დიდებული იყო ეს წმინდა ადგილი! ის ისე განსხვავდებოდა დიდი და ბინძური ქალაქებისგან, როგორც ცა — მიწისგან. თუმცა მალე, როცა მზეს რუხი ღრუბელი მოეფარა, უნებლიეთ კაენი მოაგონდა და განწყობა შეეცვალა. ახლა წარგზავნილი ძმის მკვლელის მიერ აშენებულ პირველ ქალაქზე ფიქრობდა და ცდილობდა, გამოეცნო, რამ აიძულა მინათმოქმედებაზე ეთქვა უარი. „ახლა ვხვდები“, — ფიქრობდა ის — „მინის დამუშავება აღარ სურდა, რომელიც აბელის სისხლით იყო მორწყული. აღარ უნდოდა, დაემუშავებინა მიწა, რომელიც ძველებურად უხვ ნაყოფს აღარ მისცემდა. ამერიიდან დევნილი და მიუსაფარი იქნებოდა, შორეულ ქვეყანაში გადაიხვეწებოდა, მის შთამომავლებს კი შორიელებს შეარქმევდნენ...“

წარგზავნილმა ნაბიჯს აუჩქარა, ის ცდილობდა, შეებინდებამდე ჩასულიყო უახლოეს სოფელში, საიდანაც ატლანტისამდე სულ რაღაც ორი დღის საგალი იყო.

ტიტანის დაბადება

მეფის ვაჟის დაბადებამ ატლანტთა სამეფოს დიდებულებზე მეტად სამი საიდუმლო სამოს — ლომის, არწივისა და გველის — მეთაურები შეაშფოთა. ისინი, როგორც ნესი, ყოველ გაზაფხულის ბუნიობაზე ოკეანეში ჩაკარგულ პატარა კუნძულ ელიზე

იკრიბებოდნენ საიდუმლო მსახურების აღსავლენად. ელი საზღვაოსნო გზისგან მოშორებით მდებარეობდა და საიმედოდ იყო დაცული სწრაფი დინებით, რომლის გადალახვაც და კუნძულამდე მიღწევა მხოლოდ საგანგებოდ აგებული მსხვილმუცლიანი გემებით შეიძლებოდა, ასევე გზის გამკვლევი მაგნიტური ხელსაწყოთი, რომლის ისარიც მეზღვაურებს ქვეყნის მხარეებს ზუსტად აჩვენებდა. ეს ხელსაწყო მხოლოდ ამ სამი სამოს ერთგულ ზღვაოსნებს ჰქონდათ. რამდენიმე ოჯახი საიდუმლოდ ინახავდა მის არსებობას თაობიდან თაობაში, რათა ყველას მათსავით ადვილად არ ემოგზაურა ოკეანეში. საიდუმლოს გამთქმელს სიკვდილი ელოდა. არც გათქვამდნენ, რადგან სამინელი ფიცით იყვნენ შეკრულები, თანაც თუკი ელის უცხო გემი მიადგებოდა, სამოს წევრები კუნძულზე მყოფ მათ შეილებსა და ოჯახის წევრებს დაატყვევებდნენ და წამებით მოკლავდნენ.

უზუცესები ელიზე წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ საიდუმლო მსახურების აღსავლენად და სახელმწიფო საქმეებზე სამსჯელოდ. საიმედოდ დაცულ არქივში ინახებოდა მონაცემები ქვეყნის დიდებულთა და გავლენიან პირთა შესახებ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო მოხელეთა პირადი მონაცემები, ფარული გადაცდომები და დანაშაულები, რომლებიც იძლეოდა მათ მორჩილ და მართვად ადამიანებად ქცევის საშუალებას. ელის საიდუმლო ლაბორატორიებში მეცნიერები მუშაობდნენ თანამედროვე იარაღის შექმნაზეც, რომელსაც გამოაჩენდნენ, თუკი ეს აუცილებელი იქნებოდა. მსგავს მეცნიერებს მხოლოდ კუნძულზე ჰქონდათ მუშაობისა და ცდების ჩატარების საშუალება, რადგან კონტინენტზე მათ ღვთისშვილთა ქურუმები გრძნეულებად მიიჩნევდნენ და სასტიკად დასჯიდნენ.

ატლანტთა სამეფო უხილავი ძაფებით ელიდან იმართებოდა და აი, როგორ — სამ კვერთხოსანს ემორჩილებოდა ქვეყანაში არსებული მსტოვართა ქსელი. ისინი ცამეტკაციან ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი, თუმცა თითოეული გრძნეული ნევრებიდან მხოლოდ თერთმეტი იცნობდა ერთმანეთს. თერთმეტეულს საიდუმლო წერილობით ბრძანებებს აწვდიდა ხელდასმულებად ნოდებული სამოს ორი უცნობი წევრი — ოსტატი და შეგირდი, ისინი კი, უხილავ მთავრობას ემორჩილებოდნენ, რომლის სათავეშიც სამი სამოს მეთაური იდგა — ლომის, არწივისა და გველისთავიან კვერთხთა მპყრობლები. მსტოვართა რაზმებს ოფიციალურად შავი რაინდების სამოს მეთაური მართავდა, ის გავლენიან პირთაგან შემდგარი ლოჟის ნევრიც იყო და მითითებებს ორი უცნობისგან იღებდა. სამოს მეთაური ამავდროულად მეფის მრჩეველი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყო სახელმწიფოში. თუმცა სინამდვილეში მხოლოდ უმაღლეს იერარქთა ბრძანებებს ასრულებდა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება არც შეეძლო. მეთაურს ნამდვილი სახელით არავინ მოიხსენიებდა, ყველა შავოსანს ეძახდა, ზოგს არც კი ახსოვდა, რა ერქვა სინამდვილეში. ამ მეტსახელის შერქმევა მეფე ბაალის დამსახურება ყოფილა. თურმე მამას (ერექიონს) ბავშვობაში ხუმრობით უკითხავს, მე რომ სანადიროდ ვიყავი, სასახლეში ვინმე ხომ არ მოსულაო. „დიახ, მამა, აი, ის კაცი მოვიდა, შავოსანი, შავი მოსასხამი რომ აცვია“, — უთქვამს პატარა უფლისწულს. ამის შემდეგ შერჩენია მეთაურს ეს მეტსახელი.

შავი რაინდებისგან განსხვავებით, რომელთა არსებობაც ყველამ იცოდა, ლომის, არწივისა და გველის სამოები ფარულად მოქმედებდნენ, ეს საზოგადოებები ქალაქების გამსხვილების შემდეგ შექმნა ნოდის ქვეყანაში. დროთა განმავლობაში კი მათ თავიანთი საიდუმლო მსახურება, ადათები და რელიგიური შეხედულებებიც ჩამოუყალიბდათ, რომელსაც ერთი ზეპირი გადმოცემა ედო საფუძვლად, თურმე კაენს სიკვდილის წინ უთქვამს, ჩვენს მოდგმაშიც დაიბადება რჩეული. ქურუმების განმარტებით, ის ომებისა და ხალხთა მღელვარებისას უნდა გამოჩენილიყო. ოღონდ ზუსტად რა უნდა მოემოქმედა, ეს კვერთხოსნებმაც არ იცოდნენ, რადგან ყველაფერს იგავური საბურველი ფარავდა. სამოს წევრთა უმეტესობას მიაჩნდა, რომ მათი მესია დაამხობდა ღვთისშვილთა ბატონობას და ტიტათა ახალ დინასტიას დაამკვიდრებდა,

რომლის მმართველობაც შეიძლება ათასი წელიც გაგრძელებულიყო. თუმცა იყვნენ ურწმუნონიც, ისინი ამბობდნენ, ბედნიერი ათასწლეული ზღაპარიაო. თვით უზუცესებიც ვერ თანხმდებოდნენ აღნიშნულ საკითხზე, ლომისა და გველისთავიანი კვერთხის მპყრობელთა აზრით, მინიერი სამოთხის დაბრუნება სავსებით შესაძლებელი იყო, არწივის სამოს მეთაური კი ყოყმანობდა. საკუთარი ეჭვების გასაფანტად ოქროსფერ მთაზე თავისი ხელდასმულიც გაგზავნა, მაგრამ მისი დაბრუნების შემდეგ ეჭვი არათუ გაუქრა, პირიქით, უფრო გაულრმავდა. ნინასწარმეტყველის აზრით, ქვეყნიერება ორჯერ უნდა განადგურებულიყო, ჯერ — ნაწილობრივ, შემდეგ კი — სრულად, ორი სტიქიით — წყლითა და ცეცხლით. ეს ადამისთვის უთქვამს მთავარანგელოზს სამოთხიდან გამოდევნიდან 500 წლის შემდეგ, როცა პატრიარქმა მოინანია თავისი ურჩობა. ოღონდ ის კი აღარ ახსოვდა, სამყარო პირველად ცეცხლით უნდა განადგურებულიყო თუ წყლით. რაც შეეხებოდა ბედნიერ ათასწლეულს, ეს ნინასწარმეტყველება თურმე მომავალ მესიასა და კაცობრიობის ძალიან შორეულ მომავალს უკავშირდებოდა, ხოლო რჩეული, ვისაც კაენის მოდგმის ქურუმები ელოდნენ ასე სასოებით, არა მესია, არამედ მეამბოხე იქნებოდა, თუმცა ძლიერი, მინისმრყეველი მეამბოხე...

იოვანის მოსაზრება ლომისა და გველის კვერთხოსნებმა ღვთისშვილთა სიძულვილით ახსნეს კაენის მოდგმისადმი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გამოცხადება მხოლოდ ადამს არ ჰქონია. მისმა უფროსმა ვაჟმაც იწინასწარმეტყველა მესიის შესახებ. სიკვდილის წინ თურმე მას უთქვამს, რომ ქვეყნიერებას შერეული სისხლის შავ-თეთრი უფლისწული მოეწოდებოდა, მამით შვითი, დედით კი — ტიტანი. „ვულკანი“, ასე მოიხსენიებდნენ მას საიდუმლო მსახურებაში. უფლისწული დაამხოდა ღვთისშვილთა ბატონობას და განუსაზღვრელ ძალაუფლებას მოიხვეჭდა. მაგრამ რამდენ ხანს გაძლებდა მისი დინასტია, არც კაენს უთქვამს და არც არავინ იცოდა. სწორედ ეს ბუნდოვანება აეჭვებდა უზუცესს ბედნიერი ათასწლეულის დადგომასთან დაკავშირებით.

და აი, ახლა აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ შეკრებილი კვერთხოსნები კუნძულ ელის კოშკში თეთრ მარმარილოს მაგიდასთან ისხდნენ და ხილს მიირთმევდნენ. მოოქრულ დოქში თავლუჭი ესხა, რომელსაც ნელ-ნელა სვამდნენ და ზეთისხილს აყოლებდნენ. საიდუმლო ღვთისმსახურება დასრულებულიყო. კოშკის ღია, თაღოვანი სარკმლებიდან მოჩანდა ვარსკვლავებით მოჭყდილი ცა. მთვარის შუქზე კი ოკეანის ზედაპირს იდუმალი ელფერი მიეღო.

— უცნაურ მოძღვრებას ავრცელებს ხალხში ქურუმი ქალი სალამინა, — დაიწყო გველის სამოს მეთაურმა, — ის

გაიაში ქადაგებს და ამბობს: „უკვე იშვა გმირი, რომელსაც მალე ღვთაებრივ მწყემსს შეარქმევენ, დედამისი იახსარის წყაროსთან განმარტოვდა და მუცელი ხანჯლით გაიჭრა. მერე კი ნაადრევად მობილი ვაჟი გამოქვაბულში გადამალა, რათა ჩრდილოელ ქურუმებს (რომლებმაც იცოდნენ, თუ როდის უნდა დაბადებულიყო) მისთვის არაფერი დაეშავებინათ“.


— სალამინა გმირის ნაადრევად დაბადების სხვა მიზეზსაც ასახელებს, ის ქალღმერთმა დალი-თემიდამ შობაო, ამბობს, დიახ, ნამდვილად ორი სახელით მოიხსენიებს, — ჩაერთო საუბარში არწივის კვერთხოსანი, — თურმე ამ დალი-თემიდამ იცოდა, რომ ღმერთები მის ვაჟს ადრე თუ გვიან დიდ დამანგრეველ ძალას მიანიჭებდნენ. მის შესამცირებლად კი ერთადერთი გზა არსებობდა, ვადაზე ადრე უნდა ეშვა, დედამინა სრული განადგურებისგან რომ გადაერჩინა... სალამინა იმასაც ამბობს, ქალღმერთი სიკვდილის შემდეგ ღმერთებმა სიხარულით მიიღეს. ის ახლა მათ ნადიმებზე წესრიგს ამყარებს, ყველა ღვთაებას საკუთარ ადგილს უჩენსო. უცნაური ისაა, რომ ბევრი უჯერებს, ტაძრებში მიდიან და დალი-თემიდას სთხოვენ შემწეობას უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები, ასევე მონადირეები, ბნელ ღამეში გზა რომ აერიათ. მათ ასევე სწამთ, რომ ქალღმერთის ვაჟი, რომელიც ახლა არსად ჩანს, მალე წარდგება ქვეყნიერების წინაშე, დიად საქმეებს მოიმოქმედებს და ქვეყანას შეარყევს.


— ჩვენ დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ სალამინას ქადაგებას, რჩეულმა ქვეყნიერებას სიმშვიდე უნდა მოუტანოს და არა რყევა და განადგურება. ადრეც რამდენჯერმე ყოფილა ცრუ განგაში, — დაიწყო ლომის კვერთხოსანმა, — ხან ვინ მიაჩნდათ მესიად და ხან — ვინ, მაგრამ მათ ცუდად დაასრულეს, ვერც ერთი ვერ შედგა არათუ მბრძანებლად, ცნობილ ქურუმდაც კი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შვითთა ბატონობის დასრულება არც ისე მარტივია, ამას თაობები ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ.

— გეთანხმები, — შეეპასუხა არწივის სამოს მეთაური, — მაგრამ ნინა ეგრეთ ნოდებული მესიები არ იყვნენ უფლისწულები, მათ თავადების უკანონო ვაჟებად მიიჩნევდნენ, ეს კი განსხვავებული შემთხვევაა. დაამხოვს თუ არა ღვთისშვილთა ბატონობას, უცნობია, თუმცა ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ...

— ჩვენი წყალობით ის ახლა უსაფრთხო ადგილასაა, საუკეთესო აღმზრდელები უნდა მიეუჩინოთ, ჩემი აზრით, რესუ გამოდგება, რესუ რა-იურგენი, ის უძლიერესი მეზრძოლია, — თქვა ლომის სამოს მეთაურმა...

ისინი ახლა იმის შესახებ ბჭობდნენ, როგორ აღეზარდათ შავ-თეთრი უფლისწული...





გუშინ მესმოდა „მთვარის სონატა“, თეთრი სონატა, დარდის სონატა, გუშინ მოფრინდა მტრედი ფარფატა, თოვლად მოფრინდა, ზეცა მოხატა. გუშინ ვიყავი და არც ვიყავი, ასე ვარ უკვე დიდი ხანია, ნეტა, ეს ქარი რაღას წაიღებს, თან არაფერი მოუტანია. გუშინ შენც შეგხვდი და ვერ გიცანი, შენ ყველას ჰგავდი, შენ სხვა იყავი, მე იმედების სასაფლაოზე დავრჩი და ვწერე მწარე იგავი — გუშინ მესმოდა „მთვარის სონატა“, თეთრი სონატა, დარდის სონატა...

რამ

სატვირთოებმა დიდი ალაფით გადაიარეს უღელტეხილი... არ მიიხედო, უკვე შორია, ძალზე შორია ზღვა. აქ ზამთრისპირი მძლავრობს და უცხო დეკორაციებს დგამს, აქ ახლობელი არავინაა, ყველა გამხდარა „სხვა“. სატვირთოებმა დიდი ალაფით გადაიარეს უღელტეხილი... გაყინულ ბორცვს კი შემორჩნენ ორნი და შესცქერიან ცას; არცერთ კითხვაზე პასუხი არ აქვს, ამიტომაც დუმს ცა — ფერგამკრთალია, გადამქრალია, გაცრეცილ ზენარს ჰგავს. სატვირთოებმა დიდი ალაფით გადაიარეს უღელტეხილი... პატარა და უფრო პატარა ჩახუტებულნი წვანან, დრო კი გაყინულ ბორცვს შეჰყინვია, არც გაცოცხლდება დრო, დათალხული ზღვა, დაკარგული ზღვა არ დაბრუნდება სანამ. ფიფქების ჯარიც მტერია თითქოს, ღია თვალებში ათოვს ოქროსფერთმიან თოჯინას და მის ოქროსფერთმიან პატრონს.

წვიმდა — წვიმა ვის უკვირს, მაგრამ რაღაც სხვაგვარი ეშვებოდნენ წვეთები, საცეკვაოდ ამტყდარი. რიხიანად, ჯიუტად, თითქოს თავგამეტებით მობრწყინავდნენ ზეციდან მოლაპლაპე სვეტები. გულუბრყვილოდ, ალაღად, თითქოს დარდიმანდულად წვიმდა თბილის-ქალაქში რაღაც... ძალზე ქართულად. მოლანდება არ იყო, არც ეთქმოდა ზმანება, ვერ მივხურე დარაბა, გულმა არ დამანება. გულმა არ დამანება და ვუსმენდი დილამდე, სტუმარს, ზეცით მოვლენილს, ფიქრის მაქო მივანდე. შემახსენა, რაც, ალბათ, დავიწყებად არ ღირდა — წვიმანატრულ თბილისში თბილისურად განვიმდა.

ერთადერთი პასუხი

ჰაერში ჰკიდია შეკითხვა: — როგორ ხარ? არც ელი პასუხს. პასუხი გადამწვარი ნათურაა ანუ ჩემი თვალები — მათში ახლა არც წვიმს და არც ქუხს; აღარც სხივი ჩანს, ოდესღაც ჩანდა, მერე კი გაქრა, ჩააქრეს? ჩაქრა? ახლა არავინ ამაზე არ წუხს, რადგან გარშემო მხოლოდ „სხვებია“, გულგრილი „სხვები“. შენ, მეგობარო ჩემო ყოფილო, მათ რიცხვში ხვდები — ხომ გააყოლე წყალს ბავშვობა და ახალგაზრდობის ფერადი ხმები, დაუნანებლად... დაუნანებლად... მე კი ჩვენი კამკამა წლები მართლაც ოქროს ფასად მიღირდა. მეგობრობითაც იღლებიან, თურმე, მაევანნი, თანადგომითაც, ერთგულებითაც და დაჯერება ამის მიჭირდა და წარმოდგენა ამის მიჭირდა და შეგუება უფრო მიჭირდა, მაგრამ წყალნი რომ წავლენ-წამოვლენ, ქვიშანი რომ რჩებიან მარტო, ერთი ნამცეცვიც არ ყოფილხარ ქვიშის გროვაში. აღარ ვინაღვლი, თურმე მაშინაც არ მყოლიხარ, როცა მეგონა, რომ გვერდით მყავდი. არარსებულზე აღარ ღირს დარდი... ახლა კი, როცა შემთხვევით მხვდები, ასეთი უცხო, „სხვების“ ნაწილი და ჰაერში გამოკიდებ ზრდილობისთვის დასმულ შეკითხვას, მე ერთადერთი პასუხი მაქვს: — შენი გზით ნადი!

ახალი წელი

კიდევ ერთ წრეზე წავედით, ფონს კი მაინც ვერ გავედით!

ამ ლექსს არავინ არ ეფერება და არც არავინ უკეცავს საბანს — არც ლამაზია და არც ართვალი, სტრიქონს ხან არღვევს, ხან ისევ ლამბავს. ამ ლექსს ძალიან დიდი გული აქვს, მაგრამ თვალები სუსხით სავსეა, მკითხველსაც თავის ნებაზე არჩევს და მხოლოდ მასთან მობაასეა. ამ ლექსს ბავშვობა არა ჰქონია და როგორც ღილი, აწყდა იმედი, ახლა კი უნდა, შენ გინილადოს იმედის სხივი — თუნდაც მცირედი. ამ ლექსს უხდება სანთლის ლიცლიცი, ხანდახან — ელვა და მამხალეები, ნუ იუცხოებ, გვერდს ნუ აუვლი, რითმებს მიღმა ნუ დაემალები. აქ ყოველ სიტყვას ახლავს ქვეტექსტი და თუ დაგღალა მეტაფორებმა, წვიმით ნაზარდი ნედლი სტრიქონი მოვა და უხმოდ გეამბორება. ამ ლექსს ყოველდღე სარკეში ვხედავ და ზოგჯერ მინდა, გავანწა სილა, რადგან საკუთარ გულს უმიზნებს და არცერთი ტყვია არ ააცილა.

შენ კი არ მიყვარდი...

შენ კი არ მიყვარდი, ის თოვლი მიყვარდა, შენ რომ უხდებოდი, შენ რომ გიხდებოდა, ის დილა მიყვარდა, შენით რომ გათენდა, ის ღამე, რომელიც შენით ღამდებოდა. მას შემდეგ რამდენი შავ-თეთრი წელია, ამოლექსილია ტკივილი რამდენი, ლექსში გაბინავებ, მაგრამ ფიქრებიდან, ჩემი ფიქრებიდან უკეალოდ განგდევნი — ასე განიდევნა ჩვენი თბილი თოვლი, არ ვიცი, რომელმა ავსულმა ინება, მას მერე იყო და არც არა იყო რა, დრო კი მიიმღვრევა და მიიმდორება... ბევრჯერ მოვიზომე ბედი კაბასავით, ხან იყო დიდი და ხან იყო პატარა, მფარველ ანგელოზსაც ვუხმობდი და მაინც საჩემო ამინდი არასდროს დამდგარა. ჰოდა, უგ ზოობის გზები როცა ვკეცი, როცა სიხარული გულს არ გაეკარა, სხივი მოვინატრე, შენგან ნაჩუქარი, სხივი მოვინატრე მხოლოდ, შენ კი არა — რაღაც სასწაულით უცებ რომ გაბრწყინდა, რაღაც სასწაულით გამინათა სახე,

ჭერის მაგივრად რომ ვარსკვლავებიანი ზეცა დამახურა, როცა დაგინახე და აღარასოდეს განმეორებულა, თუმცა ვუხმობდი და ვემუდარებოდი, მხოლოდ ის ელვარებს ჩემს მოგონებებში, ისე, ვით კენჭებში ბზინავს ოქროს ზოდი. ...და მაინც წახვედი, მიზეზებს რა დალევს, უსიტყვოდ წახვედი, სიტყვებიც გახუნდა, შევრჩი სიმარტოვის ცარიელ ტალანებს, ზღაპარი იყო და ზღაპარი დასრულდა, მაგრამ ერთხელ მაინც ვიხილე ედემი, რაიც ზოგიერთ ქალს სულ არ ღირსებია, ერთხელ მაინც ვიყავ მეცხრე ზეცის მკვიდრი, თანაც ცხადში ვიყავ, არ დამისიზმრებია. ამიტომ ღიმილით უნდა გაგისხენო, სიტყვებად ვაქციო ფიქრები ფარული: შენ კი არ მიყვარდი, ის თოვლი მიყვარდა, ის თოვლი... ის თრთოლვა... და ის სიყვარული.

ერთის მარტოობა დრამაა და ორის მარტოობა — ტრაგედია, ქარი გულში ველარ დავატიე — ისევ ჩემი ქუჩის თავში გდია. ერთის მარტოობა სევდაა და ორის მარტოობა ტკივილია, მთვარე ღრუბლის ვარცლში გაიცრა და სულმთლად გაიცრიცა, მიილია... ფრთხილად, მეგობრებო! ფრთხილად, მტრებო! გული დანალშული მინდორია, კალმით არა, გულით ინერება ჩვენი მარტოობის ისტორია. სიტყვას ფერი აქვს და სურნელი აქვს, გულიდან გულში თუ გადადნება, მადლის სათავეს თუ გადასწვდება, ბაგეს გვირგვინად თუ დაადგება. მთვარე მთვარეულთა ნათლიაა, მზე კი თილისმაა ბედნიერთა, ერთის მარტოობა მდინარეა, ზღვამ რომ სიხარულით შეიერთა — ზღვას კი გულისნადებს რას გაუგებ, ისე ვრცელია და უსასრულო, თუკი გამწირა და გამიმეტა, ეს ლექსი როგორღა დავასრულო... ერთის მარტოობა დრამაა და ორის მარტოობა — ტრაგედია, ქარი გულში ველარ დავატიე, ისევ ჩემი ქუჩის თავში გდია.

უსასრულო ფიქრები მოდილიანიზე

ვერცხლისფერ ვუაღით დაგიხვდა პარიზი, ცა ისე დაბლაა, გეგონა, მოთოვდა — გელის ღამისთევა და კაფე „როტონდა“, შენი შემმუსვრელი, კოჰნია კაპრიზი. ...მთვარემ გაგიღიმა ნაბიჯებარეულს, გზვერა ლორწეით და გიძვნა ფორიაქი, გამშრალ ყელს ჩაუფენ სირჩას კონიაკის და ცა გაგეხსნება მართლაც რომ მთვარეულს. მერე კი გოლგოთად გექცევა მოლბერტი და გედის ათლილი პროფილით თივრები, ფერს ათილისმებენ მთრთილვარე თითები, შენს მოლოდინში კი ცივდება ომლეტი. გავა ეს ზამთარიც, „ირიბ-ალმაცერი“, სიზმრის საბანს ისევ ჟანა დაგახურავს, არც მადლობას გეტყვის და არცა სამდურავს კეკლუცი პარიზი — ნისია კარცერი და ჰერ-ლაშეზამდე არც ისე შორია, ფერი ფერს ფერსა ჰფენს, ფერები რიალებს და ყელმოღერილი სიკვდილი წრიალებს, სიკვდილი, რომელიც უხამსი ჭორია.

წასულ ახლობლებს

ყველამ წაიღო თითო ცრემლი და ყველამ დატოვა თითო ნაოჭი... ვერ ვეფერები ბევრ ცოცხალზე უფრო მეტად ცოცხალ საფლავებს — დაცლილი მზერით ვბუტბუტებ ლოცვას იმედგამქრალი, სანთელჩამქრალი, ჩემს მცდელობასაც, კარგად ვიცი, დრო ჩააფლავებს! როგორ მაკლიხართ! იქნება, თქვენც მომისაკლისოთ, აქ ძალზე ცივა, უსაშველოდ და ძალზე ბნელა, ჭალი კი ისევ მხიარულად ჩახჩახებს, მაგრამ სულის ნათურა გადაინვა, თითქოსდა, ყველა. შინ დამაბრუნეთ, გვედრებით, შინ დამაბრუნეთ, თქვენთან შეხვედრის სიხარული მალე მარგუნეთ!

ყველამ წაიღო თითო ცრემლი და ყველამ დატოვა თითო ნაოჭი...

დარდის გპირილა

„სანთელივით დავდნები, შაქარივით დავტკები“, მაგრამ რომ ვერ გავიგე სანატრელი სატრფოს ხმა? „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე“, მაგრამ ყველა ყვავილი ჩამოჭკნა და ჩამოხმა. ჩემო დარდის გვირილავ, სად შრიალეზ, ნეტავი, ყელს რომელი დედოფლის ბალჩა-ბალში იღერებ, მინატრე და მოგივალ ბაფთიანი გიტარით, ნაწვიმარი აკორდით ძველებურად გიმღერებ: „გულო, სანამ გული გქვია, გულო, უნდა მტკიოდე, გულო, უნდა მიერთგულო, მიმყვე საიქიომდე“, მაგრამ სამიზნე ხდები შხამიანი ისრების, მიზანს არ აცილებენ და ნალველით ვივსები. გაღმა მოჩანს ბორანი, ღამე მიახლოვდება, „გაიხედე, ძმობილო, თენდება თუ ღამდება“. „ჩემო თბილის-ქალაქო, შენმა დარმაც იდარა“, სულ შენთვის ვათილისმე ბაფთიანი გიტარა და რაც ლოცვად ვერა ვთქვი და რაც ცამდე არ ადის, ისიც შენთან, გვირილავ, შენთან იყოს მარადის.

შვილს

როცა კაცს შენს ხსენებაზე გაუნათდება სახე, როცა მოხუცი დაგლოცავს და მოგენდობა ბავშვი, მაშინ მოდი და ილბალთან შერიგებული მნახე, მაშინ ჩემს გულში გალობით არ დაიღლება შაშვი. როცა ქალს შენი ღიმილით გაუთენდება დილა და არასოდეს ინანებს, რომ დაგინყვილა ბედი, მაშინ ვიტყვი, რომ განგება ამაოდ არ გარჯილა და არ ვცდებოდი, როდესაც დარდის ბარათებს ვხევდი. როცა პატარა ანგელოზს შეათამაშებ ხელში, მერე „მამიკოს“ ძახილით შეგაფრინდება ყელზე, მაშინ საკუთარ თავს ვეტყვი: — რაღას ოხრავ და ხვნეში, მიდი და ბედის ვარსკვლავი სალხინოდ წააქეზე!

P.S. იმ შემთხვევაში ახდება ეს ჩემი დანაპირები, თუ შენს სიკეთეს შევიტყობ და მიწის ზემოთ ვიქნები, მაგრამ თუ მიქელ-გაბრიელს მაინც დავჭირდი მანამდე, რას ვიზამ — წასვლა მომიწევს,

რაც უნდა შიში მზარავდეს, შენ კი აქ მაღლი თესე და უფალი ღმერთი გფარავდეს!

1+1
დომენიკო, დედამიწას სიყვარული ატრიალებს...
გურამ დოჩანაშვილი

ჰო, ერთს პლუს ერთი ისევ ერთია, თუკი სიყვარულს ეხება საქმე — ეს კანონია და თუ გსმენია ამაზე ნალდი კანონი სადმე? მაგრამ გაჩენის დღიდან ასეა: ლამაზ-ქალაქში თუ კამორაში, დედამიწაზე, ყველა კუთხეში, ამ კანონს ებრძვის ძალა უხეში. როცა აახელს თვალს სიყვარული, ცა ვარსკვლავებით დაიკოცნება, იმწამსვე ჩნდება ვინმე ავსული და ჯულიეტებს უკლავს ოცნებას; მშვენიერებას დაუნანებლად ესვრის ჭორის და ტალახის გუნდას — ეჭვის, ღვარძლის და შურის სამიზნე შეყვარებული გულია მუდამ. ...და ერთს პლუს ერთი მაინც ერთია, თუნდაც ათასი აყეფდეს მტერი, ჰო, დომენიკო, ერთიანია ყველა სხვა რიცხვზე მეტი და ბევრი.

ძარაგმა

ისე მსუბუქად, როგორც მტკვარზე ჯდება თოლია, ისე იოლად, როგორც ბუდეს აგნებს მერცხალი, ჩემი ლექსების ალერსიან შემოდგომაში ღრუბლის სასთუმალს ავარაყებს ისევ მზექალი. სიყრმის სიზმრებში ასე იყო, ახლაც ასეა: შეყვარებული ღრუბლის იღბალს ვინ არ შენატრებს — ის ხან სხივებთან საიდუმლოდ მობაასეა, ხან ზეცის თაღებს ცეცხლისფერით ააკელაპტრებს. შენც კარგად იცი, სიყვარული ბევრს შემოაცვდა, ღალატისფერი კუპრით ბევრის გული სავსეა, მაგრამ ეს კუპრი მზეს და ღრუბელს არ ეკარება — სიყრმის სიზმრებში ასე იყო, ახლაც ასეა! ...სულ ერთი წვეთი ერთგულება როგორ გეჭირდება, სულის სალბუნად მოვლენილი, მხსნელი სიტყვები, სულ ერთი ციდა ოაზისი, ია-იები და უსაშველოდ მათრობელა ილუზიები, თორემ ისე რა გადაიტანს ჭრიჭინა ჭორებს და წუთისოფლად წოდებულ ამ ორომტრიალში

ვინ გადარჩება, ცოდვილის დაღს ვინ მოიშორებს და ვინ წარსდგება პირნათელი უფლის წინაშე... თუკი მზისა და ღრუბლის ტრფობა ზღაპარს გაგონებს, ჩათვალე ისე, თითქოს ზღაპრად მომიყოლია ან მიმღერია ღამეული წვიმის ნოტებით მეტეხთან ახლოს, სადაც მტკვარზე ჯდება თოლია. და თუ ოდესმე, მანანწალა წლების გადაღმა, ამ დღეებს ისევ გაგახსენებს ფერთა კოლაჟი, იქნებ მიმიხვდე, რაც გითხარი ახლა ქარაგმად ჩემი ლექსების ალერსიან შემოდგომაში.

ქარი ანცობს ტოტებთან, განზრახვა აქვს ქარული: შეყვარებულ ტოტების ჩახუტება ინება; სული კბილით უჭირავს, ღამეს ელის მთვარიანს, ქარს ხომ, მოგესხენებათ, აკლია მოთმინება. ქარი ხარობს, რადგანაც განზრახვა აქვს ქველური — აიზნიქენ ხეები, მოიდრიკეს ქედები, ტოტი ინევს ტოტისკენ შეყვარებულ თვალებით, ქარო, ნუ დაცხრები და წამით ნუ დაყოვნდები! როცა ბინდმა იძალა და მთვარემ მოიცალა, სტვენდა გრანელოს ჩიტი, ტრფობით გულდასერილი — მე და ჩიტმა ვიცოდით, რომ იმ ღამით ცაცხვებში ნეტარებდნენ ტოტები, ქარით ჯვარდანერილი.

ზამთარი — შინ თუ გარეთ

არ იფიქრო — შენთან ვარ, არ იფიქრო — სხვებთან ვარ, არ იფიქრო — სადმე ვარ, მე ვარ ბნელი დღეების რკალში... ყოველი დღე თითო ცრემლია და თითო ნაოჭი; ყოველი დღე თითო ეჭვია და მუჭა ნაცარი — ორთავ თვალის დასაბრმავებლად, რომ აღარ დავინახო, რისი დანახვაც არ ღირს — სულ ესაა, ბნელ ლაბირინთს რასაც გამოვრჩი. ზამთრის დღიური ისე დამძიმდა, ველარც კი ვფურცლავ და ქარები პწკარებს შორის დაშლიგინებენ, ქარები ფეხმარდი — ფოტოდან გაცვეთილ ღიმილს მიგზავნიან მონიკა ბელუჩი, სტინგი, სემ შეპარდი და თოვლი მხოლოდ სიზმარში მოდის, მეგობრებიც სიზმარში მსტუმრობენ, რადგან სიკვდილი ისე გამიგრძელდა, ისე უსაშველოდ გამიგრძელდა, რომ ჭირისუფლები დაიღალნენ და მიმატოვეს. თურმე უცებ უნდა დასრულდე: ლექსივით უნდა ჩამოიმარცვლო, ყვავილივით უნდა ჩამოიფურცლო, არ უნდა გაინელო ბანალური სერიალივით, მე კი შემოვრჩი ბუზლუნა ზამთარს, ამოვიძახე, რაც კი რამე მქონდა სათქმელი, ამოვიტირე, რაც კი რამე მქონდა საცრემლი — ჰო, კიდევ კარგად გამიძლეს და დიდხანს მადროვეს, მაგრამ მე მათი მოლოდინი ვერ გავამართლე: ვერც დრამატული ფინალი შევთავაზე, ვერც — „ჰეფი ენდი“, ვერც საბოლოო ნერტილი დავსვი, ვერც რკალი გავარღვიე, ვერც გავიქეცი, ვერც გავიმარჯვე, მე მხოლოდ წავიქეცი და წამოდგომა ველარაფრით ველარ შევძელი. არ შედგა შოუ! მაყურებლებს იმედი გაუცრუვდათ და ლალატი არ მაპატიეს... ახლა ნელ-ნელა ვცოტავდები, საკუთარ თავს ვეკარგები, მგონი, სარკეც აღარ მირეკლავს და ჩემს მონოტონურ ტკივილს ექსპრესია ისე აკლია, როგორც ამ ზამთარს — მზის მხურვალე ნათითურები. და რომ აღარც ჩამოილია?! აღარც კალენდარს აკლდება და აღარც — ჩემს თვალებს, ფეხსაც არ იცვლის ეს ზამთარი, ნააფთრალი, ცრუ და ართვალი, მაგრამ თუ მაინც გაგახსენდები, მაგრამ თუ მაინც მომისაკლისებ, არ იფიქრო — შენთან ვარ, არ იფიქრო — სხვებთან ვარ, არ იფიქრო — სადმე ვარ, მე ვარ ბნელი დღეების რკალში...

ია მერაბიშვილი

თვალები მღვრიე საბანელია, ვერ აღმოვიშვი მათგან ხელახლა, კვლავშობისათვის არ არის ყველა, იხრჩობა ზოგი, კლავს ჟამიერი და ამძიმებს ყოფის სახივი. ტვირთი, რომელიც აღარ არის მსუბუქი, ტკბილი, მიწაზე მაკრავს, ყოვლისმხედველის სანიერსაც დაფურჩი მიღმა, მიშვეულია ჩემი წერა, ვით მკვდარი ძილი. უწვიმარია ეს ბროლები, საცრემლე მტკნარი, ვერ გადაარჩენს ველარავინ ამ მხოლოობას. თეთრ კვართის კიდეს ვერ შევახე იმედი ბოლო, სახრჩობელაზე ჩამოაცვეს მერე ის კვართიც. მე ხომ ვეძებდი, ვიპოვე და დაგკარგე კვალად, არც სიყვარული არ ყოფილა ამქვეყნად მხსნელი. ჩავსვენება ხორცთან ერთად მოკლული სული, დასამარდება უზიარი, გაუგებარი... მინა თიხებით ამოლესავს სხეულს სხვა ტანით, მაგრამ უჟამოს ვერ მისწვდება, ველარ უშველის. არავის სასძლო, არავისთან თანაზიარი, ერთია, ცალი — უკვდავებას დანატრებული, ...ან იქნებ მარად სიცოცხლესაც აღარ მიელტვის, მხოლოდ სიცივეს, დაძინებას და დავიწყებას.

მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი...
ტერენტი გრანელი

აკვნის არტახებში, როგორც სამარეში, ჩანვენილს დამყურებ, თეთრ ყოფნას მოწყვეტილს, მარადიულობის მუცელში ვით მოშლილს. დაფლულ სიჩვილეში ღვთიური იშთობა, მისგან იშვებიან დიდების ცოდვები. მე მაშინ, როდესაც არ მქონდა არარა, ანკარა წვიმები მივლიდნენ მომშეულს, მინიერ დედაში წმინდა ნაყოფივით ფესვებით გამობმულს, კლდის მარცვალს, რომელიც ინვება ნასხლევად, სისხლით და ალებით რომელიც ივსება. მე მაშინ, როდესაც არ მქონდა არარა და მაინც ღმერთივით ყოველგან ვიყავი. შავი ყოფიერის მშიერი ეშვებით აკვნის არტახები უმაღ განილია, ჟამიერს შეერთო, როგორც ქმარს უშენოს. ვხედავ, ელვარებენ ობოლი ცისკრები, ამ გზას ჯვარცმულივით ვერასდროს გავივლი, ბედი საუკუნო სხვებისთვის წერია, უჩემოდ ივნებენ შენი მარტვილები, მე ყვითელ ენების კვართში გავეხვევი და შენ გიგალობებ ტანჯულის არიას, შენი ქოროები ცივად უარმყოფენ, ბაგას ჩაუუკვდები სხვის დედა მარიამს.

გუძღვნი ჩემს მეუღლეს

მე შენი არსების ტაძარში ვიცხოვრე, რეკავდნენ მწუხარედ საცისკრო ზარები, გეძებ და გეძახი, მოვედ და მიხსენი, მილხინე დალუპულს და შენში ჩამარხულს. ცივია ეს მიწა, ცრემლით მოზელილი, დაღუმდნენ ღმერთები, წარვიდა ყოველი. მე შენი ზეცის ქვეშ შენსავით ვიარე, ვეცნე და ჯვარიდან არ გარდამოვდი. შემინდე დალახვრულს წმინდა პოეზიით და ამოიყვანე ჩემი წიაღიდან უსამზეოო და მომკვდარი შვილები. მფარველი ხელები თვალზე დამაფინე და გადამავინყე მტანჯველი სიზმრები, საარებული და უზიარებელი. შენდამო სიყვარულს მივყვები ცათამდე, რომ შენი ტრაპეზის დაფარნებს ვემთხვიო.

დედის საყდარში მიწამიყრილო, ჩაბრუნებულო კვირტში, გამოიზამთრე და გაზაფხული მსწრაფლ მოივანე მარტომ. კვალად აღიმსთე, მზეს მიედრიკე, შენ, ოქროვანო სულით. მიწას დაეკრა ჩამოცვენილი შენი სიკვდილის ფრთები... მე შენთან ვდგავარ შენს დასამარხად და ვერ წავეყვები მას, ვინც მეტყვის, დაგტოვო, რომ შეეჭამო მიწას, ნიაღვარს, ცივ ქვებს... და მერე მშვიდად, შეუბრალებლად, ჩემს გადაარჩენას ვზრახდე. მე შენთან ვინვი და შენთან მინდა სიზმარშიცა და ცხადშიც. სადაც არა ხარ, ჯოჯოხეთია, სადაც იქნები — ღმერთი.

დასაწყისი პირველ გვერდზე

დიმიტრი ნიკლაური

ბროშკას ძიება



— ამ მეთოდს, ჩვენ რომ გვიმკლავდები, ფუჭი ბრალდება ეწოდება! — ჯიქურ მიუგო საუბარში ჩამრევმა.

— მასე ნუ იტყვი! მასე ნუ იტყვი! — ორჯერ გაუმეორა გროშკამ, — ჭეშმარიტებას რომ ეძებდეთ, სტილიც დალაგდებოდა და სტრიქონები ანდა ზებივით იჟღერებდნენ. აი, მაგალითად, ხომ ნათქვამია, სიბერემდე სიქაჩლო. ჩემს შემთხვევაში კი, რახან ახალგაზრდობიდან ქაჩალი ვარ და ბევრმა ხეტიალმა დამახეიბრა, ასე უფრო გაამართლებდა — სიბერემდე სიკოჭლო!

რომც ეფიქრათ, თავს გვაცოდებდნენ, მათი თანაგრძნობის იმედად როგორ იქნებოდა. ისინი ხომ წერიტაც ისე წერდნენ, გეგონება, გროშკასნაირების გაკვალულ ბილიკს ჩიხში შეეყვანათ და მიღებული სტანდარტისგან ათასგვარი ექსპერიმენტებით ცდილობდნენ თავის დაღწევას.

— რაღა დროს ანდა ზებია?! — შეიშმუშნა ახალგაზრდა, არც მე ჩამოგრჩებით ალმფოთების გამოხატვაშიო, — ეს დარიგების ნაცვლად გაროზგვას ჰგავს!

— ამდენ თავის მართლებას, იქნებ ლექსი წაგეკითხა? — გამოსავალი შესთავაზა გროშკამ.

— რომელი გირჩევნია? ჯერ რომ არ დამიმთავრებია, თუ რომელიც დავამთავრე, მაგრამ ჯერ არ დამინცია?!

— ამას მნიშვნელობა არ ექნება ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად!

ახალგაზრდამ კიბის ზემო საფეხურზე აინაცვლა, თითქოს სცენაზე შემდგარიყოს და გაჯგიმული შეუდგა კითხვას:

— ზღვიდან მოვარდნილ ქარს არ ძალუძს გორმახების ტალღებად ქცევა. მიძიმე ხეებმაც მოუმატეს ფოთლებით ხვნეშას; რადგან ნაყოფი ვეღარ გამოაქვთ და გრძნობენ, რომ გადახერხავენ...

კითხვა კმაყოფილმა გაასრულა და შეფასების მოლოდინში გროშკას ალმაცერი მზერა მიაჰყრო.

— ჰოო! — შეიცხადა გროშკამ, — მაშ შენც სხვებივით ჩვენ გაგკეცნლეთ. თანაც გვაიძულებ, მონუსხულმა გისმინოთ. პირზე რძე არ შეგშრობია, მაგრამ აზრს ისე მძვინვარედ აყალიბებ, თითქოს ხელები სისხლში გქონდეს ამოთხვრილი. რა უხეში წარმოსახვაა, ფოთლების შრილით გამოწვეულ ჰანგებს ხვნეშა უწოდო?!

— ფოთლები თქვენ დროს შრილებდნენ. ახლა პასუხისმგებლობა იგრძნეს და ხვნეშას უმატეს! — კვლავ გამოექმამაგანზე მდგარი პოეტი ავტორს, — რა საერთო უნდა ჰქონდეს დემოკრატიული ქვეყნების დეკორატიულ ხეებს ადგილობრივი მნიშვნელობის ველურ ტყეებთან?!

გროშკა ამის ახსნას რომ შესდგომოდა, ახალგაზრდებთან კამათი ცეცხლის გაღვივებას დაემსგავსებოდა, ხოლო იმხელა კოცონი არ უნდა დაენთო, ხანძარი გაჩენილიყო. როგორც კი ზურგს შეაქცევდა, ტრაბახს მოჰყვებოდნენ, ნახეთ, რა დღე ვაყარეთო. იმ ასაკში იყვნენ, შინაურების განადგურებას თავის მორიგ გამარჯვებად რომ მიიჩნევდნენ. სიმხნევებს წლების სიმრავლე შთააგონებთ, რომელიც ჯერ კიდევ წინ აქვთ და ამას სისხლის ყოველი წვეთით გრძნობენ. მოურიდებელ ყმანვლებს ვერ მოჰკითხავდი იმ დანაკარგს, ნაგავს რომ გადააყოლეს და ნაგავსაყრელებზე ფუჭად დაძრ-

წოდნენ. რას იპოვდნენ, რაც მხრწოლავ ცეცხლს დაენტქა.

2

მეორე დღეს გროშკას უთენია გამოელვია. გარიჟრაჟს ყოველთვის სიხარული მოაქვს, თუნდაც ვალი გქონდეს დასაფარი. მზის სიკაშკაშე მოოჭვილ ზარდახმას გაჩეჩებს, უფრო სკივრი რომ ეთქმის, რადგან იმდენ თვალ-მარგალიტს ფლობს, სამყარო კიდით კიდემდე ბრჭყვიალებამ მოიცვას. მინა სინათლის ხანძარში ეხვევა, გეგონება ჭეშმარიტების სამანებზე მიაწმენდესო — გროშკა ასე აღიქვამდა. ეს აქტი კი შესაძლოა, უქმეებშიც შემდგარიყო და სულაც არ იყო აუცილებელი, საშუალო დღის განრიგს დამთხვეოდა.

— დღევანდელი დღე შეცვლის ჩვენს ცხოვრებას! — მიმართა ცოლს, რომელსაც გაღვიძებას ვერასდროს ასწრებდა. ახლაც ჩამჩით ხელში ტრიალებდა ალუმინის პატარა ქვაბთან, მწვანისლ აქუცმაცებდა და წვნიანს რუდუნებით ხარშავდა.

— შენი ცოლად მოყვანა უფსკრულზე გადახტომას ნიშნავდა, მაგრამ მაინც გავბედე და ჩემს თავს სწორედ ამ სიმამაცის გამო ვცემ პატივს! — პომპეზურად აღნიშნა გროშკამ. ქალს გაელიმა. იცოდა რა ქმრის ხასიათი, კერძის შეკაზმვას რომ არ დაელოდებოდა, წვნიანი თვითონვე ჩამოუსხა. თეფში პირთამდე რომ გაუვსო, მარილი თათრიახნად ჩაუყარა. მერე სამარილე მიუწოჩა, თუ დააკლდა, შენი გემოვნებით დამატეო. როცა საზრუნავს მორჩა, ცნობის მოყვარეობამ სძლია, რა ცვლილებას გულისხმობო, ნუთუ პრემია დაგირიცხესო. მაგრამ ჭეშმარიტების ჯიუტი მაძებარი განაწვრილი ხომ ყველასთვის იქნებოდა ნუგეში, რომელთა რიგებში თვით ის პოეტებიც იგულისხმებოდნენ, ვის შემოქმედებასაც არ ცნობდა და რახან გულის სიღრმეში გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა, სუფრასაც თავადივით მიუჯდა და წვნიანის ხერეპას ისეთი შემართებით შეუდგა, თითქოს ბალახ-ბულახის ნაცვლად ხორციანი ბულიონი ყოფილიყოს. სახეზე გულგრილი გამომეტყველება აღბეჭდოდა და როცა ღარიბული საუზმე გაასრულა, სკამი მაგიდისკენ მისინა.

ჭეშმარიტების აღმოჩენა სახლიდან ადრინადა გასვლას გულისხმობდა. მან ნახევრად ჩაბნელებულ სადარბაზოს მიაშურა, ლიფტის დალოდებას კი კიბზე ჩასვლა ამჯობინა. ზოგადად მელიფტები არ უყვარდა, ადამიანებს კილოგრამობით რომ ზომავენდნენ. ამ სადარბაზოს ვინც ემსახურებოდა, კაბინასთან ოთხ კაცს თუ შენიშნავდა, სამას კილოზე მეტი ნუ ჩაჯდებოდა, მოთქვამდა ნუნუნით. თქვენ კი ხუთას კილოგრამამდე ჩანხართ, ამიტომაც კეთილი ინებეთ და ნაწილ-ნაწილ ადითო. გარეთ გამოსულმა გროშკამ ნაგვის პარკი ურნაში მოისროლა. ამ საქმეში ერთობ დახელოვნებულიყო. ყოველი დილა ამგვარი რიტუალით იწყებოდა. შავი კატაც ყოველ დილით შეშინებული უნდა ამოხტარიყო ურნიდან, მთელ პარამეტრზე რომ გადაეზრბინა ყალყზე შემდგარი ბენვითა და გროშკას სილუეტი სკენ მიმართული ჩხავილით და მისი გზები დაეთარსა. ამას ისე იყო შეჩვეული, იქით

ალარც იფურთხებოდა ნაგვის გასაქარწყლებლად.

კვირა დღე, სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, თავხესაყრელი რაოდენობის დროსაც ნიშნავდა, მაგრამ მიზანმიმართული გროშკა ინფრასტრუქტურათა ნაირფეროვნებაზე არ მოცდებოდა, თუნდაც მდიდრული საშხაპეები მარმარილოში ჰქონოდათ ჩასმული, როგორც არაბულ საფაშოთა საპირფარეშოებშია. რახან მისი ინტერესი საყოველთაო მიზანს ემსახურებოდა, გულგრილად ჩაუვლიდა სხვადასხვა დანიშნულების დანესებულებებს, თუმცა პურის მაღაზიასთან მაინც შეჩერდა და გამყიდველს დაუბარა, საღამოსთვის რუხი პური გადამინახეო.

— ბარემ ახლავე წაგელო! — უკმაყოფილოდ თქვა გამყიდველმა, ასეთების კაპრიზი ყელში რომ ამოსვლოდა, რომელთა ლოდინიც გვიანობამდე უწევდა. ეს იმდენად ხშირად დამართვია, ლამის ხელიც ჩაექნია, მაგრამ გროშკას ხათრს ვერ გაუტეხდა. ის ხომ ცნობილი პოეტი იყო, კაზაველის შემდეგ რომ მოიაზრებოდა. ეს შეფასებაც მისგან სმენოდა. გროშკამ საქმიანად იუარა, ახლა ამის დრო არ მაქვსო და საიდუმლოდ გაანდო, მოუცლელობაში რასაც გულისხმობდა. როგორმე ჭეშმარიტება უნდა დავადგინო, გაუმხილა ჩურჩულით. ელდანაკრავმა მეტურემ ყური სასწრაფოდ მოაშორა, თითქოს მოჭმას უპირებდნენ და გროშკას მრავალმნიშვნელოვანი მზერით გახედა, უპირველესად თანაგრძნობას რომ გულისხმობდა. მესმის შენი, ცხოვრების სიძნელეებს ბოლომდე ცოტანი თუ უძლვებენო, მთელი არსებით ანუგეშა. ბოლოს კი აუწყა, ჭეშმარიტება პურშიაო. მაგრამ გროშკა ამ ნათქვამმა დიდად არ აღაფრთოვანა. ზოგადად იგი გარემომცველ საზოგადოებას ბევრს ვერაფერს უგებდა. ადრევე დაასკვნა, რომ ქვეყნიერებაზე ადამიანთა ორი ტიპი არსებობდა — ზოგჯერ მართლები და ყოველთვის მართლები. ლამის ფსალმუნის სიტყვებში შეეტანა ეჭვი, ყოველი კაცი ცრუ არისო. თუმცა ასაკიდან გამომდინარე ემოციებს ზოგადად, ენერგია მთელი დღის განმავლობაში რომ ჰყოფნოდა და გულუხვად მიეძღვნა მჭვრეტელობასა და დაკვირვებისთვის. ხოლო სანამ მარადიული შეკითხვების პასუხის გამცემ ჭეშმარიტებამდე გააღწევდა, მოძიების ვრცელ პროცესს შეუდგა. მან უზის წიგნაკი უჯრებად დაყო, ასე ვთქვათ მოკლე მონაკვეთებად და იმ დაშორებებით დანომრა, თითო-ოროლა წინადადება რომ დატეულიყო. ამისთვის გვერდებზე სამი-ოთხი გრაფა ეყოფოდა. იმედოვნებდა, რომ ჭეშმარიტებას ბევრი მიკბი-მოკიბვა არ დასჭირდებოდა. მთავარი იყო, სათანადო რაოდენობის მოსაზრებანი მოეკრიბა, შემდგომში დანვრლებით რომ განიხილავდა. ეს დანაყოფები ხმამალა რომ დათვალა, ას რაღაც რიცხვი მიიღო და აშკარად ბევრი მომივიდაო, შეიცხადა.

ქუჩაში მიმავალი გროშკა ისე გამოიყურებოდა, თითქოს მღვერებს დასხლტომოდა ხელიდან, მისთვის დილეგში რომ არ ეკრათ თავი. ცხოვრება იმისაა დასკვნები გააკეთო, გაიფიქრა მან. ამ მიზეზით უცნობ გამვლელებსაც უგდებდა ყურს. დიდად ნაკითხი რახან იყო, აზრი შემთხვევით გაგოწილიდანაც გამოჰქონდა. უამრავ შეკითხვათა შორის პასუხი მცირედზეც რომ მოეპოვებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა მიზანთან მისაახლოებლად. მორევში ხომ ათასობით თევზი ირევს, მეზადურებს კი მხოლოდ ცოტაოდენი თუ ამოაქვთ. თუმცა ესეც საკმარისია მიმძილის მოსაკლავად. გროშკა თვლიდა, რომ ქალაქური ცხოვრების რიტმი ჭეშმარიტებას პროვინციებისკენ განაშორებდა, სადაც ჯერაც ყველაფერი ნამდვილი იყო. ამიტომაც ძებნა სხვაგან ამჯობინა. ეს ქალაქი იმდენად დიდი იყო, ჯერ კიდევ ათი წლის წინ ითვლიდა მილიონ მოსახლეს. მერე კიდევ უფრო იმატა. სათვალავიც კი აერიათ. ვინც აქ ცხოვრებას გადანყევტდა, ჯერ მტვერსა და ხმაურს უნდა შეჰგუებოდა, ხოლო მოჩვენებით ზემზე ყალბი ზანზალაკების ჟღარუნში განაფულიყო, თავისებურ მელოდიად რომ აღექვა, რაც აქაური მიეთ-მოეთის შესაცნობად წაადგებოდა.

გროშკას ერთხანს ყურყუტი თუ მოუწევდა, ეს დიდად არ ანაღვლებდა. ისედაც ათასი საფიქრალი ჰქონდა და დროს ამისთვის გამოიყენებდა. იგი სადგურის სალაროსთან შედგა, კედელზე გაკრულ რუკას რომ გასცნობოდა და მგზავრობის მიმა-

რთულება დაედგინა. მისი სამშობლო იმდენად პატარა იყო, მოზრდილ სოფელსაც ქალაქს უწოდებდნენ. საგარეუბნო მატარებლიდან პირველივე დასახლებულ პუნქტში ჩამოვიდოდა, გორაკებს რომ შენიშნავდა. ეს ურყევი კაპრიზი იმ წარმოსახვამ განუმტკიცა, ჭეშმარიტება უთუოდ მთებში იქნებოა დავანებული. იქ ხომ პირქუში ხალხი ცხოვრობდა, საღამოობით შემის ტკაცუნს რომ უსმენდნენ ბუხრებთან მიმსხდარნი. ძილს მთქნარებით ეგებებოდნენ, გაღვიძებას კი თვალების ფშვნეგით, ხოლო წარმატების მიღწევა ღრმა დაფიქრებას აიძულებდა, რაც მათ მიმართ მეტ მოკრძალებას აჩენდა.

ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა, მძიმე ბარგს განძეულივით რომ დარაჯობდნენ. ამ ჩერჩეტაგან ბრძნულ გადაწყვეტილებას არც მოელოდა. ამიტომაც არაფერი უკითხავს. რომც ეკითხა, მდუმარედ იდგებოდნენ ფერხითი გამწკრივებულ მძიმე ჩანთებს დაჩერებულნი და კრინტსაც არ დაძრავდნენ. სველი ჭილოფები გორგლებად დაეხვიათ, გეგონება წვიმამ გაჟლინათო. სინამდვილეში სამრეცხაოდან ისე წამოვლით, გაშრობას არ დაელოდებიან, ტრანსპორტს რომ არ გაესწრო. საითაც მიდიოდნენ, იქაც მოქუფრული ამინდი დახვდებოდათ. ნესტი ამ გორგლებს ძენძად აქცევდა, ჩამბალ ქსოვილს კი ვერაფერში გამოიყენებდნენ, უვარგის მასალად მიიჩნევდნენ და ტილოებად დაფხრებდნენ სამხაპეში დასავენად. თუმცა გროშკამ ეს ფიქრი უკუაგდო, ჭეშმარიტების დადგენას არ ემსახურებოა.

3

მატარებელი სანამ მონოტონურ სიჩქარეს აკრეფდა, ერთხანს მძიმედ მიჩაქჩაქებდა. ასე ერთი საათის შემდეგ მოზრდილი დასახლება გამოჩნდა. გროშკამ შემალეებული ბორცვები რომ შენიშნა, ბაქანზე ჩამოვიდა და სვლა კოჭლობით განაგრძო. ჭეშმარიტების მაძიებელს ყოველი ნაბიჯი დინჯი და მოზომილი უნდა ჰქონოდა, მნახველს შორიდანვე რომ ეფიქრა, უბრალო საქმეზე არ მოსულაო. მალე იგი მშვენიერ ჭალაში აღმოჩნდა, გორაკებით რომ იყო გარშემორტყმული. ზედ განლაგებულ შენობათა სახურავები იქაურთა გვირგვინად ედგა. გორაკების ფერხითი ვიწრო მდინარე მიიკლაკნებოდა. მშრალი ნიადაგი გორმახებიანი აღმოჩნდა, ფეხქვეშ ყრუ ჩქამს რომ გამოსცემდა, რაც ხრამუნი ბელტების დაფშვნით იყო გამოწვეული. გროშკა ამ ხმას ექოდ აღიქვამდა, რაც კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენდა, ვიდრე პასუხის გაცემა ძალუძდა. კონწიალა ხიდს ისე მიადგა, მხარი მექცაო, გაიფიქრა. იქ კი შეებით ამოისუნთქა, რადგან ფონის ძებნა თუ მოუწევდა, იძულებული იქნებოდა, ჭეშმარიტება ამ ნაპირზე ძეგლს ეძებნა. მდინარის წყალი მუხლებამდე ძლივს მისწვდებოდა, მაგრამ ფეხის დასველება არ სურდა. იგი მეორე ნაპირზე პირველადმოჩენის აღფრთოვანებით გადავიდა. გზაზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე სულიერი. რაოდენობის სიმცირე მეყსეულად იწვევდა ადამიანთა მოხატვრებას, ქალაქის მომახბერებელი რიცხვისგან განსხვავებით მთარულ აჩრდილთა გულისცემაც კი გაისმოდა.

გროშკა დარბაისლური მანერებით გამოირჩეოდა. იგი უცხოის ყოველთვის მონინებით ეპყრობოდა. ახლაც, მინდორში ჩავლისას, ცხენის ჭიხვინი შემოესმა და რატომღაც ქუდი მოიხადა. უცნობი მხედარი რაშებით მოვაჭყრს ჰგავდა. იმიტომაც დააჭენებდა, მყიდველისთვის ღირებული საქონელი თვალსაჩინოდ რომ წარმოედგინა.

გროშკას თუ ზემთაგონება ეწვეოდა, ბარბაცით დაიარებოდა. ამას ხეიბრობას მიაწერდნენ, მაგრამ დამრეცებზე კოჭლობა ბუნებრივად აღიქმებოდა. იგი დროდადრო ჩერდებოდა და ლანდშაფტს გადაჰყურებდა. მდინარეში შეჭრილი კონცხი წამახულ ჯოხს მიაშსვავსა, წყალნაღებულისთვის გაწვდილს. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი ჭეშმარიტების დასადგენად. ყოველი ემოცია წარმოსახვას უმძაფრებდა. მშვენიერი გარემო, გროშკას კაბინეტში მდგარი მაგიდისა და წიგნების დაფხავებული კარადისგან განსხვავებით ცხოველმყოფელ სიხარულს აფრქევდა. მან უბის წიგნაკი ამოიღო, თითქოს პირველი ნიშნულისთვის მიეგნო, ამ გზაზე აუცილებლად რომ უნდა გადაჰყოდა და ჩაიწერა:

„დრო მდინარეს ჰგავს, ყველას თავის ჭავლებში რომ გვიქცევს, ოღონდ წყლის

ნაცვლად სხვა შემადგენლობა აქვს — ჩვენივე სისხლის, ცრემლისა და ოფლისგან შედგება და ჩათრევა სჩვევია განსხვავებით ნამდვილი მდინარისგან, რომელსაც შორიდანაც შეგიძლია უმზირო უდრტვინეულად“.

ჩანანერი ჯერ ინტერესით გადაიკითხა, მერე კი გულგრილობამ მოიცვა. რახან გამოთქმულ მოსაზრებაში სხვა სიღრმეს ელოდა, ჭეშმარიტება სიტყვებით გამოხატვაზე მეტად შეგრძნებებში გვეძლევაო, დაადგინა. თუმცა მთლად უკმაყოფილოც არ ჩანდა და გზა მხნედ განაგრძო. დიდხანსაც არც უფლია, გონებაში მორიგმა გენიალურმა აზრმა რომ გაუელვა, რაც დასახლების თავზე საფლავების დანახვამ განაპირობა. ყოველ შემთხვევაში მიზეზად ეს მიიჩნია.

„ჩვენ იმ პირობით ვიბადებით, რომ უნდა მოვკვდეთ. კარგი იქნება, თუ გარდაცვალება შესვენებას დაემსგავსება ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ“.

ამ მეორე ჩანანერით პირველზე უფრო კმაყოფილი დარჩა და გზა მხნედ განაგრძო. დასახლების შუაგულამდე ისე მიაღწია, კაცის ჭაჭანება არ ისმოდა. ბაღჩეში თუ საქმიანობენო, გაიფიქრა, რადგან მიმდებარე ფერდობზე ექმოდბილი ნაკვეთები შენიშნა. სოფლის იერსახე ფუტკრის სკვებით, კომშის ხეებითა და სიმძღრის აღმნიშვნელი სხვა დეკორაციებით იყო წარმოდგენილი. მსუქანი ბატები ნათესებში დაგოგმანებდნენ, ზეთისხილის ბაღჩები ცვარში ბზინავდა.

დასახლების მცხოვრებთაგან თავდაპირველად უცნაური ფერის კატას გადაეყარა, გაქუცული ბენვი ნაცარში ამოგანგლულს რომ მიუგავდა და მზერაც გაცილებით ნალვლიანი ჰქონდა, ვიდრე ქალაქის ურნებთან მოხეტიალე გოროზ კატებს ალენიშნებათ, ადამიანის გამოჩენაზე რეაქცია რომ არ გააჩნიათ. მხოლოდ კუდს თუ აიპრეხენ ამრეხით. ადგილობრივი კატა მშვიდი და უწყინარი ჩანდა. გზაზე მკვდარი ჩიტი შენიშნა და კანტორის სახურავიდან მჩატედ ჩამომძვრალი საკბილოს ფეხაკრეფით უახლოვდებოდა. მცირეოდენ ხმაურზე მიყურადება სისხლში ჰქონდა გამჟღავრი. ამიტომაც დაფრთხა გროშკას დანახვაზე და ცოტა ხნით განრიდება არჩია. თუმცა შორსაც არ წასულა და მის ჩავლას დაელოდა. გროშკა ერთხანს გულნატკეკნი შედგა. ჩიტის სიკვდილით ხომ კიდევ ერთი ლაღი ბგერა მოაკლდებოდა ისედაც მგლოვიარე ფერებით დადღაბნილ სამყაროს, მაგრამ რახან მაინც აღესრულა, კატის ულუფა თუ გახდებოდა, არაფერი დაშავდებოდა. გზა რომ განაგრძო, დაკლანკილმა ბილიკმა თავგზა აუზნია, თითქოს იმისთვის გაეკვალათ, თავი რომ ვერ დაეღწიათ. თუმცა იმისთვისაც მზად იყო, ჭეშმარიტების ძიება ქარაშოტებს თუ გადაყრიდა. დასახლებას რომ გაცდა, ისევ აღმართები დაიწყო, გეგონება, წყევლის ტექსტში ეწერა ასე, ერთ წრეზე რომ ევლო გამუდმებით. გორაკები სხვა არაფერი იყო, თუ არა, ამოზრცული ზედაპირი. მინის ქვეშ მიმდინარე მოვლენების შესახებ განა ვინმემ უწყოდა?! მიწა ხომ ცასავით გამჭვირვალე არ იყო. გადმოსახედიდან ქვაბულის დანახვამ განვლილ ცხოვრებაზე დააფიქრა. მან ნახევარი სიცოცხლე შარში გაატარა, ნახევარი შიშში და სავარაუდოდ აღსასრული სრულ გაუცხორობაში მოუწევდა. იგი არასდროს ყოფილა თავის სიმართლეში დარწმუნებული. რაც გულით ენადა, დანაშაულად მიიჩნევდა, თუკი კეთილისმყოფელთან არ შეათანხმებდა. საზოგადოება განყენებულ ჯგუფებად წარმოედგინა, უცხო სცენაზე მყარად რომ დამკვიდრებულიყვნენ. თვითონ მის მიღმა რჩებოდა, ცივ კედელს მიყრდნობილი, გეგონება, მხოლოდ სხვათა სიხარულით უნდა დამტკპარიყო და აღტაცებაც ისე გამოეთქვა, ზედმეტად არავინ შეენუხებიანა.

უცებ გროშკამ შემხვედრი მიმართულებით მომავალი ჯგუფი შენიშნა, რატომღაც ბოროტმოქმედებად რომ მიიჩნია და აღელვება დაეტყო. მოეჩვენა, რომ ბასრი საგნებით იყვნენ აღჭურვილნი. თუმცა მალევე დამშვიდდა. მას ხომ სამშობლო ჯერ იმდენად არ უყვარდა, მოსაკლავად გაემეტებიანათ. მართლაც, ისე ჩააურეს, მისთვის ზედაც არ შეუხედავთ. მშრომელებს უსაქმურისთვის სად ეცალათ. შორიდან იარაღი რომ ეგონა, ნერაქვები აღმოჩნდა. ცოტა ხანში გზაზე გადაყრილ გლეხთან მოუწია მისალმება, შესაძლოა, იმათან ერთადაც რომ იყო და ჩამორჩენილია. გროშკას მის

ღიალექტზე რომ ესაუბრა, ჯერ ენის მოჩლექაში უნდა განაფულიყო. თუმცა არ დაბნეულა და სამეურნეო საკითხებზე გამოელაპარაკა, რატომღაც დაასკვნა, კეთილი გული აქვსო. შეკითხვაზე, რასა იქმთ, როგორ ცხოვრობთო, მდინარეს სარწყავად ვიყენებთ, მიწა კი მოსავლით გვაჯილდოებსო, ცხოვრების განრიგი გულლიად აღუწერა. თან საქონელიც ბლომად გვყავს და არაფერი გვიჭირსო, დაამატა. ხეპრული, მაგრამ გულმართალი ბაასი ხშირ პაუზებს გულისხმობდა, დაფიქრების საშუალება რომ მისცემოდა. იგი ადვილად განჭვრეტდა, კარტოფილის დათესვა რომელ ნიადაგში სჯობდა. სულის მოძრაობისა კი არაფერი გაეგებოდა. ან რა საქმე უნდა ჰქონოდა იმ სამყაროსთან, სადაც კვებას არ საჭიროებდნენ. ხენისა და თესვის მეტი ხომ არაფერი იცოდა. მონაჩმახსა და გამოგონილს ნამდვილისგან ვერ ასხვავებდა, თუმცა ამის პრეტენზიას არც გამოთქვამდა. გროშკამ სოფლის ამბები ისე წვრილად გამოჰკითხა, თითქოს აქ დასახლებას აპირებსო. ღარიბულ ქოხმახებს საძირკველი უთუოდ ქვიტკირისა ექნებოა, გაიფიქრა მან. მართალია წვალობენ, მაგრამ საპირწონედ ნატურალური პროდუქტებით იკვებებიანო.

— აქ რომ მეცხოვრო, საქონელს ბლომად გავიჩენდი. სარეველას გავმარგლავდი და ბოსტანს შემოვლობავდი, უზმოზე ქორფა მწვანილი რომ მიმერთვა და ცხვრების ბლავილისთვის მეგდო ყური! — მედიდურად აღიარა გროშკამ, მაგრამ ეს სიტყვები არადაზაფერებლად გაუღერდა, რადგან სულით და ხორცით ქალაქელი იყო, ყოველთვის მალალ წრეებში რომ უწევდა ტრიალი, სანამ ამ მიწაყრილებს არ მოაკითხა ჭეშმარიტების საძებნად. გლეხი უღიმოდა, თითქოს მდგმურობაზე თანხმობას უცხადებსო. ამასობაში ვიღაც სხვა კაცი მოადგათ სტვენა-სტვენით, ყალთაბანდი ვინმე რომ ჩანდა. ყოველ შემთხვევაში გამრჯე კაცის არაფერი ეცხო. მისი მზერაც კი ტყუილებს განემსჭვავლა, ოჯახს გარჯაზე მეტად ხელმწუღობით რომ დაატყობდა ხელს. მათ საუბრას ერთხანს უსმინა, მერე კი, თქვენთან როგორღააო, ჩაეძია გროშკას. თუმცა ესეც გულსგარეთ იკითხა. მისხალი ინტერესიც არ ჰქონდა ქალაქური ცხოვრებისა. უბრალოდ ერთადერთი საქმე, რაც ლაზათიანად გამოსდიოდა, ლაზლანდარობა იყო.

— ჭეჩხები კორპუსებით გადავტიხრეთ. მათ შორის ისე დავიარებით, გეგონება, საქმე გოლიათებთან გვექნოდეს. ქალაქმა ბუნება უარყო. ველური მგლები და აფთრები მოთვინიერებულ ძაღლებად და კატებად გადაკეთდნენ. მრისხანე ღრიალი ყეფითა და კნავილით შეიცვალდა. სახელმწიფოს განვითარებამ სხვა მიმართულება მიიღო. არ ძალუძს იმ ფორმით არსებობა, გამირთაგმირებს რომ წარმოედგინათ! — მწუხარე სურათი დახატა გროშკამ.

— მაინც იმაზე კარგად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ! — ისევ კეთილად განსაჯა გამრჯე გლეხმა და კიდევ ბევრი საგულისხმო სიტყვა მოაყვანა. საიდან აქვს ამდენი გონიერებაო, აღტაცება გამოხატა გროშკამ და სივრცეში თვალების ცეცება დაიწყო, სათქმელს ნამდვილად ანგელოზები კარნაშობენო. შარავანდედს თუ დაეძებდა, ზეციურ ძალთა ხილულ მხარდაჭერას და უბრალოების ზეიმს, ღიადი შუქით გასხივოსნებულს. უცებ წვრილმა სინათლემ მართლაც იელვა თვალწინ.

— რამ გაიბრწყინა? — იკითხა შემცბარმა.

— აბლაბუდა იქნებოდა! — უპასუხა გლეხმა და ხელი ჰაერში მოაფათურა. იმ ყალთაბანდმა კი, აბლაბუდა აბლაბუდაო, სიცილი ატეხა. ისე ხალისობდა, მარტოც რომ ყოფილიყო, მშვენიერ დროს გაატარებდა.

აქაურ საზოგადოებას სხვა მახასიათებლები აღმოაჩნდა, გროშკასთვის უცხო. მან დადლილობა იგრძნო და ხელები უმწეოდ გაასავსავა. გზის თვალუწვდენელობამ ქანცი გაუწყვიტა, სიშორემ მზერა დაუშრიტა და მარტობა აგრძნობინა. იგი ყურს ველარ მიუგდებდა თავშესაქცევ ამბებს, თუნდაც წკრიალა ზანზალაკებით ნაუწყებს. ვერც ძველბური ინტერესით ათვალერებდა მსხმოიარე ხეებს და ფართო კარმიდამოებს. გლეხებს ცივად გამოემშვიდობა და ორლობეში განაგრძო გზა, ერთ-ერთ ეზოსთან კი შედგა. იქ ქალი შენიშნა, ასე ოცდაათი წლისა რომ იქნებოდა. ასაკი, რომელიც ამ ყოვლისმომცველ ზეიმთან ამორებდა, ნაღმებით გადათხრილ ღრმა ორმ-

პროზა 7

ოდ ექცა. მის წინაშე თვით ნიმფა იდგა ჟღალი კულულებით. ისეთი მიზნდილი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს თივის ზეინში სძინებოდა. თოვლივით ქათქათა კანზე მზის სხივები მიჰჟვენოდა, მის ნატიფ ნაკვთებს ზღაპრულ იერს რომ მატებდა. ჭეშმარიტების ჯიუტი მაძიებელი არ დაუშვებდა, რაიმე სანახაობას მოეწყვიტა მზერა, რომელიც გზიდან გადაახვევინებდა, მაგრამ აქ მაინც დიდხანს შეყოვნდა. მშვენიერების ხილვით გაბრუებულს სახეზე ორჭოფობა აღებქდა, რაც ასაკობრივ სხვაობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. გაოგნებული შეჰყურებდა ქალს და ფიქრობდა, აი, თურმე სად უნდა ეძებნა პოეტური ზემთაგონება და მიჯნურთა მიჯნა. ლექსი ხომ მანამ იწერება, სანამ ქალის სილამაზეს აღფრთოვანებაში მოჰყავხარ. უსაზღვრო აღტაცება რომ დაემალა, ნირნამხდარმა ხმა დაიბოხა, რხიით რომ მიემართა, წყალს ხომ ვერ დამალევინებო. უნდოდა, ეთქვა, შენს მიერ მოწოდებული, ორმაგად გემრიელი იქნებაო. ერჩია, ცოლად პოეტს რომ გაჰყოლოდა, ზემთაგონება ყოველ წამს თვალწინ ექნებოდაო, მაგრამ ხმა არ გაუღია. ქალმა დოქი გამოიტანა და ანიშნა, ლობესთან დატოვეო. თვითონ კი შინ შევიდა და ალარც გამოჩენილა. გრძელი შტორებიც კი ჩამოუშვა ფანჯრებზე, თითქოს წყალობის დრო ამოწურა. თხემით ტერფამდე განადგურებული გროშკა ლასლასით ნაჩანჩალდა ერთფეროვანი ცხოვრებისკენ, რომელსაც ისე იყო შეჩვეული, გეგონება ეს კალატორზე მდგარიყოს. იმაზე ფიქრობდა, ნუთუ ყველაფერი წარმავლობის კანონს ემორჩილება და ოდესმე ეს ნატიფი ნაკვთებიც ნაოჭებად იქცევა და ნაჯიჯგნ ბელტებს დაემსგავსება. რაში გამოიხატებოდა სილამაზის უპირატესობა?!

4

დაუსწრებელი ზეიმიდან წამოსული გროშკა სასაფლაოს კარიბჭეს მიადგა. საუკუნო განსასვენებელი მდუმარებას მოეცვა, ალარც კითხვებს რომ აღარ აჩენდა და არც პასუხებს საჭიროებდა. ხანძარიღ და-ღიშული კაცი ბრძოლის ველზე დაცემულთა გასწვრივ განისვენებდა. მათ შორის ხის მერხი დაედგათ, თითქოს ბედისწერათა გასამიჯნად. წითლად შეღებილი ქვა მოგიზგიზე ცეცხლის შთაბეჭდილებას აღძრავდა, გეგონება ცეცხლფარეშთა ლოცვაც გაისმებაო. წარმოსახვითი სინათლე ბუქტვით სადამდეც მისწვდებოდა, სხივებსაც მოჰვენდა. გრიფელის დაფაზე დაკანრულ სიტყვებს რამპის შუქად მიადგებოდა, სადაც ხანძრის შესახებ ეწერა. ომში დაღუპულები უფრო მშვიდად განისვენებდნენ მიწაში, ზალპებით დამტყვლულს რომ ჰგავდა და ჰაერშიც ტყეცია-წამლის სურნელი ტრიალებდა. უდავოდ მათი დამსახურება იყო, ამოჟუჟვას გადარჩენილები აქ ცხოვრებას რომ აგრძელებდნენ. საფლავებზე აღმართული თაბაშირის ქანდაკებები ცოცხლებივით გამოიყურებოდა. პრილახ ნაჯვლებს ლაჰლაპი გაჰქონდა, ეპოლეტებს ზომჭყვიალი. ომის ჟღრიალი კარგა ხნის წინ მიმწყდარიყო. კოხტად გამოძერწილი თაბაშირის მუნდირები მათ შემართებაზე მეტყველებდა, ბრძოლის ველზე რომ მიეგნოთ თავიანთი სიკვდილისთვის. სასაფლაოს შუაგულში სამრეკლო იდგა. ქვითკირის კედელში მჭიდროდ ჩასმულ კერის გროშკა მოწინებით მიანვა. რკინის ანჯამები საწყალობლად აჭრიალდა. სამრეკლო საფლავებზე ადრინდელი იქნებოდა. ჭირისუფალთა მცდელობა, თავიანთი მიცვალებულები მის ირგვლივ დაეკრძალათ, უკანასკნელ საზრუნავს ჰგავდა. გროშკა იმვეარმა ფიქრებმა წაიღო, თითქოს უკვე გარდაცვლილი ყოფილიყო. გახუნებული საგნებისგან შემდგარი სამყარო ერთფეროვნებას მოეცვა. საკუთარი თავი ერთ-ერთ საფლავში წარმოიდგინა, გეგონება რამდენადაც მშფოთვარედ ეცხოვრა, იმდენად მშვიდად დაეკრძალათ. სიპ ქვას წარწერა ამშვენებდა: აქ განისვენებს გროშკა, ჭეშმარიტების გაუტეხელი მაძიებელი, გზას მანამ რომ იკაფავდა, სანამ უკანასკნელ წიაღს არ მოადგა. ეს შეგრძნება დიდხანს გასტანდა, მოულოდნელად საიდანღაც გამოიტყვრალ ძაღლს რომ არ დაეყვია. გროშკა ფიქრებიდან გამოერკვა და იმ აზრთან შეგუება მოუწია, ჯერაც ცოცხალი რომ იყო და არსებობა უნდა განეგრძო. იგი საფლავებს შორის მდებარე მერხზე ჩამოჯდა და წერას შეუდგა:



დასასრული

„მთელი დღის ხეტიალით დავადგინე — თურმე ფუჭად ვიმედოვნებდი, რომ ზღუდეთა გადამლახავს ჭეშმარიტების ხილვით დამაჯილდოებდნენ. საძებნი ბევრი არაფერია. ზუსტ რეცეპტსაც რომ მივაგნო, უსამართლობა იქნებოდა წინა თაობების მიმართ, რომელნიც ისე აღესრულნენ, ამ დოქტრინას არ გასცნობიან. სიმართლე საყოველთაოა და ყველას თანაბრად შეეხო, მორიგი სიმართლის გამოგონება კი ურწმუნოების ნიშანი იქნებოდა, ადამიანთა უგუნური ჩარევა ღვთის მიუწვდომელ საიდუმლოებებში. ფარული ამპარტავნება გვაიძულებს, სხვა ვერსიები ვეძებთ. სინამდვილეში ის გვაკომპლექსებს, ღმერთმა რომ შეგვქმნა, თითქოს თვითონვე შევქმნილიყავით ბუნების იმ კანონთა გამოისობით, რომელსაც შეუძლებელია ავტორი ჰყოლოდა. ჩვენზე გონიერს ვერ წარმოვიდგენთ, რადგან მინდობა გვაკლია და ამაყად მივყევებით მღვრიე ჭავლებს უმწეო ორჩხომელებითა და მოტორტმანე ნავეებით, გეგონება, საუკეთესო ხომალდები გვეკონოდეს და თან ვიმედოვნებდეთ, სამშვიდობოს გავალწევთ. არადა დრო მხოლოდ სიკვდილამდე გვეძლევა და იმის ნაცვლად გაღწევას მოვახმართო, სრა-სასახლეებზე ოცნებაში გაგვყავს. ცხოვრება ზოგჯერ პატივით გვეპყრობა, თითქოს ციური ფრინველები ვიყოთ, ზოგჯერ კი ბუდეებს გვინგრევს, თავისუფლების ზეიმი გალიებში რომ განვიცადოთ. გონებით ყველაფრის ზედმინეგნით წარმოსახვას ამაოდ ვცდილობთ, რადგან შეგრძნებები გულში ჩნდებიან, როგორც ვარსკვლავები ღამეულ ცაზე. გამოსავალი არც წყობილების შეცვლაშია. ყოველი რეჟიმის ბერკეტი ხელკეტიან. წესრიგის დამცველებს თავადნი ისე უეცრად, თითქოს მიმდებარედ ცეცხლი გიზგიზებდეს. სიცოცხლე უგრძესი გეგონია, მაგრამ ღმერთი სამსჯავრო საყდრის წინაშე წარდგომას თუ მოინადინებს, განა ჩვენ სიბერეს დაელოდებ? უბის წიგნაკი მრავალსიტყვაობასაც დაიტევდა, თუმცა რა ძალუძს კალამს, თუკი მელანი დაიშრიტება?! განა ფიქრები ცეცხლის ნაკვალევით იტვიფრება ჩვენ გონებაში?! განა ოდესმე კითხვა-პასუხის რეჟიმს ამოვწურავთ?! გეგონება, გზაჯვარედინზე ვიდგეთ და ვერ ვწყვეტიდეთ, საით წავიდეთ. მაშ როდისღა უნდა ვიღვანოთ? დახშულ კარიერებთან დგომა განა ციებ-ცხელებისგან გაგვეკურნავს? ანდა განა ამას საბადოს პოვნა შეეძლოს?! თუ პირიქით, სიშლეგეს გვმატებს?! ზეიმს მხოლოდ იმ მიზეზით ვანყობთ, სხვა დღეებისგან რომ განვასხვავთ. ჩვენი დუმილი ამოვხვრიდან ამოვხვრამდე გრძელდება. რისი მოპოვებაც გვწადია, მარგალიტით თუ გაიბრწყინა, წასართმევად მოგცვივდებიან. ცხოვრებას ამოჩემება სწვევია და ვისაც შეუწინდება, დათრგუნავს კიდევ. სასჯელს იმ შემთხვევაში დავალწევთ დროს, შეურაცხადელ თუ შევირაცხებოთ. დროს ამ ქვეყნის საგზალია და სანამ არ გამოვლევთ, იმ ქვეყნის ხილს ვერ ვიგემებთ. განა მზე იმიტომ ამოდის, ჩვენი საქმეები რომ წარმოაჩინოს?! ეს ხომ მთვარის უღიმღამო შუქზეც იქნებოდა შესაძლებელი. გამოსავლის პოვნას ჩიხბი მიმწყვდეული ცდილობს, უკანასკნელი ახსნა გაჭრილი ვაშლივითაც რომ ჰგავდეს თავდაპირველ განმარტებას. ეს საჩხრეკით მუგუზლის ძებნას ჰგავს ჩამქრალ ღუმელში. ჩვენ კი ჭოჭმანს განვაგრძობთ. კანონმდებლობა ისე ვერ გაგვმსჭვალავს, ნირი შეგვაცვლიყვინოს. გულუხვი რომ გავხდეთ, ძუნწობა უნდა მოვიტყუროთ. კაცობრიობას რომ მოვაკლდებით, სასუფეველს უნდა მივებატოთ!“

გროშკამ წერა შეწყვიტა და ირგვლივ კმაყოფილებით მიმოიხედა. უცებ ვერც გამოერკვა, სად იმყოფებოდა. მხოლოდ ის თქვა, მორს წამოვსულვარ და სჯობს უკან დავბრუნდეო. ფერდობზე რომ ეშვებოდა, ისე მძიმედ მიჩლახუნობდა, თითქოს თექის ფეხსაცმელები თუჯისგან ყოფილიყო ჩამოსხმული. სარტყელიც რკინის ნაკეთობასავით უბზინავდა. ამგვარი აღკაზმულობით აღჭურვილი დაფხავებული ფარდულს მიადგა, ერთგვარ სახელოსნოს, შორიდანვე რომ შენიშნა. ფარალალა ფიცრულს ჭიშკარი ისეთი ჰქონდა, სასახლესაც დაამსვენებდა. პირქუში მეპატრონე ჩაქუჩით თაროს აჭედებდა. გროშკა რომ შენიშნა, თავისთან იხმო, ხმის გამცემი მენატრება და ეგებ ორი სიტყვა გვეთქვაო. გროშკამ



იუარა, მატარებელს მივყვებიო დედაქალაქში. მეფარდულემ ჩირგვებს შორის გაკვალული ბილიკი დაანახა, მაგაზე არ იდარდო, ეს უმოკლესი გზა არისო. ბაქანთან იმდენად ახლოს ვიმყოფებით, პირველი საყვირის ხმაც რომ გაისმას, მაინც მისაწრებო, დაუყვავა და მომცრო ჭიქებში კონიაკი ჩამოასხა. მატარებელი მესამე საყვირის ხმაზე გადისო.

— კეთილი! — დაჰყავლდა გროშკა. — სტუმარი რომ მოდის, ეშმაკები გარბიან! — ისე შთამბეჭდავად წარმოთქვა მეფარდულემ, გროშკამ გაიფიქრა, უთუოდ სადღეგრძელოს ამბობსო და თანხმობის ნიშნად კონიაკი თავის კანტურით შესვა. — ჩემი სეტერი ხომ არ დაგინახავს? — ჰკითხა მეფარდულემ. — ჰო, სასაფლაოსთან ყეფდა! — მოვა, სად წავა! — გორაკს გახედა, — მეც შეგნიშნე, რაღაცას რომ წერდი გაშალე. ხელი არ შეუშალო-მეთქი, გამოგეცალე. მკვდრებს ხომ არ აღნუსხავ? — ჭეშმარიტებას ვეძებ, უფრო საფლავებზე რომ მეგულება და იმ ქვეყნის გამოძახილს მაგონებს, სინდისის ხმასავით უტყვს! — განმარტა გროშკამ და შუბლი შეიჭმუნხა, — იქაურ მკვიდრთ მინიერი ცხოვრება რახან უკვე გავლილი აქვთ, ეგებს სიოს ხმა სიტყვებით ჩამესმას-მეთქი. თუმცა ასეც რომ იყოს, რა შეღავათი ექნებოდა მათ?

— სიო რასაც ჩურჩულებს, ბალახებს ეკუთვნის. ცოცხლებიც და მკვდრებიც მის მიღმა ვართ!

— შენც ფიქრობ ასეთ იდუმალ დეტალებზე?

— ფიქრისთვის სად მცალია. ათასი საქმე მაქვს. აგერ, იქით ფერდობზეც გავმართე ამგვარი ფარდული. გასულ კვირას ქარმა ჭერი გადახადა. იქვე გდია, ან სად უნდა ნასულიყო. ვერ მოვიცალე შესაკეთებლად! ერთხანს ხმა არ გაუღიათ. მხოლოდ ჭიქები ჩხარუნობდა. მერე სივრცეში ყრუ ქმენა გაისმა.

— მაგონი, მატარებელია? — ყურები დაცქვიტა გროშკამ.

— არა, ჭექა-ქუხილს ჰგავს! — თქვა მეფარდულემ, — იწვიმებს!

გროშკამ მხრები უნდობლად აიჩეჩა. საკმაოდ ცხელდა, მაგრამ რახან ეს საქმე ბუნების ნიაღში მცხოვრებს უკეთ ეცოდინებოდა, ჭერს ახედა, კიდევ კარგი ქარმა ამ ფარდულსაც არ გადახადაო. თუკი წვიმაში მაინც მოჰყვებოდა, იქნებ ქალაქში დაბრუნება მოესწრო. სველი ქვაფენილი ფეხსაცმელებს წუშითა და ტალახით მაინც არ დაუსვრიდა.

— აგერ, კიდევ იჭექა! — თქვა მან, მჭახე ბეგრები რომ განმეორდა.

— ეს უკვე მატარებლის ხმაა!

— როგორ არჩევ? — დაინტერესდა გროშკა.

— სულ ამ ხმებს ვუსმენ. მთებში წვიმს, ბარში მატარებლები დადიან. ისინი სხვადასხვა სივრცეს ეკუთვნიან!

— ეგ რას ნიშნავს?

— განა მატარებელი წვიმას შეაჩერებს? მაგრამ არც წვიმას ძალუძს მატარებლის შეჩერება!

ასეა, თავისთვის რაღაც მნიშვნელოვანი გაიფიქრა გროშკამ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, დაყოფა რომ უმთავრესიაო. მარადიულობაც და დროებითიც სხვადასხვა სივრცეებია და აქ იმალება მთელი საიდუმლო. ისინი ერთმანეთს არ ეკუთვნიან. იქაური ხმები იმიტომაც არ გვესმის, საზღვარ-

მა დაახშო. ჩემი კაბინეტის ამობურცულ კარზე გადაკრული ტყავიც ხომ უგულებელყოფს ბეგრებს. რომც გაგვეგონა, ეს მხოლოდ ექო იქნებოდა, ნამდვილი გამოსახულების უზადრუკი ანარეკლი.

— რახან მატარებლის ხმაა, წავალ! — თქვა გროშკამ.

— რატომ ჩქარობ? ჯერ ხომ პირველი საყვირიც არ ყოფილა!

— ხეიბრობა მავალდებულებს, წინასწარ ვიზრუნო!

— სხვა რა გზაა! — ზღაზვნით წამოდგა მეფარდულე, რახან სტუმარი თავისას არ იშლიდა. ზღურბლთან ელმავლის კივილი უფრო ახლოს გაისმა. გროშკა მეფარდულეს მოწინებით დაემშვიდობა, მან კი კარი გაიჯახუნა. არადა, სტუმარს რომ აცილებ, კარი მაშინ უნდა გაიხურო, როცა იმ მანძილზე გაგცდებდა, საკეტის ჩხაკუნი ვერ გაიგონოს. სუფრასთან კი რა მაღალფარდოვნად მსჯელობდა, თუმცა ნათქვამს რეზონანსი თუკი არ მოჰყვა, განა ეს მის სიმართლეს დაადასტურებდა? დროის სწორედ იმ მომენტში, როცა გროშკა ამაზე ფიქრობდა, მეფარდულეს საფეთქელთან მიედო თითი და დაბეჯითებით ამტკიცებდა, ეს კაცი სრულ ჭკუაზე ვერ იყო.

ბილიკი რომ ჩათავდა, განძელებით მოსაზღვრული დაბლობი გამოჩნდა. რკინიგზის გასწვრივ ჭაობს აპრობდნენ ჯართის ამოსახიდად. დიდი ნაწილი მშრალში გამოეტანათ კიდევ. მუშები ცნობისმოყვარე გავლელებს ჟანგიანი რკინის ისტორიას ჟარგონით უამბობდნენ, ამდენი ლითონი აქ ამა და ამ გზით აღმოჩნდაო. სულაც არ აღელვებდათ, წვიმას რომ აპირებდა, ოლონდაც სადგურის კენ მიმავალი ინტერესი არ განელვებდათ. მატარებლისთვის რომც ვერ მიესწროთ, სამაგიეროდ საინტერესო ამბავს მოისმენდნენ. ჭაობის ზედაპირს შემზარავი ფერი დაჰკრავდა, ისევე როგორც მათ სახეებს. ძირს იხეხლა ლაფი იდგა, ფული რომ ეგდოს, დახრა დაგვეგონებო, გაიფიქრა გროშკამ. მერე ჩაილაპარაკა, კარგი ვქენი, რომ წამოვედიო. ბაქანთან მისული ხის ძელს კამზე ჩამოჯდა და შარვლის ტოტებიდან ბირკავების მოცილება იწყო, გზაზე ბლომად რომ აჰკვროდა. ქურთუკიც გაიხადა და მტვერი ჩამოიბერტყა. ისეთი ბული დადგა, თითქოს ქვიშაში სძინებოდა. როცა მეტ-ნაკლებად თავი მოინესრიგა, ვაგონში ავიდა. თანამგზავრ ბავშვებს სახე დალაქულ მინაზე მიეგზინათ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. უფროსებს, შეკრულ ბარგს რომ დაჰფოფინებდნენ, მათთვის არ ეცალათ. სარკმლიდან მკაფიოდ მოჩანდა საკვამურებსა და დენის მავთულებზე ჩამომსხდარი ჩიტები, სანყალობლად რომ ჭყლოპინებდნენ. ეტყობა წვიმის მოახლოება ეგრძნოთ და ამინდის შესაბამისად მოთქვამდნენ.

გროშკას ფიქრები მუგუზალს ჰგავდა, ბუხრის საჩხრეკით თოვლთან მიტანილს, გეგონება იმუქრებოდა, ამ უკიდევანო სითეთრეს გადავწავო, მაგრამ შიშხინით ჩამქრალს მხოლოდ ნაცრისფერი კვალი დაეტოვებინა. არადა, ჭეშმარიტებამდე რომ გაეღწია, აღარც შიშილი შეანუხებდა და აღარც მოწყენილობა შეიპყრობდა, მაგრამ ამისთვის ღრმა ნაპრალთა უგრძეს მიჯნას უნდა გასცდნოდა. მატარებელი მართლაც მესამე საყვირზე დაიძრა, მეფარდულის სიტყვა ზედმინეგნით რომ აღესრულებინა. ამ ხმამ ჩიტები დააფრთხო და მათი ჭიკჭიკიც გადაფარა. გროშკამ კი ერთხელაც გახედა მისთვის უკვე კარგად ნაცნობ დასახ-

ლებას. მგზავრობამ ერთ საათს გასტანა და მატარებელი მშობლიურ სადგურში შევიდა. გროშკა კვლავ იმას ფიქრობდა, როგორ ვერ მივხვდი, ჭეშმარიტება რომ რეალობაშიაო განფენილი. სხვა სივრცეში აღმოჩენისას წამიერად იცვლება, მანამდელი მდგომარეობა რომ დაგავიწყოს და ახალ კანონებს შეგაგუოს, ხოლო ეს სივრცეები ათასობით იქნებაო.

უცებ ტელეფონი აწკრიალდა. გროშკას მეუღლე იყო, ერთადერთი არსება დედამისის ზურგზე, ვინც მის დაგვიანებას განიცდიდა. სიტყვებს ცახცახით წარმოთქვამდა, ტბორში ჭავლები რომ ლიცლიცებენ. ალბათ მანამაც რეკავდა, მაგრამ ვაგონების რახრახში წკარუნი ვერ გაიგონა.

— რახდება?! — უხეშად გაეპასუხა გროშკა, ხმაში იმედგაცრუება რომ გარეოდა. თუმცა ცოლი ამაწაც დაამშვიდა და ისლა ჰკითხა, ხომ არ დაავიანებო.

— გზაში ვარ! — ცივად მიუგო გროშკამ.

— კარტოფილი შეგინვა თუ წინიბურა მოგიხარმო?

— სულერთია!

— მაინც?

— ერთიც და მეორეც! — ბრძანა გროშკამ, გვარიანად რომ მომივებოდა და ჰაერი ხარბად შეისუნთქა, გეგონება, სახლთან იმდენად ახლო ყოფილიყო, ლამის კერძის სურნელზეც შეეგრძნო. მას არ უკვირდა ცოლის შენიშვნა, ნუთუ ხელმოცარულობა სწორ გზაზე დადგომას ნიშნავს. ეჩვენებოდა, რომ მშობლიური ცაც საყვედურობდა, გეგონება მისი ნაწერები გადამეკითხოს, ანგელოზების დანახვა რომ მოინდომე, არ იცოდი, ჯერ ეშმაკები რომ გამორჩნდებოდნენო. წვიმაც მოთქვამდა, იმ სიშორეზე რომ წახვედი, ნუთუ იმავს აქ ვერ დაადგენდიო. ეს პრეტენზიები ერთფეროვნებით გაბეზრებული მომვლეი ქალის ჩივილს ჰგავდა, მოხუცებულთა თავშესაფრის მკვიდრს რომ მიმართავდა, წამალი ხომ დაგაღვინე და რატომ ახველებო.

ბაქანზე რომ ჩამოვიდა, შენობების გასწვრივ გაუყვა, ნაკლებად რომ დასველებულიყო. შეგტუხა გამწვლელები ღამშპიონთან ტრიალებდნენ, თითქოს ემინოდან, ბინდს არ შერეოდნენ. ირგვლივ იმდენი ნათურა ჩახჩახებდა, წყვდიადი არც იგრძნობოდა. იქ, სოფელში, სხვანაირი შებინდება იცოდა. აქა-იქ მეჩხრად მოციაგე შუქი განადგურებულნი ჯარის ნარჩენებს ჰგავდა, პაპიროსს რომ ეწეოდნენ მოფარებულში. დღე-ღამის შერკინება პროვინციებში თუ პირქუშად ნაქერ სილუეტთა სასტიკ შებრძოლებად აღიქმება, ქალაქში კატა-თაგეობანას თამაშს ემსგავსება. დღე-ღამის გასაყარი ისეთია, როგორც ყოვლის წამლევკავ ჩრდილებს შემგნით. გარეუბნის ქოხმახები მიჯრით ახორხლილა თხილისა და კაკლის ერთად მიგვილი ნამტკრევებით. სათავსოები გულამოცლილი ნაჭუჭებივით მიყრილიყო. მთელ ამ უწესრიგობას ამწე ვეებერთელა წეროსავით მისდგომოდა. ქალაქი ისეთივე დახვდა, როგორც წასვლისას დატოვა. ან ერთ დღეში რა უნდა შეცვლილიყო. თუმცა გროშკას მაინც აუჩქროლა გული. ქვაფენილზე ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს უსამართლოდ გაძევებულს სასჯელი მოეხადა და უკან ბრუნდებოდა მშობლიურ სახლს დანატრებული. ვიწრო ჩიხი, სადაც ცხოვრობდა, მჭიდროდ გამწკრივებული შენობების თანაბარი სიმაღლის გამო გრძელ დერეფანს ჰგავდა, ურიცხვი მომცრო და ძლივს მბჟუტავი ფარანი რომ დანათოდა გაყოლებახე. მოსახლეობის მატებასთან ერთად ხმაურიც მატულობდა, მაგრამ შებინდების შესაბამისად ჟრიალსაც ეკლო. დიდი ქალაქი ისეთია, ქუჩებში ბევრი ხალხიც რომ ირეოდეს, სახლებში კიდევ უფრო მეტნი იქნებიან.

პურის მალაზია დაკეტილი დახვდა. გადახურულთან, რკინის სახელურზე ცარიელი ცელოფანი ფრიალებდა. შიგ ჩადებული ქაღალდი წერილი აღმოჩნდა, ძუნწად შედგენილი ტექსტი, სწრაფად რომ გადაიკითხა: — ბატონო გროშკა! დილით მოსვლას თუ ვერ შეძლებთ, პურის საფასური აქ ჩადეთ, საღარბო ადრინანდ რომ გავატარო! — პური კი ვიღაცას ნაელა. სჯობს, დილით მოვიდე, ფულსაც იგივე ბედი რომ არ ეწიოს, რაც პურს, გაიფიქრა გროშკამ, ჭეშმარიტების ძიებას უპუროდ რომ დაეტოვებინა და გზა ლასლასით განაგრძო. მშობლიურ კორპუსთან შედგა და სადარბაზოს კარი ჭრიალით შეაღო.

გალაკტიონი „ეფემერაში“ ამბობს: „დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყულულებით“ ...

ეს ლექსი 1922 წელს არის დაწერილი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კრიზისის ახალმა ტალღამ გადაუარა მსოფლიოს. ამავე წელს იქმნება ეფემერების ციკლის სხვა ნაწარმოები — „ისევ ეფემერა“, სადაც „მსოფლიო სივრცის“ ასევე ფართო პანორამაა გაშლილი და კრიზისული ატმოსფეროა აღბეჭდილი. XX საუკუნის დასაწყისიდანვე ლირიკული პოეზიის მუზა შეძრული იყო აპოკალიფსური განწყობილებით. ამ დროს წერდა გალაკტიონიც:

აპოკალიფსის მძაფრი მხედარი

ვინც ქაოსებში შემოაჭენა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს განწყობილება არ განელებულა:

ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,

მაინც მწვერვალებს ედება ქარი.

„ისევ ეფემერას“ ექსპოზიციურ ნაწილშიც ერთგვარი მშფოთვარე წინათგრძნობაა გამჟღავნებული. მშფოთვარე წინათგრძნობად შეიძლება მივიჩნიოთ ის ვითარება, როცა მხოლოდ ჩუმი შრიალი ისმის, მაგრამ მწვერვალებს მაინც ედება ძლიერი ქარი... ეპოქალური სურათის აღწერა აქედან იწყება. თანდათან შევდივართ ეპოქალურ ატმოსფეროში და ვრწმუნდებით, რომ მძიმე წინათგრძნობა არცთუ უადგილო ყოფილა. კიპარისებს და მწვერვალებს პოეტის ხატი ენაცვლება. ეს შენაცვლება მარტივია და პირდაპირი:

როგორც ჩინარი, ისე პოეტი —

მისთვის სიმაღლე არის წამება.

პოეტი ისეთივე მაღალია, როგორც ჩინარი, როგორც კიპარისი და მათათა მწვერვლები. ამ სიმაღლეზე მხოლოდ მას მოესმის „ზარების ზარი“, მხოლოდ ამ სიმაღლეზე აღწევს იმ ქარის ქროლვა, რომელიც მშფოთვარე წინათგრძნობის მოკარნახეა. ქვემოთ სიმშვიდეა და დუმილი... სიმაღლე, მწვერვლები წარმოსახული სივრცეა, მეტაფორული ექსცესია. ეს პოეტის, ხელოვანის სამყოფელია. სიმაღლეა ის სივრცე, სადაც ეპოქის სული ტრიალებს. აქ არის პოეტის წარმოსახვა განფენილი, აქ განჭვრეტს იმას, რაც საგანთა ზედაპირზე არ ძევს, რეალობაში არ ჩანს. და ეს არის წინასწარხილვა ანუ წინათგრძნობა.

„წინათგრძნობა“ ჰქვია რაინერ მარია რილკეს ლექსსაც, რომელიც თავისებურად ეხმაურება გალაკტიონის ლექსის ექსპოზიციურ ნაწილს. მომყავს ლექსის ჩემეული თარგმანი.

მე მაღალი ვარ,

სივრცეების ვარ ბინადარი,

თითქოს დრომა ვარ,

ანდა კიდევ დროშის სადარი,

ქარს წინასწარ ვჭვრეტ

და სხვა ქარებს კიდევ მოველი,

როცა ჩემს ქვემოთ

უძრავია ნივთი ყოველი.

მიხურულია წყნარად კარი

და დამწუხრებით

დუმს დამტვერილი ფანჯარა და

სდუმან ბუხრები

და სწორედ ამ დროს

სახეში მცემს ყრუ ქარიშხალი

და მღელვარება მეც მატყვია,

როგორც ნიშანი.

პირისპირ ვდგავარ ქარებთან

და ქროლვა ჩამესმის

და გარს მეხვევა

ქარიშხალი უმძვინვარესი.

მაშასადამე, აქაც პოეტი ის არსებაა, რომელიც წინასწარ გრძნობს ეპოქალურ ქარიშხლებს. ის ზეაზიდულია, სხვაგან კი, ქვემოთ, ყოფით სივრცეში უძრაობა გამეფებულა, ნივთები დამტვერილია და სდუმან ჩამქრალი ბუხრები. რილკესეული ლირიკული გმირიც ისევეა გახვეული ქარიშხალში, როგორც გალაკტიონის ჩინარი ანუ პოეტი. რილკეს გმირი ამბობს: „ქარს წინასწარ ვჭვრეტ და სხვა ქარებს კიდევ მოველი“. ანალოგია აშკარაა, ოღონდ ნახსენებ დეტალზე კიდევ ერთხელ მინდა გავამახვილო ყურადღება: სიმაღლის ცნებას ორივე ლექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, უფრო მკაფიოდ ვიტყვი: პოეტი ის კაცია, ვინც სიმაღლეს, როგორც გარკვეულ პოზიციას, გარკვეულ ხედვის კუთხეს, ისე ფლობს. რას ნიშნავს ყოველივე ეს? ის, ვინც „სიმაღლეს ფლობს“, სწორედ ეპოქალურ პერსპექტივაში ხედავს მიმდინარე მოვლენებს, მას ფართო პანორამა გადაეხსნება თვალწინ, ქვემოთ მყოფები კი მხოლოდ

ანდრო ბუაჩიძე

გალაკტიონის „ისევ ეფემერა“



ყოფით სიბრტყეში განჭვრეტენ ცხოვრებას. ამიტომაც მათი ხედვა, განსხვავებით ხელოვანებისაგან, სტატიკურია, პერსპექტივას მოკლებული და შეზღუდული.

გალაკტიონი ავსებს ეპოქის სურათს და ნიშანდობლივი ბიოგრაფიული დეტალებით ახასიათებს „მაღალსა და მაღლად მხედ“ ადამიანებს, ანუ პოეტებსა და ხელოვანებს. ის ქმნის უაღრესად დინამიურ სურათებს. აი, ვთქვათ, სავარაუდოდ, ვერლენის პორტრეტი:

პოეტს მაისის სიზმრების ხილვით

ესარკებოდა პარიზის რკალი,

მაგრამ უეცრად ქარტყილივით

მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.

ეს უკანასკნელი სტრიქონი რეფრენივით მეორდება ლექსში, როგორც მთავარი სახასიათო ბიოგრაფიული დეტალი. მართალია, ლექსში მოყვანილია ვერლენის, პაგანინის, ვერჰარნისა და დოსტოევსკის ცხოვრებისეული ექსცესები და კონკრეტული ბიოგრაფიული დეტალები, მაგრამ ეპოქის დასახასიათებლად მნიშვნელობა აქვს ამ ადამიანების სახელებს ანუ მათი შემოქმედების შინაარსს და არა კონკრეტულ ბიოგრაფიულ ფაქტებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ემილ ვერჰარნზე, რომლის სახელიც ლექსში სრულად განსაკუთრებულ მოვლენასთან, ინდუსტრიულ ცივილიზაციასთან არის დაკავშირებული.

მაშასადამე, სწორედ ეპოქის ფართო პანორამა გადაიშლება იქ, სადაც გალაკტიონი ახსენებს ვერჰარნს:

როცა ქარხნები ისვრიან დორბლებს

ვერჰარნი, დროის ახალი დანტე

თუჯის ხელვებით

სძრავს მძიმე ბორბლებს

გიგანტი ცეცხლით მოანდამანტე.

და ტრიალებენ ბორბლები ჩქარა

და ინთქმებიან ორთქლში გვერდებით

ვერჰარნი! გაისმის მათი ხარხარი,

ნუთუ არასდროს არ შეეჩერდებით,

დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა,

ის ითხოვს პასუხს,

როგორც მკვლელობა

და სასტიკია, როგორც გენენა,

მისი სისწრაფის უღმობელოობა

და ახრჩობს თავის ცხელი თითებით

მასვე, ვინც იმას სული შთაბერა,

მოჰკლეს ვერჰარნი! მაგრამ დიდებით

მას მოივონებს ბედის სხვა წერა.

აქ მართლაც უშუალოდ ახალ ეპოქაზეა საუბარი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სულ სხვა ლექსის დასაწყისია ჩვენს ხელთ. მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება თემატური ნაკადი „პოეტები და ხელოვანები ეპოქის კონტექსტში“, თემატურადაც განსხვავებული დინება იქცევს ყურადღებას. ვერჰარნის სახელის ხსენებასთან ერთად იწყება ყოვლისმომცველი „ინდუსტრიული ცივილიზაციის“ თემა, რომე-

ლიც აღიბეჭდა მსოფლიო მნიშვნელობის ბელგიელი ფრანგულენოვანი პოეტის შემოქმედებაში. „ ინდუსტრიულმა ცივილიზაციამ“ ანუ „ტექნიკის პროგრესმა“ რადიკალურად შეცვალა არამხოლოდ ადამიანების ყოფა და ცხოვრების წესი, არამედ თვითონ ადამიანი. ის განიძარცვა ზნეობრივ-სულიერი ინტერესებისგან და შიშველ მომხმარებლად იქცა. რილკეც და გალაკტიონიც მშფოთვარე წინათგრძნობით შეძრულები არიან ამ ეპოქის დადგომის გამო.

დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა,

ის ითხოვს პასუხს,

როგორც მკვლელობა.

გალაკტიონის ამ სტრიქონებში აშკარად შემფოთება გამოსჭევიის. ამას მოჰყვება იმავე აზრის განმეორება არანაკლები შთაბეჭდილების აღმძვრელი ფრაზების მეშვეობით.

და ახრჩობს თავის ცხელი თითებით

მასვე, ვინც იმას სული შთაბერა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს სტრიქონები?

ინდუსტრიული ცივილიზაციის ეპოქაში ადამიანმა შექმნა რთული მანქანური წარმოება. ამ მანქანამ თვითონ ადამიანი გამოდევნა წარმოების პროცესიდან და აქცია თავის დანამატად. დანამატად ქცეული ადამიანი გაუცხოვდა სინამდვილისადმი. ამას ეწოდა ევრეთ ნოდებული „ტექნიკური გაუცხოება“. როგორ მივიდა ადამიანი აქამდე? რა ნიშნით უკავშირდება ეს თემა ვერჰარნს, რომელსაც გალაკტიონმა „დროის ახალი დანტე“ უწოდა?

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მინდა, ვთქვა ერთი რამ: 1916 წელს მთელ ევროპაზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ემილ ვერჰარნის დაღუპვის ფაქტმა — პოეტი მატარებლის ბორბლებქვეშ ჩავარდა და ადგილზევე გარდაიცვალა. ამ შემზარავი ფაქტის გამო შტეფან ცვაიგი წერდა, რომ ვერჰარნი იმსხვერპლა იმავე ძალამ, რომელსაც ის თავის ლექსებში ხოტბას ალუვლენდა. ცხადია, აქ ცვაიგი ინდუსტრიული ცივილიზაციის მონაპოვარს გულისხმობს.

და ახრჩობს

თავის ცხელი თითებით

მასვე, ვინც იმას სული შთაბერა.

შეიძლება ეს სტრიქონები პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ და უშუალოდ ვერჰარნის დაღუპვას დაეუკავშიროთ, მაგრამ შეგვიძლია, განვაზოგადოთ და მსხვერპლად, ზოგადად, ადამიანი ვიგულისხმოთ, ის ადამიანი, რომელმაც ინდუსტრიას სული შთაბერა. ვიდრე იმას ვიტყოდეთ, თუ რა გზა გაიარა ადამიანმა იქამდე, სანამ ტექნიკური პროგრესის, ტექნიკური გაუცხოების „კლაჭებში მოექცეოდა“, უნდა განვმარტოთ გალაკტიონის გამოთქმა: „ვერჰარნი — დროის ახალი დანტე“.

ეს გამოთქმა რუსული სიმბოლიზმის მამამთავარს ვალერი ბრიუსოვს ეკუთვნის. მას აქვს წერილი „თანამედროვეობის დანტე“, რომელიც დაწერილია 1913 წელს და ეძღვნება ვერჰარნს. აქ ავტორი ერთმანეთს ადარებს ორ პოეტს — დანტეს და ვერჰარნს. დანტე მისტიკოსია, ვერჰარნი კი — ზუსტი ცოდნის მომხრე, პოზიტივისტი. დანტე წარსულში მოპოვებული ცოდნის სინთეზს ახდენს და შუასაუკუნეების კულტურის უმაღლესი გამოხატულებაა, ვერჰარნი კი ისეთი წიგნის შექმნას ნატრობს, მომავალს რომ მოიხელთებს. ბრიუსოვის აზრით, მათი თანხვედრა ერთ ნერტილშია თვალსაჩინო — ეს არის საკუთარი დროის სრულფასოვნად ასახვა.

ვფიქრობ, ამ ორი პოეტის შედარებას თუ მსგავსებას დღევანდელი გადასახედიდან არავითარი საფუძველი აღარ გააჩნია. ვერჰარნის გამო კი ერთი რამ უნდა ითქვას: ის „ინდუსტრიული ცივილიზაციის“ და „ტექნიკური პროგრესის“ მეზობეა. ბრიუსოვი წერს: „ვერჰარნი უძღვნის ოდებს „ცოცხალ“ ბუნებას და „მკვდარ“ ნაგებობებს, ის უმღერის ოცდაათსართულიან ცათამბჯენებს, ცის გადამსერავ ფაბრიკის საკვამურებს, მძლავრი მანქანების ბორბლებს. მისი ლექსებიდან მოისმის ორთქლმავლების გუგუნი, საოკეანო გემების სტვენა, აეროპლანის პროპელერთა ზუზუნი“.

XX საუკუნის ორი მსოფლიო ომის, ატომური და ეკოლოგიური კატასტროფების შემდეგ ტექნიკური პროგრესის მონაპოვართა ვერჰარნისეული უპირობო ხოტბა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტექნიკის პროგრესს ტექნიკის კულტი შეენაცვლა, რამაც ადამიანის ფიზიკურ და სულიერ დეგრადაციას შეუწყო ხელი. სწორედ ამიტომ წამოიწია წინა პლანზე ანტიტექნიცისტურმა და ანტისციენტისტურმა თვალსაზრისებმა, რაც პოეზიაშიც აირეკლა, მხოლოდ არა ვერჰარნის, არამედ რილკეს და ბლოკის პოეზიაში. გალაკტიონის „ისევ ეფემერაც“ მათ რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

და ახრჩობს

თავის ცხელი თითებით

მასვე, ვინც იმას სული შთაბერა.

მაშასადამე, ნათელია, რომ გალაკტიონი ანტიტექნიცისტურ თვალსაზრისს გამოთქვამს. ისიც დასავლური ინდუსტრიული ეპოქის კრიტიკოსია. ინდუსტრია, მანქანური ცივილიზაცია, როგორც უკვე ვთქვით, უსწრაფესი ტემპით ვითარდება. წარმოების მექანიკური რიტმი ადამიანის ცხოვრების რიტმსაც უარყოფითად დაეტყო.

გალაკტიონი ინდუსტრიული ცივილიზაციის მანქანას ერთგვარ პერსონიფიცირებულ არსებად წარმოსახავს. ეს არის გიგანტი, რომელიც ცეცხლს აფრქევებს, თუჯის ხელებით ძრავს მძიმე ბორბლებს, ბორბლები ორთქლში დაცურავენ, ხარხარებენ და თითქმის წარმოთქვამენ:

„ნუთუ არასდროს არ შეეჩერდებით?“

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რკინამ ენა ამოიდგა და ავტონომიურ არსებად იქცა. ეს არის არსება, რომელიც მისივე შემქმნელი ადამიანისგან დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს, უღმობელია და სასტიკი. დაბოლოს, ის თავის „ცხელი თითებით“ ახრჩობს მასვე, ვინც გააცოცხლა და „სული შთაბერა“. საქმე ის არის, რომ მანქანის მიერ წარმოებული ნივთები მოდას ექვემდებარება, ამიტომ ამ ნივთებს მალე გასდის ყავილე. ადამიანს ამ ბორბლებში თავისი ბიოლოგიური მოთხოვნილებები კი არ ჰკარნახობენ, თუ რა სჭირდება მას, არამედ ინდუსტრიული მექანიზმია მოკარნახე. მას ახლავს ოფიციალური ინდუსტრიული აპარატის მოწოდებები და რეკლამები და, რადგან მოდა ელვისებურად სწრაფად იცვლება, აუცილებელია ახალ-ახალი ნივთების მასობრივი წარმოება, რაც ამ განუხრელი მექანიკური რიტმის („ნუთუ არასდროს არ შეეჩერდებით?“) გარეშე წარმოუდგენელია. მთავარი ის არის, რომ, როგორც უკვე ვთქვით, არამხოლოდ ადამიანის გარემომცველი სამყარო იცვლება, რადიკალურად იცვლის სახეს თვითონ ადამიანი. ის ხდება „ჰომო ფაბერი“, მატერიალისტი, მომხეჭქელი, მომხმარებელი, იცვლება მისი ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებებიც.

დასასრული მე-13 გვერდზე



პამოღოპური

ფოთლები ფარფატიო
ეცემა მიწაზე,
სევდიდან სევდამდე
სულ ერთი ბიჯია;
ცამდე ავედი და
ღმერთივით გინამე...
ძირს ფრთხილად დაშვება
კი უკვე ნიჭია.
გამხმარი ფოთლების
შრიალი კვნესაა
და გამოთხოვება
სიცოცხლის სურვილთან...
ღმერთიდან რაც დამრჩა,
აი, სულ ესაა:
ადამიანობის
უსაზღვრო წყურვილი!
ფოთლების ნუგეში
მიწის ქერქს სჩვევია,
როცა ძირს გართხმულებს
აფარებს საბურველს;
რატომღაც იმედი
ყოველთვის ჩემია
და ციდან მიწაზე
ამაყად მაბრუნებს.

მგზავრული

დილა გათენდა გრილი და
ბალახს დაედო ცვარიო.
ჭერათხევ ზედა ბრდღვიალებს
წეროსწვივა და ცხვარიო.
ადგათ ხალთვალა სოკოებს
თავზე მზე, ღეროდ — მთვარეო;
მოლზე რომ ფშვინავს ნახირი,
ფერდობებზე ძოვს ცხვარიო...
ამ ჩემს დალოცვილ იმერეთს
„ღმერთო, დასწერე ჯვარიო!“

ისე გაავდრდა,
ლამის სული წალეკოს წვიმამ;
არადა, გუშინ საკინძმზე ლილშროშანები
პანანინა ჭრილში ძვრებოდნენ;
ახლა მოწყენით დაჰყურებენ ურითმო პნკარებს,
რადგან რითმებმაც მიიძინეს მგონი შენსავით!
აქვე მოეუხმობ, რომ დაჯაბნოს დარმა სტიქია...
კეთილი. იცი, გამოიბევრდა ლექსები ფრაზით?!.
ეს ჩანანერიც ხომ მორიგი აკროსტიქია.

სველია ქუჩა,
ცა დამცქერის მუწჯი და თალხი,
თეთრ ქოლგას ვშლი და
შენს ქუჩაზე წვიმას ვუნყრები,
სულ ახალგაზრდას
პულსს მირევდა აქ შენი სახლი,
ახლა კი მხოლოდ
მაგ ფანჯრების იქით იწყები.
ისევ ვგრძნობ, როგორ
მესვრის ისრებს ფანჯრის მიღმიდან
ფარული მზერით
მომართული შენი თვალები
და მეღიმება,
რომ სამყაროსხელა სიღრმის და
თვით სამყაროზე
უფრო დიდიც მანდვე მთავრდება!

ღეღაბი

როცა დედები ხდებიან ავად,
ცა დაბლა მოდის, ველარ გრძნობ მიწას,
განზე შლი მკლავებს, მტევნები თავად
ლურსმნის სიმწარით დუნდება იმ წამს.

თავიდან გაჭრის ჭიპლარს ლანცეტით
ქალი და ისევ ტირი ჩვილივით,
ტოვებ, რაზედაც გქონდა აქცენტი,
ბრუნდები უკან უძღებ შვილივით.
ოჰ, როგორ გინდა, შეაბა ისევ
ჩამოხეული დღეების კონა
კედლის კალენდარს, ურცხვად რომ გიმზერს
და ყოველი დღე გამხდარა წონა
ოქროს ზოდების, უძვირფასესი
წლები გეცლება ხელიდან მშვიდად,
როგორც თევზს ელი დიდი ფაცერით...
ცარიელ სათლით ბრუნდები მძიმედ...
ყოველთვის, როცა დედაა ავად
და შვილის მხარზე თავს აყრდნობ დარდით,
გჯერა, რომ ეს მზე არასდროს ჩავა,
ამ სამთა შორის უფალი დადის.

მაკლდი, როგორაც მდელოს წყარო,
გზად რომ იჩქარის,
უსიერ ტყეში მზის სხივების ფერთა თამაში,
როგორაც ხვატში ელვის შემდეგ დიდი ისხარი
და დაკვირტული გაზაფხული ტყემლის კაბაში.
ჰო, ისე მაკლდი, ვით უდაბნოს ხორშაკებს წყალი,
ან მთის კალთიდან მოვარდნილი, ხევს მიკარგული,
ხან ბობოქარი, ზოგჯერ მაინც უმიზნოდ წყნარი
ზღვის მოშრიალე ტალღის ქაფი წყალს დაქარგული.
მოხვედი ახლა, მოიტანე შფოთი და ლეღვა,
ქარიშხალივით კორიანტელს უცვალე გეზი
და არც კი ვიცი,
გულწრფელობით რა უნდა მეთქვა —
წყურვილი სჯობდა თუ ამ ხვატში პატარა წვეთი?!

მრავალწერტილი

როცა სრულდება რაღაც,
ხშირად ვდუმვარ ღმერთივით
და ვერც კი ვითვლი
სკვნილზე ასხმულ სადაფის მძივებს.
მე არასოდეს მიცხოვრია
მრავალწერტილით,
ჩემი სასვენი ნიშნებია
წერტილი, მძიმე.
ნაბიჯებს ეზომავ,
რომ არ დარჩეს ადგილი ტირეს,
არ ჰქონდეთ კითხვა
ჩასაფრებულ ქუჩის სანათებს
და თუ შენს ძახილს
გაუჩნდება აზრი სულ მცირე,
წერტილთან
ორი ტყუპისცალი მოიკალათებს...

ცის სამყაროში

მამას

როდესაც ცისკენ გამირბის თვალი,
ვარსკვლავთა მწკრივში გეძებ უჩუმრად
და მე ვიგონებ, რომ შენი მკლავი
ხეზე ტვიფრავდა ქართულ ჩუქურთმას,
ხოლო გულში კი გქონდა დედასგან
ამოქარგული მისი სახელი,
შვილებს უთუოდ უნდა გვენახა
მაგ სიყვარულის საღმრთო ნათელი;
ფრთა გაგვეშალა ჩვენც სამყაროში,
სიკეთის მაღლით მაღლა გვეფრინა,
რადგან გულიდან მელნით ამოშლილ
ავს არ ჰქონოდა არსად რეფრენი.
ახლაც ჩამესმის ყურში შენი ხმა:
— მარი, მამიკო, მიგულე შენთან!
ქარიშხლის ძალით გული შეირხა —
დამტოვე, შენ კი წახვედი ღმერთთან.
მას შემდეგ თვალი გამირბის ცისკენ,
გულს ვწურავ ერთი მოგონებისთვის,
მონატრებაა ყველაზე მძიმე
მამით ობოლი გოგონებისთვის.
რამდენჯერ ფეხი წამოვდე ლოდებს,
წავიბარბაცე, როდი დავეცი?!.
ეს დეკემბერიც ქარებით გოდებს,
ბარათებს ვატან ცრემლით დაკეცილს.
როცა ზმანება ქრებოდა თალხი,
ვარსკვლავთ ციმციმით იმედს მმატებდი...
მე ნატვრისთვალი რომ მქონდეს ახლაც,
შენს დაბრუნებას მოვინატრებდი.
ვარსკვლავთა მრეელში შეჰყევი სივრცეს,
გულზე მჯილს ალბათ როგორ იცემდი,
არ გაგიშვებდი, რომ მყავდე ისევ,
მამაშვილობას დაგაფიცებდი.
შენი გაფრენა ხომ იყო ხვედრი?!.
მას შემდეგ ვიქნე ფრთებსაც დაღლამდე
და ვცხოვრობ ისე, შენთან შეხვედრის
არ შემრცხვეს, თუნდაც უცებ დაღამდეს.
უნინ ცას ვკიდე თვალი ოცნებით,
ახლა დაგეძებ ვარსკვლავთა ბრბოში
და დედამიწას რომ გამოვცდები,
შენ მიპატრონე ცის სამყაროში.

მხოლოდ შენ იცი, თუ რა მწარეა
ცივი ამბორის და ვერცხლის გემო;
კვლავ ფენიქსივით ვდგები ნამწვიდან,
წინ დიდი გზაა, უფალო ჩემო!

ღვთისმშობლობა

დაიბადა. ნაზარეთში დაიბადა,
მშობლებს, ნატვრით, თვალი ჰქონდათ ნამიანი...
ქრისტეც გვიშვა, ჩვენს დედადაც დაივანა,
დაიბადა ღვთის მშობელი მარიამი!

ნინო

პირჯვარს ვინერ მაყვლოვანში გალურსული
და ტერფდამზრალს მინდა, ლოცვა მივაწვდინო;
გულს რომ სტკივა ქრისტე, ჯვარზე დალურსმული,
შენს ნაწნავში სული გათბა, წმინდა ნინო!

მხარზე პლედევით მოვიხვიე წლები, წასული,
გზებზე დავტოვე ასწლოვანი ბზა და ურთხმელი,
რითმებში ვქარგე ჩემი, თქვენი, ქვეყნის წარსული,
ცოტა ვთქვი, მაგრამ
ბევრი დამრჩა ჯერაც უთქმელი.

ესხედვართ ფართო კაფეს ვინრო
მაგიდასთან.
— ყავას მიირთმევ თუ ჩაის? —
მეკითხები.
ყავის მოტრფიალეს არჩევანი დამრჩა
უთქმელი,
ვერ გასწრებ, გაგირბის სიტყვები,
მთავაზობ:
— გვიანია, ჩაი დაგველია...
იქით ყავა დულს და აქეთ წუთებს ვითვლი...
ახლა რომ მოგინდა ნერვის
იდილია,
არც ჩვენი შეხვედრა არის შემთხვევითი...
წყენას ღიმილით ვმკურნალობ,
კაეშანი
ფინჯანში თავს იხრჩობს, ყლუპებს
ესვამ გაგებით...
ჰო, ასე იწყება თურმე
პაემანი,
მერე ყველაფერი ნებაა
განგების!

მელოდრამა

როდესაც მთვარის მწუხრი იზრდება,
ზღვა ვერ ისვენებს ჩემსავით, ანდა...
ჩემი ბალიში, სავსე სიზმრებით,
კინოფირივით შენს სახეს ლანდავს.
ზღვას ხმაურიანს და შენ მდუმარეს
მუდამ სურვილის ტალღებში გძერწავთ
და ველოდები მზესთან, უმაღვე,
ცა რომ მოიხსნის ნაცრისფერ ზენარს,
მოაფენს ქარვებს ფანჯრის დარაბას
მაცოცხლებელი, მსუბუქი ქარი
და ალიონზე ფინჯან ყავასთან
გზავნილს ვკითხულობ: — როგორ ხარ, მარი?
აივანს ვანდობ და ვამზეურებ
ბალიშს, ზმანებას ვაცლი თანდათან
და სიტყვებს ვაბამ კვლავ აპეურებს,
კრძალვით გპასუხობ: — უკვე კარგად ვარ!
და მერე, როცა კვლავ დგება მწუხრი,
ბორიალს იწყებს ფირი ღამისა;
მერამდენა, აღარც კი ვუნყი,
ეს კინოკადრი მელოდრამისა.

ნავსაყუდელი

ნავსაყუდელის — მარტოობის ერთგული ვრჩები,
რადგან სიმშვიდით თავს ვაფარებ მუზათა სანგრებს,
დედაშვილობა გრძნობებიდან უფროა ჩემი,
სხვათა კოშკურებს ვაშენებ და ხან სულაც ვანგრევ;
ხან გაშლილია ჩემ წინ ფურცლის ქათქათა გროვა
და ანს და ჰოეს ვაქარგვინებ კალმის საცეცებს,
წუთისოფლიდან საბოლოოდ მაინც ის მოვა,
ვისაც სიყალბის არ უღვივის ერთი ნამცეციც.
...მერე ეს წლები იქცევიან ალბათ ლანდებად
და ჟრიამულით ამავსებენ შვილიშვილები,
ჩემი კალამი, ჩემი ფიქრიც ახმიანდება
მათით და ვიგრძნობ,

რომ დღეებთან ერთად ვილევი.

შვილიშვილების ხმაურიდან გამოვალ მშვიდად,
ნავსაყუდელი — მარტოობა ერთგული რჩება,
ვტოვებ წიგნებსაც, სანიშნეებს მოიხდენს ხშირად,
მონიმნულ ფურცელს ჩემი სულიც ზედ დააჩნდება.

ასე რამ მოგახატვინა
ფირუზისფრად პანო, რამა?
მე, თბილისის მოტრფიალეს,
მიყვარს მისი პანორამა.

ნოზათი

ვაზის დაღალს დაწნავ ფრთხილად,
ქარვის ჩნდება აკიდო,
მერე სწრაფად კარაქსაც დღვებ,
შვილს უყვარსო, აკი, დო...
სოფლის ნობათს ვის გაატან,
ვის გინდა, რომ აჰკიდო?!
ქალაქისკენ წამსვლელ მგ ზავრს სთხოვ:
— ეს წაიღე, ა, კიდო!..

ხარი

შენ ჯიუტი რად ხარ, ხარო,
გინდა, ვინმე ახარხარო?!
რქებით გამოთხარე ხარო,
მე წიქარა მგონიხარო.

უცნაურად გაგისვამს
მაგ თითებზე, ქა, ლაქი;
შენ ფუსფუსებ, გაგი სვამს,
მოიარა ქალაქი.

მზეს ველოდები,
როგორც მეთევზე,
ცამ კი დამთოვა ფიფქების ღრუბლით
და მენატრება
ზღვა და ხმელეთის
შუა მდებარე ფაფუკი ზღურბლი.
ხელის მტევნებზე
ყინვის მარწუხებს,
ფრთხილად ვიშორებ ლურჯი თათმანით,
თან მიყვარს,
მაგრამ თანაც მანუხებს
ცივი, უმზეო, თეთრი ზამთარი.
როგორც მეთევზე
სიმშვიდით ელის
ანკესთან მოსვლას თევზის ქარავენის,
ასე მდუმარედ
გვეცვლება ფერი
(იყო გუშინ და დღეს კი... არ არის)!
უცნაურია
ცხოვრების ეტლი,
ჩამოგვარიგებს ნაცვალსახელებს:
მე,
შენ,
ის...
გულით
ლირიკას ვეტრფით
და პოეზიის ცეცხლი გვახელებს...
მიყვარს ზაფხულის
ცხელ მზესთან ცეკვა
და გაზაფხულის მოსვლა კვირტებად,
მინდა, ცხოვრებაც
მზიანი მეცვას,
ერთი ფიფქიც რომ გამიკვირდება.

აგიკვიატე,
შემიჩვია
შენმა სიტყვებმა
და წყაროსავით
გისურვილე
ძლიერ მწყურვალმა.
დრო ფთილასავით
თითისტარზე
ჩამოირთვება,
შენ ვერ ბედავ და
სხვა კი მეტყვის,
როგორ ვუყვარვარ.
იმ ჩამორთული
ძაფით ფრთხილად
ექსოვ ახლა დიდ ჯაჭვს,
ჩემი გულიდან
შენს გულამდე
გაგვწვდეს უცილოდ.
არ მინდა, სხვისი
სიყვარული
მივსებდეს ფინჯანს
დილით, ყავასთან
შენ არა და
სულ სხვას ვუცქირო,
ღამენათევმა...
მითხარი რამე...



ზურაბ ლობჯანიძე

სულ ერთია უკვე —
ახალიც და ძველიც...
სურვილს აღარ ვუქმევ...
არ ვცეკვავ და ვმღერი...
თუმც, გაცოცხლდეს იქნებ
ღამე სანატრელი...

ფოთლები, ფოთლები, ფოთლები...
ნალველი, ნალველი, ნალველი...
დაცლილი არაყის ბოთლებით...
ბეჭებზე სიბერე დამღლეული...

ნოემბრის უსახო დღეები...
ნისლებით ჩამქრალი თავანი...
უჩინო აღმართებს შევები...
ქოშინით, ბაჯბაჯით მავალი...

სულ ტყუილად ვიარე,
ვკეცე შარაგზები...
სულს ცა ველარ მიაძებს,
ველარ მანთებს გზნებით...
მოვერევი ყიამეთს
რწმენის წაქეზებით?..

თვითონ არ ვიცი, რა მინდა...
რა არის ყოფნის არსი!..
უხილავი დროც გაფრინდა,
თან მიაქვს ხორცის გარსი...
მაღლით დაგვყურებს ცა წმინდა...
თუ მობიბინე ხავსი?

სკოლის ეზო,
იქვე წყარო...
მოგონებით
გული ხარობს...
ხოლითავი,
სტადიონი...
იქვე ვეძა
და რიონი...
ეხ, ბავშვობავ,
ტკბილო წლებო...

ჩემო მიწავ,
ჩემო ღებო...

ვარსკვლავებთან პოტინი,
ხედავ, რითიც მთავრდება —
უხილავთან ლოდინით
და დაბურულ ფარდებად...
ტანჯვად, ცრემლად, ჩივილად...
(სიხარული გამოგრჩა)?..
მოურჩენელ ტკივილად —
რასაც ეძებ, არ მოჩანს!..

სასაცილოა ეს ყველაფერი...
(თანაც როგორი, თანაც რავარი...)
თუმცა, რის ფასად გვაქვს შენაძენი —
აი, სად ისმის კითხვა მთავარი!..
გადახდილი გვაქვს მგ ზავრობის ფასი,
თუ... იქ მისვლისას უნდა გავილოთ?..
იმზიარულე, ასნიე თასი,
ნალველის მეტი ვინ რა წაიღო?!

გინახავთ ხმელი ფოთოლი,
ხეს მოწყვეტილი, ფარფატა?..
არაფერს ვამბობ მოგონილს —
დღეებს წვიმას და ქარს ვატან...
სიზმრადქცეული ეს ყოფა,
არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს...

დავკარგე ხალისი —
იმედი ხვალის დღის...
ნელ-ნელა იშლება
მოლურჯო კვალი ცის...
ტკივილით იხრება
ბებერი თავი ძირს!..

იცი, როდის დაიბადე,
იცი, როდის მოკვდები...
არ თქვა და არ დაიქადნო —
ვიცი, იქ სად მოხვდები...
რა ვქნა, თუკი ღამის ვიცი...
(ისიც თუ მაქვს ნანახი...)
მერე რა, რომ სამი ფიცრით
გზა მაქვს გადასალახი...

ნათია სიხარულიძე

„შენ ერთი მაინც“



„არტისტული ყვავილობის“ ლექსთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, „შენ ერთი მაინც“ არასოდეს ქცეულა საგანგებო ინტერესისა თუ კვლევის ობიექტად. შესაძლოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ გალაკტიონის სხვა სიმბოლისტურ ლექსებთან შედარებით ეს სამსტროფიანი ტექსტი სადა ენობრივი ქსოვილით და, ერთი შეხედვით, იოლად ამოსაცნობი შინაარსით გამოირჩევა — აქ არც უცნობი ენიგმური სახეებია, არც მოულოდნელი, ბურუსით მოცული ასოციაციები, მკითხველთა თუ მკვლევართა ყურადღებას რომ მიიქცევდა და აზრთა სხვადასხვაობასაც გამოიწვევდა; ფორმის მხრივაც განსაკუთრებული არაფერი შეიმჩნევა: ათმარცვლედის ყველაზე ხშირად გამოყენებული სახეობა (5/5), კატრენული სტროფი და ჯვარედინი გარითმევა. სალექსო ფორმის უბრალოების ფონზე მხოლოდ რამდენიმე არაზუსტი, ახლებური რითმა თუ მიგვანიშნებს ავტორის ვერსიფიკაციულ ოსტატობაზე.

ყოველივე ეს აჩენს კითხვას: რატომ შეიტანა „შენ ერთი მაინც“ გალაკტიონმა თავის ეპოქალურ ნიგნში, რა ნიშნით გამოარჩია იგი, მაშინ როცა არაერთი შედეგრი ამ კრებულის მიღმა დატოვა?

დავაკვირდეთ ლექსს:
*საქართველოში შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,
შეგებრალემა თვითონ კაინიც —
თუკი პოეტის ჰქვია სახელი.*

*ოჰ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს,
მეგობრები კი არ მეყვარება —
სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.*

*გიგ ზავნი ამ ნიგნს... როგორც ოდესმე
მომქონდა შენთან ნიგნი პირველი,
შენმა ღიმილმა უბოროტესმა
დაინდოს ნიგნი და შემწირველი.*

ტექსტი მკაფიო თემატური კომპოზიციით გამოირჩევა: სამ სტროფში პოეტური სათქმელი ისეა გადანაწილებული, რომ პირველი კატრენი ადრესატს გვაცნობს, მეორეში — ლირიკული პერსონაჟის თვითდახასიათებაა, ხოლო მესამე — ამ პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებაზე გვიქმნის წარმოდგენას.

პოეტი, ვინც თავის ახალ, სავარაუდოდ, მეორე ნიგნს უგზავნის ადრესატს (პირველი ნიგნი დიდი ხნის წინ პირადად მიუტანია მისთვის), ბრბოსაგან, „სხვებისგან“ უარყოფილი, განცალკევებით მდგომი მარტოსულია. იგი თავისი ნიჭიერებისა და ხელოვნების ძალით იმედოვნებს ბრბოს — მათ შორის, მეგობართა დამორჩილებას. სჯერა, გარშემომყოფთა ყურადღება და თაყვანისცემა არ მოაკლდება, თუმცა ეს მისთვის არაფერს ცვლის, რადგან სიყვარულის უნარი დაუკარგავს („ოჰ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს, / მეგობრები კი არ მეყვარება...“). პოეტის მიერ წარმოსახული მომავლის ხილვას მოულოდნელი გაგრძელება აქვს:

*სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.*

რაზე მიგვანიშნებს ეს სტრიქონები? საკუთარ წარსულზე, იმ უნიკალურ სულიერ გამოცდილებასა და შემოქმედებით გზაზე ხომ არა, რამაც პოეტი-პერსონაჟი საზოგადოებისაგან განაცალკევა?

კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს ლექსის მეორე პერსონაჟი, ის, ვისაც ნიგნს უგზავნიან და ვინც იხსენიება ნაცვალსახელით „შენ“. სხვათაგან მისი გამორჩეულობა ხაზგასმულია სათაურში და ლექსის პირველ სტრიქონშიც, რომელიც სათაურს იმეორებს და თან ადრესატის სამყოფელს აზუსტებს: „საქართველოში შენ ერთი მაინც...“ დასაწყისიდანვე შემოთავაზებული ამგვარი კონკრეტულობა აჩენს მოლოდინს, რომ ტექსტის ბოლოს ადრესატის ვინაობა აუცილებლად გაცხადდება — პირდაპირ თუ არა, მინიშნებით მაინც.

თუმცა მალევე ირკვევა, რომ კონტრასტის ხერხით დახასიათებული „შენ“, ვისაც, ერთი მხრივ, ზეკაცური ლმობიერება, ხოლო, მეორე მხრივ, უბოროტესი ღიმილი ახასიათებს, ასე მარტივად ამოსაცნობი არ არის.

ევროპული პოეზიის ტრადიციით, ამგვარ მიძღვნათა ადრესატი, უმეტეს შემთხვევაში, საყვარელი ქალია: პოეტის მიერ სატრფოსთვის საკუთარი ნიგნის გაგზავნა

რომანტიკულ ჟესტად აღიქმება, ხოლო ქალის მხრივ გულგრილობის ან თუნდაც ცინიკური დამოკიდებულების მოლოდინი — გავრცელებული სიუჟეტური ვერსიაა.

თუ ლექსის ადრესატად რეალურ პიროვნებას მივიჩნევთ, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, „შენ“ ნაცვალსახელის მიღმა პოეტის საყვარელი ქალი — ოლია ოკუჯავა უნდა მოვიხაზოთ.

ცნობილია, რომ წლების განმავლობაში გალაკტიონის ლექსების პირველი მკითხველი და შემფასებელიც ოლია იყო. მათი ურთიერთობა მუდმივად გულისხმობდა ნიგნების ერთად კითხვას, ლიტერატურული შთაბეჭდილებების გაზიარებას, საერთო დღიურებსაც წერდნენ, რომანის შექმნაც კი უცდიათ ერთად... რა თქმა უნდა, ოლია ოკუჯავა იქნებოდა პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი მაინც, ვისაც პოეტი 1914 წელს გამოცემულ „ლექსებს“ მიუტანდა და, იმხანად მოსკოვში მცხოვრებს, მეორე კრებულსაც გაუგზავნიდა.

ეს გარემოებანი თითქოს მხარს უჭერს განსახილველ ვერსიას, მაგრამ უხერხულობას უკვე ის ფაქტი ქმნის, რომ ლექსის დანერგისა თუ ნიგნის გამოსვლის დროს ოლია რუსეთში ცხოვრობდა, ტექსტის მიხედვით კი ადრესატის სამყოფელი საქართველოა.

თუმცა მთავარი სხვა რამეა: „შენ ერთი მაინც“ მოკლებულია სატრფიალო ლირიკისთვის დამახასიათებელ თითქმის ყოველგვარ ნიშანს; ასევე: სასიყვარულო გზავნილში სრულიად უადგილო ჩანს, გრძნობების გამოხატვის ნაცვლად, საკუთარი პიროვნული თუ შემოქმედებითი იდენტობის იმგვარი აქცენტირება, როგორც ეს საანალიზო ტექსტშია.

პარალელურად, სიმბოლისტური კრებულის — „არტისტული ყვავილების“ მთავარი ინტერტექსტი — „ბოროტების ყვავილები“ — სხვა ვარაუდებისა და, შესაბამისად, ხელახალი ძიებისაკენ გვიბიძგებს...

შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებთან“ „არტისტული ყვავილების“ განსაკუთრებული სიახლოვე არაერთხელ გამხდარა გალაკტიონოლოგთა მსჯელობის საგანი. გამოთქმულია მოსაზრებები არამხოლოდ ამ ორი ნიგნის სათაურთა კავშირზე, არამედ — კრებულთა სტრუქტურის მსგავსებასა და ცალკეული პოეტური ტექსტების მიმართებაზე.

„ბოროტების ყვავილები“, როგორც ცნობილია, ბოდლერმა „ფრანგული სიტყვიერების ჯადოქარს“ — თეოფილ გოტიეს უძღვნა.

ფრანგი ავტორის კრებული ასე იხსენიება:

*უზადო პოეტს
ფრანგული სიტყვიერების
ყოვლისშემძლე ჯადოქარს
ჩემს უძვირფასესსა და სათაყვანო
მასწავლებელსა და მეგობარს
თეოფილ გოტიეს
უმორჩილესად*

*ულრმესი მოკრძალებით
გუძღვნი
ამ სულელ ყვავილებს
შ. ბ.*

ამ სტრიქონებს, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა გალაკტიონი და გამორიცხული არ არის, რომ მისი „წარწერა“ — „შენ ერთი მაინც“ სწორედ ბოდლერისეული „მიძღვნიო“ იყოს შთაგონებული

ეს ვარაუდი კიდევ უფრო მისაღები გაიმჩნევა, თუ გავიხსენებთ, რომ „არტისტული ყვავილების“ ოთხი ეპიგრაფიდან, ოთხი ფრანგული პოეტური სტრიქონიდან, პირველი და მეორე შარლ ბოდლერსა და თეოფილ გოტიეს ეკუთვნით.

თუ ამ ჰიპოთეზის განვითარებას გადავწყვეტთ, მაშინ, ანალოგიის პრინციპიდან გამომდინარე, გალაკტიონის ლექსის ადრესატი, თეოფილ გოტიეს მსგავსად, უეჭველად ის პოეტი უნდა იყოს, ვისაც „წარწერის“ ავტორი — გალაკტიონი უზადო პოეტად და სიტყვიერების ჯადოქრად მიიჩნევდა. ამასთან, ნურც იმას დავივნიწყებთ, რომ ლექსის დასაწყისშივე დაკონკრეტებულია ადრესატის სამყოფელი — საქართველო.

პირველი, ვინც გვახსენდება ქართულ რეალობაში, „პოეზიის ჯადოქრის“ ეპითეტი რომ უყოყმანოდ შეეფერება და ახალგაზრდა გალაკტიონისთვის დიდი ავტორიტეტი იყო, რასაკვირველია, აკაკი წერეთელია.

გალაკტიონის განსაკუთრებული პიეტეტი და თავგანისცემა აკაკის მიმართ საყოველთაოდაა ცნობილი. პოეტის ჩანაწერებიდან, ისევე როგორც სხვათა მოგონებებიდან, ცხადად ჩანს, თუ რაოდენ ძვირფასი იყო აკაკის პოეზია გალაკტიონისათვის, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი მგოსნის თითოეულ სიტყვას.

„პოეზიაში აკაკის მსგავსი არავინ არის“, — ჩაუწერია გალაკტიონს ერთგან. ალბათ, ძნელი არ იქნება ამ სიტყვების დაკავშირება „წარწერის“ პირველივე სტრიქონებთან: „საქართველოში შენ ერთი მაინც, არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები...“ ისიც კარგადაა ცნობილი, აკაკის ენაშახვილობა ხშირად სატირადაც რომ გარდაიქმნებოდა და მგოსანი მძაფრი ირონიითაც გამოხატავდა თავის პოზიციას. იქნებ აკაკი წერეთლის ხასიათის ამ შტრიხზეა მინიშნება ლექსის ბოლო სტრიქონებში: „შენმა ღიმილმა უბოროტესმა/ დაინდოს ნიგნი და შემწირველი“?

არსებობს ცნობა, რომ გალაკტიონმა 1914 წელს გამოქვეყნებული „ლექსები“ პირადად მიართვა აკაკის სხვიტორში და მცხოვანი პოეტი „აღლევებული პირველი მიესალმა ამ ნიგნის გამოსვლას“.

ვენდოთ ამ ინფორმაციას, რომელიც მხარს უჭერს „წარწერის“ ადრესატად აკაკი მიჩნევის, მაგრამ როგორ უნდა გავგზავნა გალაკტიონს პოეზიის მეტრისთვის 1919 წელს გამოცემული მეორე ნიგნი — „არტისტული ყვავილები“ — აკაკი ხომ 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა?

„შენ ერთი მაინც“ 1918 წლით თარიღდება. ავტორისეული მოგვიანო დათარიღება რეალობას უნდა შეესაბამებოდეს: ტექსტი პირველად „არტისტულ ყვავილებში“ დაიბეჭდა, ხოლო ლექსში მკაფიოდ ჩანს დროითი დისტანციის არსებობა პირველსა და მეორე ნიგნების შორის: „როგორც ოდესმე... ნიგნი პირველი“.

როგორ უნდა გადავლახოთ, დავძლიოთ

ქრონოლოგიური წინააღმდეგობა ჩვენს ჰიპოთეზასა და რეალურ ფაქტებს შორის? ვფიქრობთ, ეს შესაძლებელია, თუ ზოგიერთ რამეს გავიხსენებთ და გავიზარებთ.

გალაკტიონისთვის აკაკი ის პოეტიცა, ვინც, „დათრგუნა და შეაჩვენა თვით საფლავის ჩრდილი“; ვრცელ ლექსს „აკაკის გარდაცვალების გამო“, რომელიც დამწუხრებულმა გალაკტიონმა თავზარდამცემი ამბის გაგებისთანავე დაწერა, რეფრენად გასდევს სიტყვები: „აკაკი არ მომკვდარა, არა!“. პოეტის უკვდავების მაუწყებელი ამ რეფრენის გაშლილ, მხატვრულ წარმოსახვაში გარდაქმნილ, ამაღლებულ სურათს წარმოადგენს „აკაკის ლანდი“, რომელიც „არტისტულ ყვავილებშია“ შეტანილი და დიდი მგოსნის მარადიული სიცოცხლის იდეას ამკვიდრებს — მოშლილურ ქვეყანაში აკაკის დაბრუნების მისტიკურ ხილვას გვაზიარებს.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გალაკტიონი თანამდევ ლანდად ქცეულ, უკვდავ მგოსანს თავის ახალ, ჩამავალ მზეთა მელანქოლიით გაჯერებულ ეპოქალურ ნიგნს „უგზავნის“ და მისგან დანდობას ითხოვს.

ასეთი გააზრება თუ ინტერპრეტაცია, თითქოს დამაჯერებლობას მოკლებული არაა, მაგრამ აუხსენელი რჩება ლექსის არაერთი დეტალი, უპირველესად კი, ბუნდოვანება არ სცილდება ტექსტის პირველ სტროფს:

*საქართველოში შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,
შეგებრალემა თვითონ კაინიც —
თუკი პოეტის ჰქვია სახელი.*

ის, ვისაც აქ მიმართავენ, სხვათაგან პოეტური გენიით კი არ გამოირჩევა, არამედ — სიბრაულის, თანაღმობის გამოჩრეული უნარით.

რატომ უნდა გამოეყო მაინც და მაინც ამ ნიშნით აკაკი სხვათაგან გალაკტიონს?

თუ ბოდლერისეულ მიძღვნასთან სავარაუდო ანალოგიას ძალაში დავტოვებთ და თან გავითვალისწინებთ, რომ გალაკტიონის ლექსი იმ კულტურის წარმომადგენელს მიემართება, რომლისთვისაც სიბრაულის უმთავრესი ზნეობრივი კატეგორია, კიდევ ერთ ჰიპოთეტურ ადრესატზე მოგვიხდება მსჯელობა. ეს გახლავთ შოთა რუსთაველი — გალაკტიონის მარადიული, უზენაესი ავტორიტეტზე, შემოქმედი, ვისთვისაც ძირითადი ორიენტირი ქრისტიანული შემწყნარებლობა და ჰუმანიზმია.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის „უკვდავი ჩანგი“ მუდამ ხიბლავდა გალაკტიონს. სიჭაბუკისდროინდელ ლექსში რუსთაველი, დანტესთან და პეტრარკასთან ერთად, მარადიული მხარის ბინადრად წარმოგვიდგინა („მარტო არა ხარ“), სიცოცხლის ბოლოს კი თანამედროვე „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაც სცადა „შემვიდობის ნიგნის“ სახით.

თუ დაეუშვებთ, რომ „შენ ერთი მაინც“ რუსთაველს მიემართება, არაერთი ისეთი ნიუანსის ახსნას შევძლებთ, რაც სხვა ვერსიების გადამოწმებისას გაურკვეველი ან ბუნდოვანი რჩებოდა.

ახალი ჰიპოთეზის ფარგლებში, უპირველესად, გამოიკვეთება შინაგანი აზრობრივი კავშირი ლექსის პირველი და მეორე სტროფებს შორის. ერთი შეხედვით მოულოდნელი გადასვლა „შენ“ პერსონაჟიდან „მე“ პერსონაჟზე გასაგები გახდება, რადგან აღმოვაჩენთ, რომ ტექსტში ორი რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე პოეტი დახასიათებული და შეპირისპირებული, რაც, თავის მხრივ, „შეზრახულების მოტივის“ ინტერპრეტაციის გზას ხსნის.

ადრესატის გასაოცარი შემწყნარებლობის ფონზე გამოგონებულ შთაბეჭდილებას ახდენს ლირიკული გმირის განცხადება: „მეგობრები კი არ მეყვარება“. ვფიქრობ, ძნელი შესაძრწევი არ არის, რომ ამ სიტყვებში ადრესატის — რუსთაველის ჰუმანისტური კონცეფციის, თანაღმობასა და მოყვასის სიყვარულის ეთიკაზე დაფუძნებული მსოფლმხედველობრივი პრინციპების უარყოფაა. ეს უარყოფა ხდება ახალი ცნობიერების — ნიჰილიზმის, იმორალიზმისა და ნების (ძალის) ნიჭმანური მსოფლმხედველობის პოზიციიდან.

ამგვარი ინტერპრეტაციისას ლექსი წარმოგვიდგება, როგორც ახალგაზრდა, შემცოდე პოეტის აღსარება სახელოვანი წინაპრის წინაშე, რომლის გულმონყალების იმ-

ედიც აქვს. ამ კონტექსტში ადრესატის მიმართ ლექსის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა „შეგებრალემა თვითონ კაინი“ და ტექსტის ბოლოს შებრალების თუ დანდობის თხოვნა რამდენადმე კონკრეტდება: ის, ვინც შებრალებას ითხოვს, რაღაც მხრივ, კავნისეული სულის თანაზიარია, შემცოდება.

კავნი მხოლოდ მიუტყეველი ცოდვით დამძიმებულს კი არა, დანყველილსაც ნიშნავს. „დაბადებაში“ ვკითხულობთ: „ამიერიდან დანყველილი ხარ მინისაგან“. ამდენად, პოეტი, რომელიც კავნის სახელს ატარებს, იგივე დანყველილი პოეტია. ამ ფონზე უკვე მოულოდნელი აღარაა მე-პერსონაჟის თვითდახასიათება და ალუზიაც პოლვერლენზე („სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს/ ჩამავალ მზეთა მგლოვიარება“), როგორც დანყველილი პოეტების წინამძღოლზე.

საბოლოოდ, მთლიანი ტექსტი აღიქმება, როგორც სინანული და თავის მართლება მშობლიური კულტურის პუმიანისტური მაგისტრალიდან გადახვევის გამო და სურვილი იმისა, რომ რუსთაველმა, როგორც ეროვნული პოეზიის განმასახიერებელმა, არ უარყოს, დაინდოს უცხო გაზზე შემდგარი შთამომავალი — დანყველილი პოეტი.

ადრესატად რუსთაველის მოაზრება ყველა სხვა ვერსიაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს და კარგად შეესაბამება „არტისტული ყვავილების“ ზოგად კონცეფციას, მაგრამ უპასუხოდ რჩება კითხვა: თუ გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს გული-სხმობს, ასე რატომ ასაიდუმლოებს მიმართვის ობიექტს?

ანდა: ჩვენი ახსნის მცდელობის მიუხედავად, რატომ უნდა მიეწერებოდეს „უბოროტესი ლიმილი“ რუსთაველს, ვისთვისაც პოეტთა მიმართ შემწყნარებლობა ბუნებრივი თვისებაა? გავიხსენოთ: „ჩვენ მათიცა გვიამებთ, რაცა ოდენ თქვან ნათელად“.

„ნარწერის“ ტიპის ტექსტებისათვის ადრესატის დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამას გადამწყვეტი როლი აქვს ნაწარმოების რეცეფციისათვის. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მიძღვნიტ ტექსტში მიმართვის ობიექტი საგანგებოდ არის გაბუნდოვანებული თუ შენიღბული. მეტიც, ავტორს საერთოდ არც ჰყავს კონკრეტული პიროვნება ჩაფიქრებული. ასეთი გაზნისის შექმნა გულისხმობს იმგვარი ენობრივ-მხატვრული საშუალებების გამოყენებას, რომელიც ბევრი სხვადასხვა ადრესატისთვის იქნება შესაფერისი, მაგრამ სრულად და ზუსტად — არცერთისთვის. მსგავს ტექსტებში პოეტები ხშირად მიმართავენ ნაცვალსახელს „შენ“, რადგან მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია; „შენ“, ბევრ სხვასთან ერთად, შეიძლება, თვით მკითხველსაც მოიაზრებდეს (ან კითხვის პროცესში თავად მკითხველი აღიქვამდეს თავს ადრესატად).

ამ სახის ანუ განუსაზღვრელ ადრესატიანი ტექსტის ემოციური რეზონანსი ჩვეულებრივ „ნარწერებთან“ შედარებით უფრო მაღალია, რადგან იგი იწვევს უნივერსალურობის განცდას და, ამასთანავე, ღია ინტერპრეტაციითა ფართო სპექტრისათვის. მკითხველი, როგორც წესი, საკუთარი გამოცდილების, ცოდნისა და ფანტაზიის ფარგლებში ქმნის კონტექსტის საკუთარ ვერსიას და მასზე დაყრდნობით გაიაზრებს პოეტურ ტექსტს.

ლექსში „შენ ერთი მაინც“ გალაკტიონმა, სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნულ ხერხს მიმართა, მით უფრო, რომ ადრესატთან დაკავშირებული ბუნდოვანება ის ერთადერთი და ძირითადი რამ, რაც სიმბოლისტურ კრებულში შეტანილ ამ ლექსს, გარეგნული უბრალოების ფონზე, სავალდებულო იდუმალების ელფერს ანიჭებს.

სტატია, ალბათ, აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ გალაკტიონის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას ყურადღება მიიქცია ერთმა გვიანდელმა ლექსმა. ესაა 1943 წელს დაწერილი „სტანსები“, სადაც საყვაველთაოდ აღიარებული მეფე-პოეტი საკუთარი მომავლის ვიზიონერულ ხილვას გვიზიარებს:



*აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება —
მხოლოდ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.*

წუთისოფლის წარმავალობას იგი სინანულწარევი სიმშვიდით ხვდება, რადგან დარწმუნებულია, რომ მინიერი ცხოვრებისგან მიყვებული ჭრილობების სანაცვლოდ სამომავლო დიდება ელის — მისი ღვაწლი მთელი სიდიადით მყოობადში წარმოჩინდება.

ტექსტის დასასრულს, მესამე სტროფში, „ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი“ — გალაკტიონი უშუალოდ მიმართავს მომავალს, დროს, როგორც ერთადერთ პირთვინელ, ობიექტურ მსაჯულს, რომელიც მოშურნეთათვის მიუწვდომელი სიმაღლიდან მის უკვდავებას დაადასტურებს:

*ეხლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს,
ხოშ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები...*

*ოჰ, მომავლო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები!*

ფინალურ სტროფში, როგორც ვხედავთ, გარკვეული ცვლილებით მეორდება ნაცნობი სტრიქონები „არტისტულ ყვავილებში“ შეტანილი ჩვენი ლექსისა — „შენ ერთი მაინც“ („საქართველოში შენ ერთი მაინც/ არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“).

კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ „სტანსების“ ერთ-ერთ ავტოგრაფში თავდაპირველად იკითხებოდა: „საქართველოში შენ ერთი მაინც“; ტექსტის სწორებისას პოეტს „საქართველოში“ გადაუხაზავს და მიუწერია „ოჰ, მომავლო“.

ამ სიტყვების („საქართველოში“//„ოჰ, მომავლო“) სინონიმური გამოყენება გვკარნახობს, რომ ლექსში „შენ ერთი მაინც“ პოეტი რომელიმე კონკრეტულ ადრესატს კი არ მიმართავს, არამედ — მომავალს, დროს, მყოფად.

თავის მეორე წიგნს გალაკტიონი მარადისობას უგზავნის, რადგან დარწმუნებულია, მიუდგომელი და ყოვლისმცოდნე დრო ლმობიერად შეხვდება „სხვებისგან“ (ბრძნისგან) უარყოფილ, „დანყველილ პოეტს“; ფიქრობს, დროის „ბოროტი ლიმილი“ დაინდობს, დაეინყებას არ მისცემს „არტისტულ ყვავილებს“, კრებულს, რომლის მარადიულობაც სწამს.

თუ მიმართვის ობიექტი დრო და მარადისობაა, ბუნებრივი ჩანს ლექსის ტონალობაც და პერსონაჟის ინტონაციაც, გაიდუმბლებული ადრესატის წინაშე საკუთარ პიროვნულ თუ შემოქმედებით იდენტობაზე საუბარიც.

„არტისტულ ყვავილებში“ სიტყვა მომავალი არსად იხსენიება, თუმცა, ცხადია, იგი არაერთ ლექსში იგულისხმება. კრებულის შექმნისას გალაკტიონს უკვე ეიმედებოდა, სწამდა, რომ ტრიუმფი — „დაფნა“ და „დიადი დიდება“ ელოდა („აუზისაგან“). და მაინც, ადამიანურად აინტერესებდა, რას იტყოდა მომავალი, რას მოუტანდა „საუკუნეთა მსვლელობა“.


სჯეროდა, პოეზია „დავინყების ცელს“ აარიდებდა, მაგრამ ათეულობით შედეგრი იყო შესაქმნელი, ვიდრე თავდაჯერებით, პირდაპირ იტყოდა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი / რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“...

„არტისტულ ყვავილებს“ გამოსაცემად რომ ამზადებდა, გალაკტიონმა ორი წერილი დაწერა. პირველი დედასა და ძმას მისწერა:

„ეხლა მთელი ჩემი დღეები და ღამეები მიდის მეორე წიგნისთვის მზადებაში. ნაწერებს ვასწორებ და წიგნს შინაარსის მხრით, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ცოტა ლექსი იქნება, ვერაფერ წუნს ვერ დადებს... არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი მეორე წიგნით ყველაფერი გადაწყდება... მე ჩემს ვალს მოვიხდი ხელოვნების წინაშე...“

მეორე „წერილი“, რომელსაც მიძღვნის, „ნარწერის“ სახე მისცა და ეპოქალურ კრებულშიც შეიტანა, მომავალს „გაუგზავნა“ — მარადისობას გაანდო ყველაზე გულწრფელი, საწუკვარი სათხოვარი:

*საქართველოში შენ ერთი მაინც
არ იტყვი,
როგორც იტყვიან სხვები...*



ანდრო ბუაჩიძე

გალაკტიონის „ისევ ეფემერა“

დასასრული

ალექსანდრ ბლოკი ერთ თავის წერილში წერს, რომ XX საუკუნემ ადამიანის ხმა მანქანათა გუგუნში დაასაფლავა, სხვაგან კი აღნიშნავს, რომ ჩვენს დროში მანქანის შემქმნელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მნიშვნელობა რელიგიის დონეს აღწევს. გალაკტიონის „ისევ ეფემერას“ მსგავსია ალექსანდრ ბლოკის სტრიქონები:

*И неустанный рев машины
Куюший гибель день и ночь.*

ახლა კი მოკლე ექსკურსია: ვიდრე ანტიტექნიცისტური მოძრაობა დაიწყებოდა, ტექნიკის კულტმა იჩინა თავი. ტექნიკის კულტი იგივე კომფორტის კულტია. საქმე ისაა, რომ გარკვეული დროით ადამიანისთვის საჭირო იყო და სასურველი კომფორტი. ადამიანი ითვისებდა ბუნების რესურსს და მას გარდაქმნიდა. საამისო საშუალება იყო ტექნიკა. პირდაპირი მნიშვნელობით ბუნების „დამორჩილება“, მისი ათვისება მხოლოდ ტექნიკით იყო შესაძლებელი, მაგრამ მას აქვთ, რაც შემუშავდა ტექნიკისა და კომფორტის კულტი, რაც გაჩნდა ინდუსტრიული წარმოების აბსოლუტიზაციის პროცესი, „ჰომო ფაბერიკა“ ყოველგვარი ზომიერების გრძნობა დაკარგა და უსწრაფესი ტემპით ხელი მიჰყო კომფორტული ნივთების მასობრივ წარმოებას. ამ პროცესს გადმოსცემს გალაკტიონის სიტყვები:

*ვერჰარნ! გაისმის მათი ხარხარი,
წუთუ არასდროს არ შეეჩერდებით?*

მოხდა ადამიანის ცხოვრების წესის ტექნიზაცია. მისი ცხოვრების რიტმიც მანქანური წარმოების რიტმს დაემსგავსა. ყოველივე ამან გამოდევნა შემოქმედებითობა და თავისუფლება, ინდივიდუალობა და სიახლის მოლოდინი. ადამიანი, პირობითად რომ ვთქვათ, თვითონაც მანქანად იქცა, რამაც, ბუნებრივია, მოსპო შემოქმედებითი ნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალა დაეკარგა ყველაზე უფრო ადამიანურ საწყისებს ადამიანში. სწორედ ასეთ დროს გამოითქვა აზრი დასავლეთში პიროვნების სინამდვილისადმი გაუცხოების თაობაზე. პიროვნება დაუპირისპირა თავის სურვილებს და მისწრაფებებს, თავის პერსპექტივებს, თავის ნამდვილ არსებას. ის გახდა პრაქტიკული, გამომთვლელი, ექსპერიმენტატორი, ამან კი იმთავითვე გამოიწვია პოეზიასთან ზიარების სისარული, ან მუსიკის მოსმენით მინიჭებული ესთეტიკური სიამოვნება. სამყაროსადმი ასეთი დამოკიდებულება პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას ეფუძნება. პოზიტივისტი სამყაროს უყურებს ბუნებისმეტყველურ-მათემატიკური თვალთ; მისთვის უმთავრესია არა სულიერ და ზნეობრივ სრულყოფა-გადარჩენაზე, არამედ მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ის კარგავს უმაღლეს ღირებულებებს და მათ ადგილს იკავებენ კომფორტული საგნები და ნივთები. ეს ნივთები იყვრობენ პოზიტივისტის მთელ საარსებო სივრცეს.

გალაკტიონისთვის პოზიტივისტური თვალსაზრისი უცხოა და მიუღებელი.



გალაკტიონის ძმა პროკლე (აბესალომ) ტაბიძე (1889-1948) ცოლ-შვილთან ერთად 1930-იანი წლებიდან ქალაქ სამტრედიაში ცხოვრობდა. თავიდან ოჯახს ბერიას ქუჩაზე (ამჟამად თამარ მეფის ქუჩა) ჰქონდა ბინა ნაქირავები, ხოლო 1941 წლიდან ტაბიძეები სამტრედიის ნახალოვკაში, ეგრეთ წოდებულ „ზდანიების“ უბანში, რკინიგზის სახლ N12-ში, პირველ სართულზე ცხოვრობდნენ. ამჟამად სახლის მისამართია კოლია კაკაბაძის N12. აღნიშნული ბინა პროკლე ტაბიძეს, როგორც დამსახურებულ მასწავლებელს, სახელმწიფომ გადასცა. ზემოთხსენებულ ბინაში მანამდე ცხოვრობდა ამიერკავკასიის სახანძრო უსაფრთხოების უფროსი გიორგი სტურუა. ახლა ბინის კარს დიდი ბოქლომი ადევს. გონივრული იქნება, თუ სახლზე გაკეთდება შესაბამისი მემორიალური დაფა.

ცნობისთვის, რკინიგზელთა უბნის უნიკალური ორსართულიანი აივნებიანი 13 სახლი 1893 წელს ააშენეს გერმანელმა არქიტექტორებმა სამტრედიის რკინიგზის დეპოს თანამშრომლებისთვის.

გალაკტიონის 1934-1935 წლების ერთ-ერთ წერილში „ტაბიძე აბესალომს — გალაკტიონი“ ვკითხულობთ: „ძმაო აბესალომ! შენი უკანასკნელი წერილი მივიღე და მეტისმეტად გახარებული დავრჩი. საქმე, როგორც შენი წერილიდან სჩანს, ძლიერ კარგად არის, ამაზე უფრო კარგი, აბა, რა უნდა იყოს: სახლი გადმოტანილია, დადგმულია, თითქმის მოწყობილია. თუ მოუწყობელია ჯერ კიდევ, ეგ არაფერია (შენ, რა თქმა უნდა, როდესაც სახლი გადმოგქონდა, მხედველობაში, მიღებული არ გქონია როიალი, მხატვრების ძვირფასი სურათები, ვაზები, ძვირფასი წიგნის შკაფები, ნოახები, ხალიჩები და სხვ. და სხვ. და სხვ.), უმთავრესი ისაა... სახლი. ესაა შეიძლება, მაშასადამე, მინის იატაკის მაგიერ ცოტა მშრალი ადგილი იგრძნო ფეხქვეშ. და მე ძალიან მიკვირს, რისთვის ეს ზამთარი ისევ ძველ სახლში გაატარეთ და არა იქ, სადაც უკეთესი იყო. ეს დიდი შეცდომაა. დედამისის ზურგზე კაცი არაა, რომელიც ისე მონყობილიყო, როგორც მას უნდოდა. საბოლოოდ მოწყობას როდი უნდა უტყდოდ. კვალ-და-კვალ უნდა ისარგებლო. თვითუღწეულ ზამთარს მიაქვს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე. ამიტომ, ჩემის აზრით, რაც შეიძლება, დააჩქარე სახლის მოწყობა ისე, რომ სამარცხვინო არ იყოს და სწრაფად გადადი შიგ საცხოვრებლად. შენ მე არ მწერ, თუ რა ისეთი რამ აკლია სახლს, რომ შიგ ცხოვრება შეუძლებელი იყოს“ (Galaktion.ge). როგორც ვხედავთ, გალაკტიონი აქტიურადაა ჩართული თავისი ძმის საცხოვრებლის მოწყობის საქმეში და გულშემოტივრობს მას.

გალაკტიონი ქვემო იმერეთში მატარებლით ჩასვლისას ხშირად რჩებოდა უფროს ძმასთან. სამტრედიის ყველაზე ძველი უბანი ეგრეთ წოდებული „ზდანიები“ მდებარეობს რკინიგზის სადგურიდან დაახლოებით 500 მეტრში. სამტრედიის გაიზარდა გალაკტიონის ძმისშვილი, ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი ნოდარ ტაბიძე (1931-2016). ის სამტრედიის რკ/გზ-ის N13 საშუალო სკოლაში სწავლობდა. ეს სკოლა ნოდარ ტაბიძემ ოქროს მედალზე დაამთავრა და 1949 წელს თბილისში გადავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ცხოვრობდა გალაკტიონთან და უფროს ძმასთან, ვასილ ტაბიძესთან, ერთად ჟორესის ქუჩა N4-ში. 1952 წლის ჩანაწერში გალაკტიონი წერს: „ჩემი ძმისწული ვასილ პროკლეს ძე ტაბიძე ობოლი ყმანვილია, ჩემთან ცხოვრობს. რაც შეუძლია, მივლის“ (Galaktion.ge). ნოდარ ტაბიძემ არაერთი წიგნი მიუძღვნა გალაკტიონს: „გალაკტიონი, ცხოვრების ადრეული პერიოდი“ (1982), „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“ (1990), „გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია“ (1993), „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“ (2008).

პროკლე ტაბიძე ცნობილი პედაგოგის ვასილ ტაბიძის (1856-1891) უფროსი ვაჟი გახლდათ. დაქვრივებულმა დედამ, მაკრინე ადეიშვილმა, პროკლე 1897 წელს შეიყვანა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1906 წლიდან პროკლემ თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. პროკლე წერდა ნოველებს, ესკიზებსა და მასწავლებლობასთან დაკავშირებულ წერილებს, რომლებსაც 1910-იან წლებში აქვეყნებდა პრესაში: „განათლება“, „ნაკადული“, „ცხოვრება“, „თავისუფლება“, „სამშობლო“ და „ნიუელი ვარსკვლავი“.



თემო ჭახნაკია

ძმები ტაბიძეები და სამტრედია

ნოდარ ტაბიძის წიგნში „გალაკტიონი“, რომელშიც არაერთი ფურცელი აქვს დათმობილი ძმები ტაბიძეების განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ მოთხრობულ ამბებს, ვკითხულობთ: „1912 წელს პროკლემ სტუდენტის ხარისხით დაამთავრა სემინარია და რუსეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. მაგრამ ამ ოცნებას ფრთები შეეკეცა. ფულის შოვნა გაძნელდა. დედაც მარტოდმარტო იყო. გალაკტიონი ოჯახისთვის ვერ იცლიდა... მაკრინე ეაჯებოდა შვილს: ნუ გააცივებ კერიას, ძლიერ მიჭირს, ჩამოდიო... და აბესალომიც მასწავლებლობას იწყებს. ჯერ ჭოკნარში მსახურობს, შემდეგ დაფნარსა, შუამთასა, სამტრედია-სა და თბილისში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას — იყო სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი.

პროკლე საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩეოდა. ხუთი წლის განმავლობაში თემსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად მუშაობდა. ხელმძღვანელობდა კულტურის სექციას, ასრულებდა კულტრნმუშეულის მოვალეობას. მისი ინიციატივით აშენდა შუამთის (ვანის რაიონი) საშუალო სკოლის დიდი კაპიტალური შენობა, გაიხსნა ბიბლიოთეკა. პროკლეს თაოსნობით არაერთხელ გამართულა პოეზიის საღამო, დისპუტი, ლიტერატურული გასაართლება. იგი საზოგადოების არა მხოლოდ განათლებისა და ზნეობის ამაღლებისათვის იღვწოდა, არამედ მისი ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფის გაუმჯობესებისათვის“ („გალაკტიონი“ — ნოდარ ტაბიძე; 2010, გვ.74).

პროკლემ მასწავლებლის კარიერა 1913 წელს სამტრედიის სოფელ ჭოგნარში დაიწ-

ყო. არსებობს ერთი ისტორიული ფოტო — სკოლის ხედზე აღბეჭდილი არიან სოფელ ჭოგნარის სამრევლო, ორკლასიანი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. შუა რიგში სხედან, მარცხნიდან: გიორგი ხუროძე, აბესალომ ტაბიძე, მღვდელი ამბროსი კანდელაკი, მამა ამბროსის მეუღლე მამო მიქელაძე, აგრადიანა კანდელაკი და გოგოლა კანდელაკი — მამა ამბროსის ქალიშვილი. ფოტოს უკანა მხარეს აწერია „1914 წლის 31 მაისი“. ინახება მამა ამბროსის შთამომავლის, ანგარდაცვლილი თემურ კანდელაკის საოჯახო ალბომში. ფოტოს პირველად 2006 წელს მიაკვლია გოგიტა გიორგაძემ. გამოქვეყნდა ჟურნალ „საპატრიარქოს უწყებანის“ 2007 წლის 13 ივნისის ნომერში.

1915 წლის პირველ თვეში გაზეთ „განათლებაში“ დაიბეჭდა პროკლე ტაბიძის „მასწავლებლის დღიურები“, საიდანაც ვიგებთ, რომ 1914 წლის 22 აპრილს მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივი ფოტოები გადაიღეს. ნავიკითხოთ პროკლეს დოკუმენტური ჩანაწერი: „დღეს ჩემი მოწაფეებისთვის დღესასწაული იყო: ყველა მასწავლებელმა მოწაფეებთან ერთად სურათები გადავიღეთ. საუცხოვოთ გამოწყობილიყვნენ ბავშვები: კოსტას ახალი ჩექმები ჩაუცვამს, ნიკოს მამის მოვერცხლილი ქამარი შემოერთყამას წელზე, ბესო კი წულა-მესტეში გამოწყობილა. სახეებზე სიხარულის ღიმი უთამაშებდათ; მხოლოდ სურათების გადაღების დროს ზოგიერთებმა მოიწყინეს. ყველას უნდოდა ამდგარი გადახატულიყო და დაჯდომა არავინ მოინდომა. მაგრამ აი, გადიდო ფოტოგრაფმა სურათი. ბავშვები წამოიშალნენ, გააკეთეს წრე და შემოსძახეს: „ოდელა-დელა, დელა,

ნანი-ნანა, აღსდეგ, თამარ-დედოფალო!“ და გაშალა ხელი პატარა ანდრომ. რა სიცოცხლით უსობდა ფეხებს, რა ციბრუტივით ტრიალობდა“ („განათლება“, 1915, N1, გვ.53).

მეორე ჩანაწერით, რომელიც 30 მაისს დაუწერია, შეგვიძლია, თამამად ვამტკიცოთ, შემდეგი:

როგორც ჩანს, 1914 წლის 30 მაისს სასწავლო წელი მორჩა და 22 აპრილს ფოტოგრაფ ხუნდაძის მიერ გადაღებული ფოტოები კურსდამთავრებულებს დაურიგეს. ზემოთ ხსენებულ ფოტოს, რომელმაც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია, 31 მაისს იმავე დღის თარიღი აქვს მიწერილი. ნავიკითხოთ პროკლე ტაბიძის ჩანაწერი: „გამოცდები გავათავეთ. რვა მოწაფემ დაასრულა ჩვენი შკოლა და დღეს უკანასკნელი დღე იყო მათი ჩვენ შკოლაში ყოფნისა, დილას ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. გამახსენდა დედა იმ დღეს, როდესაც მე და ჩემი ძმა სასწავლებელში უნდა გავესტუმრებინეთ, ყოველთვის ცუდს ხასიათზე იყო; ან ჭიქა გაუტყდებოდა, ან საინი; ან ქვებს წააქცევდა და სულ დაღვრემილი დადიოდა. დედის გულს ენანებოდა ორი ვაჟის მოცილება; მეც მენანება ჩემი მოწაფეების მოშორება. საწყლები! ვინ იცის, რას უმზადებს იმათ ცხოვრება? „ბატონო სურათები დაგვირიგე“ — მხიარულათ მეუბნება თვალჭრელა სერგო. „ჯერ დაბალ განყოფილების მოწაფეებს გავუშვებთ და მერე დაგვირიგებთ“ — ვეუბნები მე და ოთახში შევდივარ“ („განათლება“, 1915, N1, გვ.55).

მიხეილ გოგოძის 1998 წელს გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „როგორც პროკლე აღნიშნავდა, თბილისის სემინარიაში მისი მასწავლებელი ყოფილა ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი ვასილ ბარნოვი. სწორედ ბარნოვიდან ლეზულობდა იგი თავის სულიერ საზრდოს, მას ბაძავდა, მის გზას მიჰყვებოდა. მოგონება ვასილ ბარნოვზე „იშვიათი მასწავლებელი“, გამოქვეყნებული იყო 1939 წელს ჟურნალ „საბჭოთა მასწავლებელში“ („განათლება“, 1998, N3-4, გვ.189).

პროკლე ტაბიძის 1914 წლის მასწავლებლობის თემის ჩანაწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმდროინდელი მკაცრი დისციპლინის, მოსწავლეებისადმი ჯარისკაცური პრინციპებით მიდგომის, რომელიც გავრცელებული იყო სამრევლო და სამიწისტრო დაწყებით სკოლებში. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა პროკლე მოწაფეებისადმი ლოიალურ და მეგობრულ დამოკიდებულებას უფრო არჩევდა, ვიდრე შეუსაბამო სიმკაცრესა და დასჯის სხვადასხვა მექანიზმს, რომლებიც ბავშვების ფსიქიკისათვის საზიანოდ მიაჩნდა. ამის გამო მოსწავლეებს მასწავლებელი განსაკუთრებით უყვარდათ და აფასებდნენ.

ქვემოთ მოცემულ წერილში პროკლე ტაბიძეს აკვირვებს სკოლის დამაარსებელი მღვდლის შესედელები და მიდგომები ყმანვილთა აღზრდის საკითხისადმი. მღვდლისთვის გასათვალისწინებელი იყო „სწავლა მოსწავლეთა“-დან დავით გურამიშვილის სტრიქონთა დედააზრი „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის ნკეპლის ცემით კივილი“.

ნავიკითხოთ პროკლე ტაბიძის წერილი, რომლის სათაურის ველში „13 თებერვალი“ წერია:

„ჩვენი სკოლის გამგე მღვდელი დღეს გვესტუმრა. დიდი ენერგიის პატრონია, მაგრამ ეს „დისციპლინა“ ნამეტანი შეჰყვარებია. მოძღვარი ძალიან აქებს ერთს, ჯარის კაცად ნამყოფს მასწავლებელს: „ჰო, ის ძალიანი მასწავლებელი იყო. ბავშვები ჯარისკაცებივით ჰყავდა დაზრდილი. ახლოს ვერ გვეკარებოდნენ. გზაზე, როგორც კი დაინახავდნენ ვინმე მოხელეს ან ნასწავლს გაჩერდებოდნენ სწორეთ; ხელებს ძირს დაუშვებდნენ და თავს დაუჭრავდნენ, Престей! любуи было Смотрит! გაკვეთილის დროს განძრევას გაბედავდნენ? კბილებს არ დააგლეჯდა მაშინვე!...“ ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა. ეტყობა, „ნასწავლებლთა“ ბევრია ისეთები, რომლებიც შესტრფიან იმ სანატრელ დროს, როდესაც ბავშვებს როზგით უსივებდნენ ტანს. ეს! მოძღვარო, ჩვენ შორის ხილია ჩატეხილი და ჩვენ ერთმანეთისას ვერაფერს გავიგებთ. მე მაგ დისციპლინამ დამტანჯა და გამწვავა: მასწავლებლებისაგან მეგობრული სიტყვა არ მღირსებია. მე ისინი მიაგდნენ, მეზიზღე-



ზედა რიგში მარცხნიდან პირველი: პროკლე ტაბიძე. შუა რიგში მარცხნიდან მეორე: ტატიანა ცინცაძე-ტაბიძე. ფოტო გადაღებულია 1945 წელს სამტრედიის ნახალოვკაში მეზობლებთან ერთად. ინახება მანანა დოლიძის საოჯახო ალბომში.

ბოდენ და სანყალი დედა მებრალეობდა, თორემ, გაკვეთილებს ჩემს დღეში არ დავი-სწავლიდი და შკოლაშიაც ერთ საათს არ მოვიცდიდი. მეც ისე უნდა ვეზიზდებოდე ჩემს მოწაფეებს? ისე უნდა სძაგდეო მათ შკოლაში გატარებული დრო, როგორც მე მძაგს? არა, მე მაგას ვერ ვიზამ!“ („განათ-ლება“, 1915, N1, გვ.51).

მღვდელში ნაგულისხმებია ამბროსი კა-ნდელაკი, რომელსაც 1894 წელს თავის მეუღლესთან, მამო მიქელაძესთან, ერთად საკუთარი სახლის პირველ სართულზე და-უარსებია ჭოგნარის ორკლასიანი სამრე-ვლო სკოლა, რის შესახებაც გაზეთ „ივერი-აში“ გვითხულობთ:

„ჭოგნარი (ქვემო-იმერეთი) კანდელაკის და მისი მეუღლის მიერ

სკოლის დაარსება

ჩვენს სოფელში საკმაოდ ხშირია სხვა და სხვა ავადმყოფობა, უფრო კი მჭვალი, მუცელი და ციებცხელება. ეს უკანასკნელი სენი უფრო ჭაობების ბრალია. ამოდენა სოფელში, სადაც 800 კომლი კაცი ირიცხე-ბა, ამ ბოლოს დრომდე არავითარი სკოლა არ იყო. ახლა-კი გაიმართა სკოლა კერძო კაცის თაოსნობით. ამ კერძო სკოლაში ამ ჟამად სამოცზედ მეტი შეგირდი სწავლო-ბს. მასწავლებლობს ტფილისში კურსდამ-თავრებული ბ-ნი კანდელაკი და მისი მეუ-ღლე, რომელიც ჭრა-კერვასა, ხელსაქმესა და ხან-და-ხან საგნებსაც ასწავლის. სკო-ლის მოთავეს წიგნთ-საცავის გამართვაც უნ-და, მაგრამ სკოლა ჯერ ხელმოკლეა და სა-ჭირო ღონისძიება აკლია“ („ივერია“, 1894, 5 აპრილი, N73, გვ.2).

პროკლე ტაბიძემ 1928 წელს ცოლად შეირთო ტობანიერელი ქალიშვილი ტა-ტიანა ამფილოქეს ასული ცინცაძე (1898-1981), რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ძმისშვილი და აკადემიკოს კორნელი კეკე-ლიძის დისშვილი გახლდათ. ტატიანამ 1919 წელს დაამთავრა ქალთა ეპარქიული სას-წავლებელი. იმავე წელს შეუდგა პედაგო-გიურ მოღვაწეობას ვანის სოფელ შუამთის საშუალო სკოლაში.

პროკლე ტაბიძის მოსწავლე, მიხეილ გოგოძე წერილში „გალაკტიონის უფროსი ძმა“ 1998 წელს წერს: „ტატიანა ტაბიძემ თავისი ბედი ჯერ კიდევ 1928 წლიდან დაუ-კავშირა პროკლეს, რძალს მგზნებარედ მი-ესალმა გალაკტიონი: „ჩემი სალამი ჯერ უცნობ ჩემ მეგობარ ქალს, მსურველ სა-ლამი“, წერდა იგი. ტატიანა დიდხანს მას-წავლებლობდა ჯერ შუამთაში, შემდეგ ვან-ში, ხოლო მეუღლის სამტრედიაში გადასე-ლის შემდეგ — სამტრედიის რკინიგზის სა-შუალო სკოლაში მუშაობდა 1974 წლამდე, ანუ პენსიაში გასვლამდე. მათ სამი შვილი შეეძინათ, რომელთაგან უფროსს, შემდ-გომში ექიმს, სახელოვანი ბაბუის პატივსა-ცემად ვასილი დაარქვეს, უმცროსი ნოდა-რი ჟურნალისტი და სახელოვანი მეცნიერ-ია, ხოლო ქალიშვილი — ლიანა ადრე გა-რდაცვლილა“ („განათიადი“, 1998, N3-4, გვ.187).

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფი-ისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ჟურნალ „მატიანეს“ 2018 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია ციციხო გაბუ-ნიასა და თემურ გეგვიძის კვლევა ვანის სო-ფელ ტობანიერის შესახებ, სადაც აღნიშ-ნული სოფლის სკოლისა და პროკლე ტა-ბიძის შესახებ გვითხულობთ: „1923-1924 სასწავლო წელს სკოლა ლუკა სანიკიძის სახლიდან გადატანილი იქნა ენერ-ტობანი-ერში ბუჭაჭია შარაშენიძის სახლში, მასწა-ვლებელი ლ. გეგუჩაძე, რეპრესირებულ იქნა სასწავლო წლის დასაწყისშივე და სკო-ლის გამგედ დაინიშნა დავით მამფორია. შემდეგ სკოლას თავკაცობდა პროკლე ტა-ბიძე (გალაკტიონის ძმა), რომელიც ხელმძ-ღვანელობას უწევდა აგრეთვე ტობანიერ-ისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ყველა დაწყებით სკოლას, სკოლაში იყო პი-რველი და მეორე კლასი, სულ 30 მოსწავლე. 1929 წლის სექტემბრიდან სკოლა სრ-ულ კომპლექტითიან დაწყებითი სკოლა გახ-და, რომლის სახელწოდებაც იყო „ზედა ტო-ბანიერის 4 წლიანი შრომის სკოლა“. 1930 წელს სკოლის გამგედ დაინიშნა ამროსი გოგოძე“ („მატიანე“, 2018, N11. გვ.123).

პროკლე ტაბიძემ 1930-იანი წლებიდან ქალაქ სამტრედიის რკინიგზის 24-ე სკო-ლაში დაიწყო მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, რაზეც მეტყველებს ა.კ. რკ/გზის 24-ე სკოლის 1935-36 სასწავლო წლის კურსდამთავრებ-



ულთა ალბომში არსებული ფოტო, რომელ-ზეც აღბეჭდილია მეორე გამოშვების 58 მოსწავლე და 10 მასწავლებელი. მათ შორ-ის სათვალისი გახლავთ პროკლე ტაბიძე, რომელიც შემდეგ სამტრედიის რკ/გზ-ის მე-13 სკოლაში (ამჟამად მე-10) გადავიდა, სადაც 1947 წლამდე მუშაობდა, ხოლო მისი მეუღლე ტატიანა სამტრედიის მე-14 სკო-ლაში 1974 წლამდე ასწავლიდა რუსულ ენ-ასა და ლიტერატურას. პენსიაში გასვლის შემდეგ ქვემო ტატიანა ცინცაძე თბილის-ში უმცროს ვაჟთან — ნოდართან გადავი-და საცხოვრებლად და სამტრედიიაში მდ-ებარე ბინა ნათელა კაჭარავას გადასცა. ბო-ლოს ხსენებული სკოლა ამჟამად სამტრე-დიის მე-12 სკოლადაა სახელდებული. მას 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა, 2023 წელს კი სრული რეაბილიტაცია ჩაუტარ-და. გასულ წელს მისი აშენებიდან 130 წელი შესრულდა. სწორედ ამ სკოლის დირექტო-რის — ქალბატონ ნინო ონიანის — კაბი-ნეტში ინახება ზემოთხსენებული ალბომი. ტატიანა ცინცაძე 1981 წლის 8 მარტს გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალეს ქმრ-ის გვერდით, ვაკის სასაფლაოზე.

პროკლეს მიერ გალაკტიონისადმი მი-წერილ წერილებს გვითხულობთ წიგნში: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (შემდგენ-ლები: ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახა-ძე; რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი. 1980, გვ.188-205).

ამ წერილებში მკაფიოდ იგრძნობა უფ-როსი ძმის მზრუნველობა და მოფრთხილე-ბა, ღელვა და ფორიაქი სმის მოყვარული პოეტი ძმისადმი. რამდენიმე წერილი შეეხ-ება პროკლე ტაბიძის თბილისში საცხოვ-რებლად გადასვლის მძაფრ სურვილსა და მისთვის დამსახურებული მასწავლებლის ნოდების მინიჭების საკითხებს. წერილი, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, 1938 წლი-ით თარიღდება. უფროსი ძმა გალაკტიონს დაჟინებით სთხოვს, რომ წერილი მისწერ-ოს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირ-ველ მდივანს — ლავრენტი ბერიას — მის-თვის თბილისში ბინის მიცემასთან დაკავ-შირებით.

„ტაბიძე აბესალომ — გალაკტიონს

თუ ის საქმე მოგვარდა, იცოდე, საუკე-თესო კოსტიუმი ჩემს თავზე იყოს... აუცი-ლებლად გაუგზავნე წერილი ლ. ბერიას და მოხერხდება. მე, როგორც კი მომწერ, ჩამ-



ოვალ — მაგრამ ბინა უნდა ითხოვო და არა ოთახი. ერთ ოთახში მე ვერ მოვთავსდები. რალაც ქალაღი შემხვდა. ლამზარდში ბე-ჭედი და სხვა რალაცეები დაგირავეული გქონია. გამოსიყდე აუცილებლად. ხვალ არის ვადა. შემდეგ ნივთს არ დაგიბრუ-ნებენ.

წერილი უსათუოდ მომწერე.

მისამართი — სამტრედია, ბერიას ქუჩა N54, ან სამტრედია, რკინიგზის საშუალო სკოლა N13. პროკლე ტაბიძეს.

მშვიდობით!

ნეტა, თუ ისეთი ბედნიერი ვიქნები, რომ ღვინოს არ გაეკარო“.

(8/1.1938. Galaktion.ge)

როგორც ჩანს, გალაკტიონმა უპირობ-ოდ გაითვალისწინა მზრუნველი ძმის თხო-ვნა და იმ დღესვე დაწერა წერილი ლავრენ-ტი ბერიას სახელზე. იგი საბჭოთა ჯალათს მოკრძალებითა და მადლიერებით სთხოვს, რომ პროვინციაში მოღვაწე, ოცდაექვს წლიანი სტაჟის მქონე მასწავლებელს, პრო-კლე ტაბიძეს, ბინა მისცეს დედაქალაქში, რათა ცოლ-შვილთან ერთად გადმოვიდეს პედაგოგიური საქმიანობის გასაგრძელებ-ლად.

წერილის დაწერისას ერთი წელიც არ იყო გასული, რაც გალაკტიონის ბიძაშვი-ლი ტიტციან ტაბიძე ანტისაბჭოთა აბსურდ-ული ბრალდებით დაპატიმრებული და და-ხვრეტილი ჰყავდათ კომუნისტ მხეცებს. 5 თვე იყო გასული პაოლოს სუიციდად შერ-აცხილი მკვლელობიდან და 3 თვე — მიხე-ილ ჯავახიშვილის დახვრეტიდან. უცნობ-ია, ნაიკითხა თუ არა ბერიამ აღნიშნული წერილი, თუმცა ფაქტია, რომ პროკლე ტაბიძეს თბილისში ბინა არ მიუღია.

„ლავრენტი ბერიას დიდად პატივცემულო ამხ. ლავრენტი პავლეს ძე!

ყველასათვის ნათელია (და დღეს ამას ვინ ვერ გრძნობს), რომ თქვენ უაღრესად აფასებთ ხელოვნებას და მუდმივ მზრუნ-ველობას იჩენთ ხელოვნების მუშაკებისად-მი.

პირადად მე ბევრჯერ განმიცდია თქვე-ნი ასეთი მოპყრობა და ეს მაბედვინებს, შე-განუხრთ თხოვნით.

მე მყავს უფროსი ძმა, რომელიც მასწა-ვლებლად არის სამტრედიის რკ. გზის სრ-ულ საშუალო სკოლაში. ოცდაექვსი წელია, რაც მსახურობს პროვინციაში. მეტისმეტ-

ად გულწრფელი და პატიოსანი მუშაკია: ადგილობრივი პარტიულ და საზოგადოებ-რივ ორგანიზაციების დიდი ნდობით სარ-გებლობს.

დიდი ხანია, მას განზრახვა აქვს, გადმ-ოვიდეს ცოლშვილით თბილისში და აქ გა-ნაგრძოს მუშაობა, მაგრამ უბინობის გამო ეს ვერ მოუხერხებია.

მისი აქ გადმოსვლა ჩემთვის პირადად დაუფასებელი იქნება, რადგან ჩემს ლიტე-რატურულ მუშაობაში ხელს შემინოვს და პრაქტიკულად დამეხმარება.

გთხოვთ, მოახდინოთ განკარგულება, მისცენ მას ბინა, რომ თბილისში ცოლშვი-ლით გადმოსვლის შესაძლებლობა ექნეს.

კიდევ ბოდიშს ვიხდი, ძვირფასო ლავ-რენტი პავლეს ძე, შენუხებისათვის.

მწერალი გალაკტიონ ტაბიძე“.

(8/1.1938. Galaktion.ge)

პროკლე ტაბიძე აცნობიერებდა, რომ გალაკტიონი ნახევარ საუკუნეს მიღწეუ-ლი, საქვეყნოდ ცნობილი და სახელმძოხვე-ჭილი პოეტი იყო. კომუნისტებისგანაც აღ-იარებული და დაფასებული. ამის ნიშნად 1936 წელს ლენინის ორდენით დააჯილდო-ვეს, რაზეც ლექსიც აქვს დაწერილი. შესა-ბამისად, მის სიტყვას ზედა ეშელონებში ფასი ჰქონდა და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მის თხოვნას ჩინოვნიკები გაითვალ-ისწინებდნენ. 1940 წელს პროკლე ტაბიძე ძმას სთხოვს, რომ დაურეკოს განათლების კომისრის თანამშემსეს და მოიკითხოს მისი ამბავი დამსახურებული მასწავლებლის ნოდებასთან დაკავშირებით:

„ტაბიძე აბესალომ — გალაკტიონს ძმაო გალაკტიონ!

გალაკტიონ, ერთი პატარა საქმეც გაა-კეთე. შენ იცი, რომ მე წარდგენილი ვარ და-მსახურებულ მასწავლებელთა ნოდებაზე — ჯერ არაფერი სჩანს. დაელაპარაკე ტე-ლეფონით განათლების კომისრის თანამშე-მნეს, ვგონებ, კიზირია უნდა იყოს. ჰკითხე: რკინიგზის სკოლების სამმართველოს წარ-მოდგენილი აქვს დამსახურებულ მასწავლ-ებლის ნოდებაზე ჩემი ძმა პროკლე ტაბიძე. გთხოვთ: არის თუ არა (იგი სიაში) განხილ-ული მისი საბუთები და როდის წარუდგენთ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლათ-თქო.

პასუხი შემდეგ მაცნობე: სამტრედია. რკინიგზის საშუალო სკოლა N13. პროკლე ტაბიძეს“.

(1/11.1940. Galaktion.ge)

1941 წლის დასაწყისში პროკლე ტაბიძ-ეს დამსახურებული მასწავლებლის ნოდე-ბა კიდევ არ აქვს მინიჭებული. ამასი მეორე წერილის თარიღზე დაკვირვება გვარწმუ-ნებს. წერილში პროკლე უმცროს ძმას სთხო-ვს, ნახოს ან დაურეკოს განათლების კავ-შირის თავმჯდომარეს, გააცნოს მისი თავი და ჰკითხოს, განიხილეს თუ არა მისი საკი-თხი. წერილის ბოლოს ნახსენებია ოლგა იურიენვა, იგივე ოლია დარიუსი, გალაკ-ტიონის არაოფიციალური, მეორე ცოლი 1940-41 წლებში. როგორც ნოდარ ტაბიძე წერს, პროკლე ტაბიძეს საბოლოოდ მიანი-ჭებენ სანატრელ ნოდებას და ლენინის ორ-დენითაც დააჯილდოვებენ:

„ტაბიძე აბესალომ — გალაკტიონს

ძმაო გალაკტიონ!

ახლა ერთი პატარა საქმეც. ამ წერილს რომ მიიღებ (ნუ გადადებ შენებურად შემ-დეგისათვის), მიდი განათლების კავშირის თავმჯდომარესთან, უკიდურეს შემთხვევ-აში, ტელეფონით დაელაპარაკე და შეეკი-თხე შემდეგი: (პირველად ოფიციალურად გააცანი შენი თავი) ჩემი ძმა პროკლე ვასი-ლის ძე ტაბიძე ამჟამად მსახურობს მასწავ-ლებლად სამტრედიის რკინიგზის სკოლა-ში. რკინიგზის სკოლების სამმართველომ აღძრა შუამდგომლობა მისთვის დამსახუ-რებული მასწავლებლის ნოდების მინიჭე-ბაზე — ეს საბუთები თქვენთან ყოფილა წარმოდგენილი და ის თქვენგან უნდა წარ-დგინდეს უმაღლეს საბჭოში. როგორაა საქ-მე, განიხილეთ თუ არა საბუთები და აღ-ძარით შუამდგომლობა ამის შესახებ თუ არა-თქვა?

რაც გიპასუხოს, მაცნობე.

ეს საჩქარო საქმეა. 27 წელიწადია ვმუშ-აობ და თუ სხვები იღებენ ასეთ ნოდებას, მე რა დამიშავებია?

აუცილებლად ეს საქმე გააკეთე!

სალამი ოლგა იურიენვას!

აბესალომი“.

(22/1.1941. Galaktion.ge)



დასასრული

თემო ჭახნაკია

ქმეზი ტაბიქეზი და სამტრედია



მარცხნიდან მეორე: ანდრო კანდელაკი, მეოთხე: პროკლე ტაბიქე, მის გვერდით ნათელა ნანეიშვილი. ფოტო გადაღებულია 1940-იან წლებში სამტრედიის მე-13 ვაჟთა სკოლაში.

1940-იან წლებში გალაკტიონი ვინმე კოტესადმი მიწერილ წერილში თავისი ძმის ღვაწლსა და დამსახურებებზე წერს. გამო-სარკვევია, ვინ შეიძლება, ყოფილიყო ხსენებული პიროვნება, რომელიც დამსახურებულ პედაგოგებს უნიშნავდა პენსიას:

„პატივცემულო კოტე!

1. დღეს, გვონებ, ჩემი ძმა პროკლე ტაბიქე, გამოწვეულია თქვენთან პერსონალური პენსიის თაობაზე.

2. განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის.

3. დიდძალი ნაწერები აქვს ჟურნალ-გაზეთებში: დამზადებული გვაქვს გამოსაცემად.

4. მრავალი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ჰყავს აღზრდილი, პროფესორი, დოცენტი და...

გალაკტიონი“.

(Galaktion.ge)

1946 წელს პროკლე ტაბიქე ჯერ კიდევ სამტრედიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ერთ-ერთ წერილში, რომელშიც ის პოეტ ძმას მოუწოდებს აფხაზური ციკლის ლექსების შექმნისკენ, სპეციალურ ლიტერატურაზე ესაუბრება, ხოლო წერილის ბოლო ნაწილში ურჩევს, რომ სამტრედიაში ჩავიდეს და აქ იმუშავოს ზემოხსენებულ თემაზე. წერილის ბოლოს წინას უთვლის მოკითხვას. წინა გალაკტიონის ოფიციალური ცოლი ნინო კვირიკაძე იყო 1943 წლიდან.

„ძმად გალაკტიონი!

მოახერხეთ და ჩამოდით. მე დარწმუნებული ვარ, აქ შეგიძლია შენ ამ მუშაობის შესრულება. სამტრედიაში — რომ ჩამოხვალთ, გადმოხვალ ხიდეზე და სულ ას ნაბიჯს გაივლი — ვისაც უნდა ჰკითხო, ყველა გასწავლის. რკინიგზის სახლი N12, მასწავლებელი პროკლე ტაბიქე — აქედან მერე ჭყვიშში წავალთ... აბა, იჩქარეთ.

მოკითხვა წინას. მოგიკითხათ ტატიანამ.

აბესალომი“.

(4/VII. 1946. Galaktion.ge)

1947 წლიდან პროკლე ტაბიქე თბილისში გალაკტიონთან გადადის საცხოვრებლად, მისი მეუღლე კი სამტრედიაში რჩება. პოეტის ძმა რკინიგზის მეოთხე ქალთა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ იწყებს მუშაობას. აღნიშნული დროისთვის გალაკტიონი ცხოვრობდა ჟორესის ქუჩაზე (ამჟამად პოლიციის ქუჩა).

ვახტანგ ჯავახიძის „უცნობში“ ვკითხულობთ: „1947 წელს კვლავ მთავრობის იმედზეა: მთავრობა უნდა ერთდროულად დამეხმაროს, მომცეს შესაფერისი ბინა (ნაცვლად ძველისა, ააგოს ახალი).“

11 თებერვალს აკადემიის პრეზიდენტს განცხადება აახლა:

— მე ვცხოვრობ ჟორესის ქ. N 4. მიუხედავად იმისა, რომ სახლი ახლახან აშენებულია, ბინა საჭიროებს რემონტს“ (აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა, გვ. 170).

როგორც ჩანს, აბესალომს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა, რის გამოც გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე რუსეთის საკურორტო ქალაქ კისლოვოდსკოში ერთი თვით იმყოფებოდა სამკურნალოდ:

„ტაბიქე აბესალომ — გალაკტიონს სალაში წინას და გალაკტიონს!

5/VIII ჩამოვედი კისლოვოდსკიდან. ისე გავატარე ერთი თვე, რომ სამი დღე არ გამოვივა დასვენება. მუდამ ტკივილები მქონდა. მკურნალობდნენ ნარზანით, ტალახით, ელექტრონით და ჯერჯერობით შედეგი არაფერია. აწი რა ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე?

მე ბენო არ მინახავს — ველარ მოვასწარი ნახვა, უთუოდ თარგმნის. იყავით მუდამ კარგად. ჯანმრთელობაზე უძვირფასესი არაფერია.

აბესალომი“.

(7/VIII. 1948. Galaktion.ge)

პოეტის ძვირფასი ძმა 1948 წლის 2 ოქტომბერს 59 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა, რის შესახებაც გალაკტიონი დღიურში წერს: „1948 წ. 2 ოქტომბერს პირ-

ველის ორ წუთზე ღამით გარდაიცვალა აბესალომი. ამოვარდა ძლიერი ქარი. სახურავებს ლენდა, ხეებს სტეხდა ქარი. არ მახსოვს — რომ ასეთი ამინდი ყოფილიყო, რაც იყო 1948 წ. 2 ოქტომბერს, ღამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი“.

„მეუღლე ტატიანა, შვილები: ვასილი და ნოდარ, ძმა გალაქტიონი, რძალი ნინო ტაბიქეები იუნეებთან ს.ს.რ. დამსახურებული მასწავლებლის პროკლე (აბესალომ) ტაბიძის გარდაცვალებას.

პანაშეიდები კვირას, სამშაბათს და ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 7 ოქტ. დღის 5 საათზე.

მარჯანიშვილის ქუჩა N4“.

(Galaktion.ge)

განცხადებაზე მითითებულ მისამართზე 1999 წლის 21 მარტიდან გახსნილია გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური მუზეუმი, საიდანაც გაასვენეს გალაკტიონის ძმა. პოეტმა ძმის დაკრძალვამდე სამი დღით ადრე ლიტფონდს წერილი მისწერა, რათა ფინანსურად დახმარებოდნენ პროკლეს გასვენებისა და დასაფლავების საკითხში.

„ლიტფონდს


ძმის გარდაცვალების გამო, გთხოვთ, სესხად მომცეთ სამი ათასი მანეთი.

გ. ტაბიქე

1948, 4 ოქტომბერი“

(Galaktion.ge)

აბესალომი, იგივე პროკლე, ვაკის სასა-



სამტრედიის ნახალოვკა, 1893 წელს აშენებული სახლი, სადაც პროკლე ტაბიძის ოჯახი ცხოვრობდა 1941-74 წლებში. ძველი მისამართი: რკინიგზის სახლი N12. ახალი მისამართი: კოლია კაკაბაძის N12.

უსულგულო ცხოვრების

მკაცრად უარყოფელი, სახეს მომავალისას სჭედდი ნებათ მწრთობელი.

სამამულო ომის დროს

მერხებს მოშორებული, ჰქმნიდა გამარჯვების დღეს — გმირთა სული და გული.

და დღეს, როს მზე მალდებდა

საქმეთა და განცდათა, ძალა, სული და გული ინევს ახალგაზრდათა,

დღეს, როდესაც უჭკნობელ

დაფნასა სწნავს მამული, როცა ყაზბეგს იგონებს სკოლების ჟრიაბული,

როცა ჩვენი დიდების

აღმნიშვნელი დღეობის რეკავს ზარი ახალი მთის და ახალ ხეობის,

როცა გზა ნათელია,

რაც შენ კარგად იცოდი, მრავალი მაყვალათი და მრავალ ელისოთი —

შენ აღარ ხარ... მაგრამ შენს

სიტყვებს საქმედ დაჰქარგავს ის თაობა, დღეს რომ სწუხს მასწავლებლის დაკარგვას.

გრძნობებს, რომლის ფესვები

ასე ღრმა და ხშირია, მონაფეებს, შენს გამო გულწრფელად რომ სტირიან,

ესმით: როცა სულს ლევდი, მათთან საგასანდობლო

შენი უკანასკნელი სიტყვა იყო: „სამშობლო!“

(1948 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ.

Galaktion.ge)

მზრუნველი ძმის გარდაცვალების შემდეგ გალაკტიონმა გლოვის ნიშნად სიცოცხლის ბოლომდე — 10 წელი — იარა მოშველებული წვერით. რუსთველური მაღალი შაირით დაწერილი სამსტროფიანი ლექსიც უძღვნა ძმის ხსოვნას, სადაც ჩანს პროკლე-სადმი მადლიერება და პატივისცემა ძმურ თანადგომისა და ერთგულებისთვის.

რიითი პინშეპოშო თაპი

რიითი ვინუგეშო თავი:

ვერ გამოთქვამს ჩემი ლექსი, რომ გაერუმდე, გადვიკარგო — კი იქნება უძჯობესი, ჩემზე ხელი ცამ აიღო, არც ნუგეში და ალერსი, ეხლა მხოლოდ იმასა ვთხოვ, არ დამმართოს უარესი.

ძმა დავკარგე, მერე რა ძმა —

უკეთესი, ერთადერთი.

გაჭირვების ხანაშია

მე მიცავდა მისი მკერდი,

ნუგეშს მცემდა, მამხნევებდა,

მარიგებდა, როცა ვწერდი.

ეკლის ნაცვლად მისგან მქონდა

აბრეშუმი და ხავერდი.

მოვიდოდა ჩემთან ოდეს,

მე ვიცოდი სული ძმისა,

ჩემი მტერი მისად უწნდა,

მედგრად გამომცემი ხმისა,

დაფარული არაა გვექონდა,

პირდაპირი, იყო მტრისა.

ვაი, მისმა დამკარგავმან,

ცრემლი დამადინა ზღვისა.

(1948 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ.

Galaktion.ge)

ნათელი ხდება, რომ ძმებ ტაბიქეებს ბევრი რამ აკავშირებდათ სამტრედიასთან. განსაკუთრებით პროკლე ტაბიქეს, რომლის ოჯახი 1930-იანი წლებიდან 1974 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩემს მშობლიურ ქალაქში...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს
კულტურის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის
სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004